გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
23 მარტი **ოთხშაბათი** 2011
№ 067 (13364) ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამი დღე და ისევ ორი კითხვის ნიშანი ხორვატიამდე



# კალაძე? ანანიძე?





ფოტო: www.gff.ge

ლევან ჯანეზაშვილი

რუბრიკის პრემიერა

## ახლო ხედი

### ხორვატიის ნაკრები გელა სანაიას თვალით 3






## ტატიშვილი მაიამის ბალეტში

11

## პლატინის დუბლი და უკრაინული სინანული



უეფას კონგრესი 5

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ნაკრები

# სამი დღე ხორვატიამდე

## ეროვნული ეროვნულზე კალაძე და ანანიძე: იქნებ, მაინც...



საქართველოს ეროვნული ნაკრები ხორვატიასთან მატჩისთვის მზადებას განაგრძობს. გუშინ, საღამოს გუნდმა ეროვნულ სტადიონზე ივარჯიშა. მოთელვის, კვადრატებისა და კომბინაციების დამუშავების შემდეგ მთავარმა მწვრთნელმა **თემურ ქეცბაიამ** გუნდი ორად გაყო და ორკარა ათამაშა.

მასში არ მონაწილეობდა **კახა კალაძე**, რომელიც იტალიიდან 21 მარტს ჩამოვიდა. მისი თამაში ჯერ კიდევ საეჭვოა: კახას კლუბი "ჯენოა" საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობას მის დასვენებას სთხოვს, კუნთი აქვს დაჭიმულიო, მაგრამ კახამ გუშინ მსუბუქად მაინც ივარჯიშა და გასახდელს მალევე მიაშურა. როგორც გვითხრეს, ეროვნული ნაკრების კაპიტნის მდგომარეობა უიმედო არ არის, მაგრამ ექიმები ჯერ გადაჭრით ვერ ამბობენ, შეძლებს თუ არა ხორვატიასთან თამაშს. იმედს მატჩამდე დარჩენილი სამი დღე გვიტოვებს.

ნაკრებს შეუერთდა ბერძნული "პანიონიოსის" მცველი **დავით კვირკველიაც**. გუშინ ნაკრებში არ უვარჯიშიათ მხოლოდ რუსეთის პრემიერლიგაში დასაქმებულ მოთამაშეებს: საღამოს ჩამოფრინდნენ ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" სამეული (**ლაშა სალუქვაძე, გოგიტა გოგუა, ოთარ მარცვალაძე**) და მახაჩყალის "ანჟის" მეკარე **ნუკრი რევიშვილი.** მათ დილით ელოდნენ, მაგრამ რეისი საღამოსთვის გადაიდო და ეროვნულზე ვარჯიში ველარ მოასწრეს.

სასიხარულოა, რომ ნუკრი რევიშვილი რუსეთის პრემიერლიგის "ანჟის" ძირითად შემადგენლობაში შეუცვლელად თამაშობს. ქართველმა მეკარემ ბოლო ტურში სანკტ-პეტერბურგის "ზენიტთან" ორი გოლი კი გაუშვა, მაგრამ **რობერტო კარლოსის** და **დიეგო ტარდელის** გუნდში საუკეთესო შეფასება სწორედ მან დაიმსახურა. ნუკრი საკონტროლო შეხვედრებშიც მთავარი მწვრთნელის, **გაჯი გაჯიევის** ფავორიტი იყო და, ცხადია, ეს ძალიან გვაიმედებს, რადგან რუსეთის პრემიერლიგა საკმაოდ პრესტიჟული გახდა, ასეთ დონეზე კი გუნდის ძირითად შემადგენლობაში ქართველ მეკარეს კარგა ხანია, არ უთამაშია. თბილისის "დინამოს" და "ზესტაფონის" მეკარეებიც (**გიორგი ლორია** და **როინ კვასხვაძე**) მშვენიერ ფორმაში არიან და იმედი ვიქონიოთ, რომ ქეცბაიას ამ პოზიციაზე არჩევანი აქვს.

"ანჟისა" და "ვოლგას" ფეხბურთელებთან ერთად ჩამოფრინდა **ჯანო ანანიძეც**. თბილისში გაირკვევა, ბოლოს და ბოლოს რა სჭირს მოსკოვის "სპარტაკის" შემტევ ნახევარმცველს, სერიოზულია თუ არა მისი ტრავმა და რამდენად შესაძლებელია ხორვატებთან მისი მოედანზე გასვლა. გუშინ გვითხრეს, ჯანოს მართლა კოჭის მყესი აქვს გაწყვეტილი და მისი თამაში გამორიცხულიაო. თუმცა ვნახოთ, იქნებ, ასე მძიმედ არ იყოს საქმე.

დაბოლოს: მართალია, თავდაპირველად თემურ ქეცბაია გუნდის წვრთნას ტექნიკურ ცენტ "ბასაში" აპირებდა, მაგრამ საბოლოოდ გეგმა შეიცვალა და გადაწყდა, რომ ნაკრები დღესაც ეროვნულ სტადიონზე ივარჯიშებს.

**მერაბ მამულაშვილი**

**ეროვნულ ნაკრებში ყველაზე მეტი შეხვედრა ლევან კობიაშვილმა ჩაატარა, რომელიც მეორე ბუნდესლიგის "ჰერტაში" გამოდის და მოწინააღმდეგის ბევრ ფეხბურთელს კარგად იცნობს.**

**- ხორვატიის ნაკრებში ბევრი ბუნდესლიგელია. თქვენი აზრით, რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ მათ?**

- ჩემი ლაპარაკი ზედმეტია, ყველამ ვიცით, რა ძლიერ მოწინააღმდეგესთან მოგვიწევს თამაში. მიმაჩნია, რომ შემადგენლობის მხრივ არა მხოლოდ ჩვენს ჯგუფში, ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო ნაკრებია. რთული მატჩი გველის, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენც თავდაჯერებულები ვართ, რადგან კარგა ხანია, სწორ გზაზე ვდგავართ და იმედია, შაბათსაც ასე გავაგრძელებთ.

**ალეკო ამისულაშვილი,** რომელიც ახლახან რუსეთის პრემიერლიგის "კრასნოდარში" გადავიდა და იქ კაპიტნად დანიშნეს, იმედიანად არის განწყობილი:

- ხორვატია ჩვენს ჯგუფში საუკეთესო გუნდია და ძალიან რთულ შეხვედრას ველით. თუმცა ყველაფერს გავაკეთებთ, საჩვენო შედეგს რომ მივაღწიოთ. ეს დამოკიდებული იქნება გულშემატკივარზეც. თუ სტადიონი ბოლომდე გაივსება, დიდი ძალა შეგვემატება. ბოლოს მალტას შინ ძალიან დაძაბულ შეხვედრაში მინიმალური ანგარიშით მოგებაში უდიდესი როლი სწორედ გულშემატკივარმა ითამაშა, რომელიც ბოლომდე დარჩა და გვიერთგულა. ჩვენც ძალა მოგვეცა და ამიტომაც მოვიგეთ.

**- გულახდილად რომ ვთქვათ, ევროპაში ფავორიტად ხორვატიას მიიჩნევენ.**

- დიახ, მიიჩნევენ, მაგრამ მე მაინც იმას ვფიქრობ, რომ ხორვატია ფავორიტი მხოლოდ ქაღალდზეა, რეალური ფავორიტი კი მოედანზე გამოჩნდება. ფეხბურთი იმით არის კარგი, რომ წინასწარ ვერაფერს დაგეგმავ, შეიძლება, ფავორიტიც დამარცხდეს. ამიტომაც ვფიქრობ: რატომ არ შეიძლება სენსაცია საქართველოს ნაკრებმა მოახდინოს?

**- ხორვატიას მშვენიერი თავდასხმა ჰყავს, მაგრამ დააკლდათ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ივიცა ოლიჩი.**

- რა თქმა უნდა, ოლიჩის არყოფნა ჩვენი მეტოქისთვის ძალიან დიდი დანაკლისია, მაგრამ არა მგონია, ეს ხორვატებისთვის კატასტროფა იყოს, რადგან ბევრი მაღალი კლასის თავდამსხმელი ჰყავთ და შემცვლელს მოუძებნიან. შეიძლება, ოლიჩის არყოფნა მათ კოზირადაც იქცეს, მისი შემცვლელისთვის ეს დამატებითი სტიმულიც იქნება, რადგან თავის გამოჩენის შანსი მიეცემა. თუმცა არ ვიცით, 26 მარტს რა მოხდება. იმედი მაქვს, რომ შეხვედრა საჩვენო შედეგით დასრულდება.

## სწორ გზაზე ვდგავართ. მალტასთან ქომაგმაც მოიგო. ხორვატია ფავორიტი ჯერ მხოლოდ ქაღალდზეა. რატომ არ შეიძლება, სენსაცია საქართველომაც მოახდინოს?!

**აკაკი ხუბუტიამ** სანაკრებო შეხვედრისთვის მზადება და კლუბში თამაში რა ხანია დაიწყო, ერთი თვეა, რუმინეთის ჩემპიონატი დაიწყო, მისმა "გაზ-მეთანმა" ხუთი შეხვედრა გამართა და ლიდერთა სამეულს მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩება.

**- ნაკრების ბევრი სხვა წევრისგან განსხვავებით, სეზონი საკმაოდ ადრე დაიწყე.**

- დიახ, რუმინეთში სეზონი თებერვლის დასაწყისში განახლდა, ხუთი თამაში ჩავატარე და ვფიქრობ, ურიგო ფორმაში არ უნდა ვიყო.

**- ნაკრებში ჯერ მხოლოდ ორი შეხვედრა ჩაატარე. ეს საკმარისია თანაგუნდელებთან შესათამაშებლად?**

- პირველი შეხვედრა სლოვენიასთან იყო და, რა თქმა უნდა, ვნერვიულობდი, სომხეთთან კი ბევრად უფრო თავისუფლად ვითამაშე, არანაირი დაძაბულობა არ მიგრძნია. საერთოდ, მოედანზე რომ გავდივარ, ნერვიულობა არ მახასიათებს, ამ დროს ვფიქრობ მხოლოდ იმაზე, რომ იბრძოლო და გუნდი არ დაალალატო.

**- ხორვატიასთან მატჩზე რას იტყვი?**

- ურთულესი შეხვედრა გველის, მაგრამ ჩვენი გუნდის სულისკვეთება და ბიჭების საქმისადმი მიდგომა მაიმედებს. დარწმუნებული ვარ, მატჩის ბედის გადაწყვეტა ჩვენს ერთიანობას შეუძლია.

**- "გაზ-მეთანში" როდემდე აპირებ დარჩენას?**

- კონტრაქტი ერთ წელიწადში მიმთავრდება, მაგრამ უკვე სერიოზულ კლუბებზეა ლაპარაკი.

**- მოდი, დავაკონკრეტოთ: ზამთარში მოლაპარაკება თბილისის "დინამოსთან" გქონდა.**

- ლაპარაკი იყო, მაგრამ საბოლოოდ მაინც რუმინეთში დავრჩი.

**- საქართველოში ჩამოსვლა არ გსურდა?**

- ევროპაში, საკმაოდ ძლიერ ლიგაში ვთამაშობ და ასე იოლი არ არის უკან დაბრუნება. თანაც საკმაოდ საინტერესო ევროპული კლუბები მიწვევენ. სეზონის დასრულების შემდეგ შეიტყობთ, რომელი მათგანი უფრო რეალურია.

**- მაშინ ჩვენს ინფორმაციას გადავამოწმებთ: რამდენად მართალია, რომ ათენის აეკში გიწვევენ?**

- იცით, უფრო რეალური წინადადებებიც მაქვს.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი დიდ მატჩამდე

# გოლი + პასი თბილისამდე

ცხადია, საინტერესოა, ვინ როგორ ითამაშა სანაკრებო შეკრების წინ. ჩვენც განვაახლეთ ცხრილი, რომელშიც ერთი ცვლილებაა - სავიზო პრობლემის გამო რუსეთში დარჩენილი **მათე ვაწაძე** „ზესტაფონის" ფორვარდმა **ნიკოლოზ გელაშვილმა** ჩაანაცვლა. 23 ფეხბურთელიდან ერთიც აღარ დარჩა, რომელსაც 2011 წელს ოფიციალური მატჩი არ უთამაშია - ბოლო უქმეებამდე ასეთი ორი იყო, თუმცა მცირე სათამაშო დრო **სანდრო გურულსაც** მიეცა უკრაინაში და **დავით სირაძესაც** რუსეთში. ბოლო ტურში არ უთამაშია სამ ჩვენებურს და **თემურ ქეცბაიას** თავსატეხიც ხორვატებთან მატჩამდე ამ ტრიოს მდგომარეობაა (**ანანიძე, კალაძე, კობიაშვილი**). ნაკრებში გამოძახებულთა უახლესი მონაგარი მწირია - ერთი გოლი და ერთი საგოლე პასი (**იაშვილი** და **დვალიშვილი**). სულ კი წლეულს ნაკრების წევრებმა 19 გოლი გაიტანეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| ფეხბურთელი | ასაკი | კლუბი | მეტოქე | წუთი | შენ. | 2011 წ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნუკრი რევიშვილი | 24 | ანჟი (რუს) | ზენიტი, 0:2 | 90 | -2 გ. | 2 თ, -2 გ. |
| გიორგი ლორია | 25 | დინამო | ვიტ ჯორჯია | თამაში გადაიდო | | 4 თ, -2 გ. |
| როინ კვასხვაძე | 21 | ზესტაფონი | სიონი, 0:0 | 90 | -0 გ. | 7 თ, -2 გ. |
| კახა კალაძე (კაპ) | 33 | ჯენოა (იტ) | ბოლონია, 1:1 | ტრა | ვმა | 13 თ, 1 გ. |
| ზურაბ კაშია | 23 | ვიტესი (ჰოლ) | ალკმაარი, 1:3 | 90 | - | 8 თ, 1 გ. |
| ლაშა სალუქვაძე | 29 | ვოლგა (რუს) | სპარტაკი, 0:1 | 90 | - | 2 თ. |
| აკაკი ხუბუტია | 24 | გაზ მეთანი (რუმ) | პანდური, 2:0 | 90 | - | 4 თ. |
| ალექს. ამისულაშვილი | 28 | კრასნოდარი (რუს) | ნალჩიკი, 2:0 | 90 | გაფრთხ. | 2 თ. |
| დავით კვირკველია | 30 | პანიონიოსი (საბ) | ირაკლისი, 1:1 | 90 | გაფრთხ. | 4 თ. |
| კახა ალადაშვილი | 27 | ზესტაფონი | სიონი, 0:0 | 90 | გაფრთხ. | 7 თ. |
| გიორგი ხიდეშელი | 23 | ზესტაფონი | სიონი, 0:0 | 90 | - | 4 თ. |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 29 | რედინგი (ინგ) | ბარნსლი, 1:0 | 90 | - | 6 თ. |
| ლევან კობიაშვილი | 33 | ჰერტა (გერ) | ინგოლშტ, 1:1 | ტრა | ვმა | 8 თ, 1 გ. |
| გოგიტა გოგუა | 27 | ვოლგა (რუს) | სპარტაკი, 0:1 | 83 | - | 2 თ. |
| ჯანო ანანიძე | 18 | სპარტაკი (რუს) | ვოლგა, 1:0 | ტრა | ვმა | 4 თ, 1 გ. |
| ჯაბა კანკავა | 24 | კრივბასი (უკრ) | მეტალისტი, 0:0 | 90 | - | 3 თ. |
| სანდრო გურული | 25 | კარპატი (უკრ) | სევასტოპ, 1:3 | 25 | - | 1 თ. |
| მურთაზ დაუშვილი | 21 | ზესტაფონი | სიონი, 0:0 | 79 | - | 6 თ, 1 გ. |
| ალექსანდრე იაშვილი | 33 | კარლსრუე (გერ) | მიუნხენი, 1:5 | 90 | 1 გ. | 9 თ, 4 გ. |
| ლადო დვალიშვილი | 24 | მაძაბი (ისრ) | აშკელონი, 3:0 | 90 | 1 პასი | 8 თ, 6 გ. |
| დავით სირაძე | 29 | სპარტაკი ნ. (რუს) | კრასნოდარი, 0:2 | 32 | - | 1 თ. |
| ოთარ მარცვალაძე | 26 | ვოლგა (რუს) | სპარტაკი, 0:1 | 90 | - | 2 თ, 1 გ. |
| ნიკოლოზ გელაშვილი | 25 | ზესტაფონი | სიონი, 0:0 | 90 | - | 8 თ, 3 გ. |

მეტოქე ხორვატია




# ანანიძე დაშავდა? ძალიან კარგი!

ხორვატიის ნაკრების თავკაცი **სლავენ ბილიჩი** აცხადებს, რომ გაუხარდება, თუ ჯანო ანანიძე მისი გუნდის წინააღმდეგ თამაშს ვერ შეძლებს.

*"მისი ტრავმის შესახებ შევიტყვეთ და მოხარული ვიქნები, თუ ვერ ითამაშებს. ანანიძე ევროპის ერთ-ერთი გამორჩეული ტალანტია და ჩვენთვის რეალური ხიფათის შექმნა შეუძლია", - ამბობს ბილიჩი.*

საქართველოს ნაკრებზე კი მისი აზრი ასეთია: *"ძლიერი გუნდია, რაზეც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მიმდინარე შესარჩევ ციკლში ჯერ არ დამარცხებულა და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსიც აქვს. ყოველივე ამის მიუხედავად, თბილისში მოსაგებად ჩავდივართ".*

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

რუბრიკის პრემიერა. ახლო ხედი

# ხორვატია

**მოახლოებული სანაკრებო მატჩების წინ ყოველთვის განვდით საქართველოს ეროვნული ნაკრების მეტოქეთა შესახებ ინფორმაციებს, მაგრამ ისინი, უმეტესად, ინფორმაციულ-სტატისტიკურია. ამიტომაც გადავწყვიტეთ, ამიერიდან მოწინააღმდეგეთა თამაშის თავისებურებანი უფრო დეტალურად განვიხილოთ.**

**ამ საქმეში დახმარებას ქართველ სპეციალისტებს ვთხოვთ ხოლმე და შევეცდებით, ქართველ გულშემატკივარს მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა შევუქმნათ მეტოქის ავ-კარგზე. "ლელოს" ახალი რუბრიკის პირველი ექსპერტი კი გელა სანაია იქნება. ახალი თაობის ერთ-ერთ გამორჩეულ მწვრთნელთან ერთად ხორვატიის ნაკრების რამდენიმე ბოლოდროინდელი მატჩის ვიდეოჩანაწერი ვნახეთ, ყველაზე მეტი ყურადღება კი ისრაელისა და ხორვატიის 9 ოქტომბრის შეხვედრას დავუთმეთ. ალბათ, გასაგებია, რატომაც – საინტერესო იყო, როგორ თამაშობს სლავენ ბილიჩის გუნდი სტუმრად დაახლოებით საქართველოს ნაკრების დონის მეტოქესთან.**


გელა სანაია

## შემადგენლობა და განლაგება

4-2-3-1 – ასეთი სქემით ითამაშა ხორვატიამ თელ ავივში და **სლავენ ბილიჩი** ასეთსავე განლაგებას ანიჭებს უპირატესობას საშინაო მატჩებშიც. კარს **ვედრან რუნიე** იცავდა, მარჯვენა მცველად **ვედრან ჩორლუკამ** ითამაშა, ცენტრში **გორდონ შილდენფელდისა** და **იოსიპ შიმუნიჩის** დუეტი გაამწესეს, მარცხენა მცველი კი **ივან სტრინიჩი** იყო. საყრდენის პოზიციაზე დადგნენ **ივან რაკიტიჩი** და **დანიელ პრანიჩი**, მათ წინ **ივიცა ოლიჩი, ლუკა მოდრიჩი** და **ნიკო კრანჩარმა** ითამაშეს, ცენტრფორვარდი კი **ედუარდო** იყო.

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თბილისში ხორვატები ასეთი სასტარტო თერთმეტეულით ვერაფრით ითამაშებენ. ისრაელში დისკვალიფიკაციის გამო ხორვატიას კაპიტანი **დარიო სრნა** ვერ დაეხმარა და იგი ძირითადს ყოველ მიზეზგარეშე დაუბრუნდება, **ივიცა ოლიჩი** დიდი ხანია, ტრავმირებულია და ედუარდოს თამაშიც საეჭვოა.

შეტევაში ხორვატები ვარსკვლავთა სიმცირეს არ უჩივიან, მაგრამ ჩვენი დაცვის ხაზისთვის ოლიჩი-ედუარდოს არყოფნა მაინც სერიოზული შვება იქნება. ხორვატთა თბილისური სასტარტო თერთმეტეულის განჭვრეტა კი არცთუ იოლია, რადგან ბილიჩს როტაცია უყვარს და შესარჩევ ტურნირში ჩატარებული ოთხი მატჩიდან ძირითადში თამაში მხოლოდ სამმა ფეხბურთელმა დაიწყო – რუნიემ, ჩორლუკამ და კრანჩარმა. თუმცა გუნდის რამდენიმე ლიდერმა თითო მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა – ესენი არიან შიმუნიჩი, მოდრიჩი, ოლიჩი და პეტრიჩი. სრნას დისკვალიფიკაციაზე უკვე გითხარით...

როტაცია დაცვის ხაზშიც კი არ იყო იშვიათი. ბილიჩი დიდხანს ეძებდა ცენტრალურ ზონაში ვეტერანი შიმუნიჩის სასურველ მეწყვილეს და ბოლო მატჩებში უპირატესობა შილდენფელდს მიანიჭა, მაგრამ, წინამორბედთა მსგავსად, არც მას უთამაშია უნაკლოდ. თუმცა ამაზე ქვემოთ...

## როგორ იწყებენ

ვერ ვიტყვით, რომ ბილიჩის ბიჭები სწრაფ გოლზე არიან დაგეშილები. ნელ-ნელა, მეთოდურად ცდილობენ მატჩის სადავეების ხელში ჩაგდებას, რაც უმეტეს შემთხვევებში წარმატებით გამოსდით. მეტოქეს მისივე ნახევარზე აპრესინგებენ, რასაც კარგად მხოლოდ გრანდები ახერხებენ. წერილს ისრაელის ნაკრებზე რამდენიმე დღეში შემოგთავაზებთ, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ **ლუის ფერნანდესის** გუნდი მეტოქეს თავიდან კარგად გაუძალიანდა და 0:0-ზე საგოლე მომენტიც ჰქონდა. თუმცა ხორვატებმა საწადელს მაინც მიაღწიეს და პირველი ტაიმის შუიდან მოედანზე სრულად გაბატონდნენ.

## როგორ გააქვთ

ნებისმიერი სტანდარტული მდგომარეობა ხორვატთა შესრულებით მეტისმეტად სახიფათოა. ბილიჩის ტანმაღალი ფეხბურთელები მეტოქეს ყოველწამიერად დაძაბულობაში ამყოფებენ და არასდროს დუნდებიან. სტანდარტების აბსოლუტურ უმრავლესობას ივან რაკიტიჩი ასრულებს.

თელ ავივში კი ანგარიში ხორვატიამ 36-ე წუთზე პენალტით გახსნა. სტუმართა დაწინაურება ლოგიკური კი იყო, მაგრამ თერთმეტმეტრიანი აშკარად უსამართლოდ დაინიშნა. კუთხურიდან მოწოდებული ბურთისთვის ბრძოლაში ოლიჩი თეატრალურად დაეცა და მსაჯი შეაცდინა. ნიკო კრანჩარმა აუღელვებლად გაიტანა. სამაგიეროდ, მისი მეორე გოლი პატარა შედევრი იყო. კრანჩარმა რაკიტიჩის წამოწყებული და მოდრიჩის გაგრძელებული ლამაზი კომბინაცია დააგვირგვინა.


2010 წლის 9 ოქტომბერი. ისრაელი-ხორვატია 1:2. კრანჩარი დუბლით გამოირჩა

## სუსტი რგოლი

თუკი ხორვატებს ნახევარდაცვასა და თავდასხმაში ვარსკვლავები მრავლად ჰყავთ, ამას ვერაფრით ვიტყვით მეკარესა და დაცვაზე. 35 წლის რუნიე საშუალო დონის კიპერია, დაცვის ცენტრში კი ხორვატიას არ ჰყავს ისეთი გამორჩეული ფიგურა, როგორიც, მაგალითად, მარჯვენაფლანგელი ჩორლუკაა.

ისრაელმა პრესტიჟის გოლი ძალიან ეფექტურად გაიტანა. ებრაელთა ჯანიანმა და ტექნიკურმა ფორვარდმა **შეხტერმა** საგოლე დარტყმამდე ხორვატთა ლამის მთელი დაცვა მოატყუა. ამ ეპიზოდში აშკარად გამოჩნდა შეუთამაშებლობა სტუმართა უკანახაზელებს შორის, რაც არც არის გასაკვირი – როგორც უკვე ვთქვით, ბილიჩს დაცვის ოპტიმალური კვარტეტისთვის ჯერ ვერ მიუგნია.

როცა ასეთი დონის გუნდზე ვწერთ, შესაძლოა, "სუსტი რგოლის" ხსენება, ცოტა უხერხულიც იყოს. ოთხ ოფიციალურ მატჩში გუნდმა ერთადერთი გოლი გაუშვა, მაგრამ ფაქტია, რომ ხორვატიას უკან ყველაფერი იდეალურად არ აქვს და ამის საჩვენოდ გამოყენება უნდა ვცადოთ. სხვა საქმეა, რამდენად ხშირად შევძლებთ ხორვატთა დაცვამდე მისვლას...

## როგორ იცავენ თავს

ისრაელში 2:0 დაწინაურების შემდეგ ხორვატიამ უკან დაიხია, მაგრამ ყრუ დაცვაში ნამდვილად არ ჩამდგარა. ხორვატებმა ძალების მაქსიმალური დაზოგვით შეძლეს თამაშის გამარჯვებამდე მიყვანა. ბილიჩის ბიჭები არც 2:1-ზე აღელვებულან, მათი გუნდის მექანიზმში ამ დროსაც ყველაფერი უნაკლოდ მუშაობდა.




### ხორვატები განვლილ ოთხ მატჩში

მეკარე: ვედრან რუნიე (4 მატჩი, -1 გოლი);
მცველები: ვედრან ჩორლუკა (4), იოსიპ შიმუნიჩი (3), ივან სტრინიჩი (3), გორდონ შილდენფელდი (2), ტომისლავ დუიმოვიჩი (1);
ნახევარმცველები: ნიკო კრანჩარი (4, 4 გოლი), დანიელ პრანიჩი (4), ივან რაკიტიჩი (4), დარიო სრნა (3, 1), ლუკა მოდრიჩი (3), ოგნიენ ვუკოევიჩი (3);
თავდამსხმელები: ედუარდო (4), ივიცა ოლიჩი (3, 1), მლადენ პეტრიჩი (3, 1), მარიო მანძუკიჩი (3), ნიკიცა იელავიჩი (2), ნიკოლა კალინიჩი (1, 1), მატე ბილიჩი (1), ივო ილიჩევიჩი (1).

| | | |
|---|---|---|
| 03.09.2010. | ლატვია-ხორვატია | 0:3 |
| | გოლები: პეტრიჩი, ოლიჩი, სრნა. | |
| 07.09.2010. | ხორვატია-საბერძნეთი | 0:0 |
| 09.10.2010. | ისრაელი-ხორვატია | 1:2 |
| | გოლები: კრანჩარი (2). | |
| 17.11.2010. | ხორვატია-მალტა | 3:0 |
| | გოლები: კრანჩარი (2), კალინიჩი. | |

BG Bet Guru
http://bet.goli.ge
სრულიად უფასოდ !!!
ხარ აზარტული და გიყვარს ფეხბურთი ?
გამოიცანი თამაშების შედეგები და მოიგე !
- თითოეულ ჩემპიონატზე თვეში 100 ლარი
- Top 5 - ყოველკვირეული გათამაშება - საპრიზო ფონდი 250 ლარი!
- სეზონის ბოლოს 3000 ლარი, ან 'ელ კლასიკოზე' დასასწრები 2 ბილეთი!

## აწყობილი მექანიზმი

სანაია აღფრთოვანებული დარჩა ხორვატთა თამაშის ორგანიზების უნარით და მას ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ტოპგუნდი უწოდა.

ბილიჩს ტაქტიკურად ძალიან განსწავლული გუნდი ჰყავს და ისიც იგრძნობა, რომ წლებია, ბირთვი ერთად თამაშობს. ხორვატიის ნაკრების ამჟამინდელი თაობა გამორჩეულად ძლიერია, მაგრამ მწვრთნელის ხელი და კვალიფიკაცია აშკარაა.

მსგავსი შუა ხაზი ევროპაში ბევრ ნაკრებს არ ჰყავს, გუნდის მამოძრავებელ ძალად კი სანაიას ლუკა მოდრიჩი მიაჩნია. შეტევების უმრავლესობა სწორედ მისი ორგანიზებულია. მოდრიჩის გარდა, ძირითადში თამაშობს მეორე ნომინალური გამთამაშებელი რაკიტიჩი. მსგავსი ფაქტი თანამედროვე ფეხბურთში იშვიათი ამბავია, მაგრამ ორივე მათგანს უპრობლემოდ შეუძლია "შავი სამუშაოს" შესრულებაც და ამიტომაც ხორვატიული ცენტრი მეტოქეთათვის ორმაგად საშიშია. ამ წყვილიდან წინ უფრო მეტ დროს მოდრიჩი ატარებს, მაგრამ ამით რაკიტიჩის შესაძლებლობები ოდნავადაც არ იჩრდილება.

– „ეს ის გუნდია, რომელიც ერთწამიან მოდუნებასაც კი არ გაპატიებს" – ასე ფიქრობს სანაია. ბილიჩის ბიჭები ძალიან სწრაფად თამაშობენ, შეტევაში კარგად ერთვებიან ფლანგის მცველები, განსაკუთრებით ჩორლუკა. თუმცა ხორვატიას ბრიტანულ სტილთან საერთო ბევრი არაფერი აქვს – ფლანგურ ჩაწოდებებს არცთუ ხშირად მიმართავენ, მოწინააღმდეგის საჯარიმოში შეჭრას ცენტრიდან ამჯობინებენ.

კიდევ ერთი საინტერესო მომენტი – ისრაელთან ხორვატიამ რამდენიმე ხელსაყრელი კონტრშეტევა ვერ გამოიყენა. ბილიჩის გუნდი ამ კომპონენტში არცთუ ძლიერია და მუდამ პოზიციურ შეტევას ამჯობინებს. კონტრიერიშებში მოუმზადებლობა კი გასაკვირი ერთი მარტივი მიზეზის გამო არ არის – ამის გაკეთება ხორვატიის დონის გუნდებს იშვიათად უწევთ...

## რა არის ჩვენი შანსი

*"ბუნებრივია, თემურ ქეცბაიამ ძალიან კარგად იცის, რა უნდა დაუპირისპიროს ხორვატიას, მაგრამ მოკრძალებულ აზრს მეც გამოვთქვამ. არ ვიცი, რა სტრატეგიას აირჩევს თემური და რა იქნება ჩვენი ნაკრების მიზანი ამ შეხვედრაში. ჩემი აზრით კი, ფრე მშვენიერი შედეგი იქნება. თუმცა, ყრუ დაცვაში არ უნდა ჩავდგეთ და ჩვენი შანსები ვეძებოთ. ბევრი არა, მაგრამ მგონია, რომ სახიფათო მომენტები ჩვენც გვექნება და მათ მაქსიმალურად გამოყენებას უნდა ვეცადოთ.*

*ჩვენთვის იდეალური იქნება, თუ თამაშს მოედნის ცენტრში გადავიტანთ, რაც, პირდაპირ რომ ვთქვათ, ძალზე რთული განსახორციელებელია. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გუნდის ფსიქოლოგიური მომზადებაა, რასაც, დარწმუნებული ვარ, ქეცბაია კარგად გაართმევს თავს. საქართველოს ნაკრების თითოეულმა ფეხბურთელმა დაუღალავად უნდა იშრომოს და მოწინააღმდეგეს გამუდმებით "ფეხზე აჯდეს".*

*განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ისეთი ფეხბურთელების როლი, რომელთაც ერთნაირად კარგად შეუძლიათ ცენტრში და ფლანგებზე თამაში. სხვა საქმეა, რომ ასეთები ბევრი არ გვყავს. თუ ჯანო ანანიძემ ვერ ითამაშა, ეს ჩვენი გუნდის წარმატების შანსებს საგრძნობლად შეამცირებს. ხორვატიის დონის გუნდებს უფრო ძლიერი ინდივიდუალისტებით თუ მოუხერხებ რამეს. ჯანო ხორვატიული დაცვის ხარვეზებით კარგად ისარგებლებდა".*

## ვინ ითამაშებს თბილისში?

ახლა კი იმაზე ვიმსჯელოთ, როგორი შეიძლება იყოს ხორვატიის ნაკრების ძირითადი შემადგენლობა 26 მარტს. ბილიჩის გუნდის ტაქტიკაში ცვლილებები ნაკლებადაა მოსალოდნელი, სასტარტო თერთმეტეული კი თელავივური მატჩის იდენტური ვერაფრით იქნება.

ძირითად მეკარედ რჩება რუნიე, რომელმაც ბოლო ხანს **სტიპე პლეტიკოშა** ამოაგდო სასტარტოდან; დაცვის მარჯვენა ფლანგზე ჩორლუკა უალტერნატივოა; დაცვის ცენტრში შიმუნიჩს, სავარაუდოდ, კვლავ შილდენფელდი შეუწყვილდება. მისი რეალური ალტერნატივაა 21 წლის ლიონელი **დეიან ლოვრენი**; მარცხენა მცველად ალბათ სტრინიჩს გაამწესებენ.

პრანიჩი, რაკიტიჩი და მოდრიჩი ჯანზე არიან და ცენტრალური ნახევარდაცვის ტრიოსაც ისინი შეკრავენ; მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციას გუნდის კაპიტან დარიო სრნას ვერავინ შეეცილება; მარცხნიდან ხორვატთა საუკეთესო ბომბარდირი კრანჩარი შეუტევს, ცენტრფორვარდად კი, სავარაუდოდ, მლადენ პეტრიჩს გაამწესებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ქართული ფეხბურთი

ტურის მწვრთნელი. ინტერვიუ ხვიჩა ქასრაშვილთან

# მესამე დაბრუნება

**გასული ტურის მთავარი მოულოდნელობა ბოლნისის „სიონის“ სტუმრად მოპოვებული ქულა იყო: ქვემოქართლელებმა ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერ „ზესტაფონთან“ ღირსეულად ითამაშეს და ძლიერ მეტოქესთან პაექრობაში სასურველ შედეგს მიაღწიეს. ამ მატჩში „სიონი“ მოედანზე ახალმა მწვრთნელმა, ხვიჩა ქასრაშვილმა გაიყვანა; ახალი მწვრთნელის ფაქტორს კი, მოგეხსენებათ, თითქმის უმეტეს შემთხვევაში, დადებითი ეფექტი აქვს და ასე მოხდა ახლაც. თუმცა, ქასრაშვილისთვის „სიონი“ ახალი კლუბი ვერასდროს იქნება: პირველად, ექვსი წლის წინათ ხელმძღვანელობდა ბოლნისის გუნდს, მეორედ კი წინა სეზონში, ზამთრის პაუზის წინ დაბრუნდა. „სიონის“ გარდა ქასრაშვილს სხვადასხვა დროს უმაღლესი ლიგის სხვა გუნდებიც გაუწვრთნია: თბილისის „დინამო“, რუსთავის „ოლიმპი“, საჩხერის „ჩიხურა“; შარშანდელი ზაფხულიდან მოყოლებული კი დაუსაქმებელი იყო და აი, „სიონში“ მესამე დაბრუნება წარმატებული გამოდგა - XXVI ტურის საუკეთესო მწვრთნელად სწორედ ხვიჩა ქასრაშვილი მივიჩნიეთ. ბოლნისელთა ძველ-ახალ მწვრთნელს გუშინ შევხვდით და ბოლო ტურის მატჩის შეფასების გარდა, რაღა თქმა უნდა, „სიონის“ მიზნებზეც ვესაუბრეთ.**

**- ამ ბოლო რვა თვის განმავლობაში რას საქმიანობდით?**

- მართალია, არსად ვმუშაობდი, მაგრამ ფეხბურთიდან არ წავსულვარ: თამაშებს ვესწრებოდი, ამას გარდა, თეორიულ ცოდნასაც ვიღრმავებდი.

**- „სიონში“ დაბრუნების შემოთავაზება როდის მიიღეთ?**

- 17 მარტს საღამოს დამიკავშირდა ბოლნისური კლუბის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ნუგზარ ლომთაძე და „სიონის“ გაწვრთნა შემომთავაზა. 18-ში გუნდთან ერთად პირველი ვარჯიში ჩავატარე, ორ დღეში კი „ზესტაფონთან“ სტუმრად მატჩი გველოდა.

**- ბოლნისში ადრეც გიმუშავიათ, მაგრამ წინა ორი შემთხვევისაგან განსხვავებით, „სიონი“ ამჟამად გასავარდნ ზონაში იმყოფება...**

- პირველად რომ ჩავიბარე „სიონი“, მაშინ მართლაც განსხვავებული მიზანი გვქონდა; აი, მეორედ რომ მივედი ბოლნისში, თითქმის დღევანდელი სიტუაცია იყო: მაშინაც 2 ქულა გვაშორებდა გასავარდნ ზონას. უბრალოდ, სეზონის ბოლომდე მაშინ 18 მატჩი იყო დარჩენილი, ახლა კი - 11; ამას გარდა ზამთრის მოსამზადებელი ეტაპიც წინ გვქონდა მაშინ და ჩემთვის სასურველი ფეხბურთელების დამატებაც შემეძლო, ახლა კი „გახურებულ“ სეზონში მომიწია გუნდის ჩაბარება.

**- მეთექვსმეტე სეზონია, „სიონი“ უმაღლეს ლიგაში რომ ასპარეზობს და ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში, ალბათ, არც არასდროს ყოფილა...**

- დარწმუნებული ვარ, რომ გუნდში არსებული კონტინგენტით „სიონს“ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება არ გაუჭირდება; საერთოდაც, ამ ამოცანის შესრულების რომ არ მჯეროდეს, „სიონში“ არც მოვიდოდი. თანაც, ახლა ჩემპიონატში შესვენებაა და ამ პერიოდსაც მაქსიმალურად გამოვიყენებ გუნდის უკეთ გასაცნობად.

**- „გასაცნობი“ ვინღაა, - ფეხბურთელთა უმეტესობას წინა სეზონშიც ავარჯიშებდით; ეგ კი არა, 6-7 ისეთი ფეხბურთელიც არის, ჯერ კიდევ ექვსი წლის წინ თქვენი ხელმძღვანელობით რომ თამაშობდნენ „სიონში“.**

- მაგაში გეთანხმებით, თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას საკმაოდ კარგად ვიცნობ; თუმცა, არის კიდევ ერთი-ორი ფეხბურთელი, რომელთა შესაძლებლობებშიც აი, ამ პაუზის დროს დავრწმუნდები.

**- „ზესტაფონთან“ მატჩამდე, ფაქტობრივად, ერთადერთი ვარჯიშის ჩატარებას მოასწრებდით. ასეთ ძლიერ მეტოქესთან მატჩის წინ „სიონის“ ფეხბურთელებთან ინდივიდუალურად გასაუბრების დრო, ალბათ, არც გექნებოდათ.**

- რა უნდა მომესწრო? ერთადერთი, რაც ბიჭებს ვუთხარი, წინასწარ განწირულები არა ვართ-მეთქი; აბა, მატჩამდე ერთი დღით ადრე დანიშნულ მწვრთნელს, ფსიქოლოგიური განწყობის შეცვლის გარდა, სხვა რა უნდა გამეკეთებინა?

**- თუმცა, ჩემპიონატის ლიდერთან შეხვედრაში „სიონის“ შემადგენლობაში რამდენიმე სიახლეც იყო: ნიკა კვასხვაძისთვის ამპლუის შეცვლასა და ძირითადში ახალგაზრდა საბა ადამაშვილის გამოჩენას ვგულისხმობთ.**

- კვასხვაძე ვარჯიშზე მოვსინჯე მარჯვენა მცველის პოზიციაზე და მიმაჩნია, რომ ამ ფეხბურთელის სისწრაფის გათვალისწინებით, ოპტიმალური ამპლუა შევურჩიე; ასევე გაამართლა ახალგაზრდა ადამაშვილმაც, რომელსაც დაცვის მარცხენა ფლანგი ვანდე. კვასხვაძისა და ადამაშვილის მსგავსად, ადრე ძირითადში ხშირად თამაში გიორგი ქუცურუასაც არ უნევდა, თუმცა ამ ფეხბურთელის შესაძლებლობებში ჯერ კიდევ თბილისის „დინამოში“ მუშაობის დროიდან ვიყავი დარწმუნებული. გარკვეული ცვლილებები კიდევ იქნება, - ხომ გითხარით, ჯერ ყველა ფეხბურთელი „ახლოდან“ არ გამიცნია.

**- ამ მატჩის თვითმხილველთა თქმით, ჩინებულად უთამაშია „სიონის“ ახალგაზრდა მეკარეს დავით ლეგაშვილს, უმაღლეს ლიგაში მხოლოდ მეორე მატჩს რომ ატარებდა.**

- ლეგაშვილმა თუ ასე გააგრძელა, მართლაც სერიოზული დონის მეკარე დადგება; „ზესტაფონთან“ მატჩი უშეცდომოდ ხომ ჩაატარა, მაგრამ ჩემთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტორიც, რომ ეს ახალგაზრდა ბიჭი კარში უშიშრად იდგა. არადა, ნებისმიერი მწვრთნელისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, როცა მეკარის პოზიციაზე არ ნერვიულობს - „ზესტაფონის“ წინააღმდეგ ლეგაშვილის ასეთი დამაჯერებელი თამაში კი ამის ნათელი მაგალითი იყო.

**- სხვა რგოლზეც გვინდა შეგეკითხოთ: უმაღლესი ლიგის გუნდებიდან მეტოქის კარში ყველაზე ნაკლები გოლი „სიონსა“ და „კოლხეთს“ აქვს გატანილი. ანუ, გვეთანხმებით, რომ თქვენი გუნდის თავდასხმის ხაზი უკეთესის სურვილს უნდა ტოვებდეს?**

- ფაქტობრივად, დღესდღეობით „სიონში“ ერთადერთი ფორვარდი გვყავს - გამოცდილი რევაზ ჯიქია, რომლის შესაძლებლობებსაც კარგად ვიცნობ. სხვებიც არიან, თუნდაც გიორგი რეხვიაშვილი, ოღონდ, ამ თავდამსხმელის „საქმეში ნახვა“ ჯერ ვერ მოვასწარი; არის კიდევ ახალგაზრდა ვილი ისიანი, რომელიც მე თავდამსხმელად წარმომიდგენია, თუმცა ადრე რატომღაც ნახევარდაცვაში ათამაშებდნენ...

**- გულახდილად გვიპასუხეთ: გჯეროდათ, ჩემპიონატის ლიდერთან მატჩში თქვენთვის სასურველ შედეგს რომ მიაღწევდით?**

- „ზესტაფონმა“ ჩვენამდე ფოთის „კოლხეთს“ ვერ მოუგო საშინაო მატჩი და ამიტომაც დარწმუნებული ვიყავი, რომ „სიონთან“ შეხვედრაში ბევრად უფრო მობილიზებული იქნებოდნენ. ამიტომაც, მთავარი იყო ოპტიმალური ტაქტიკის შერჩევა და არც იმას დავმალავ, რომ ტერიტორიული უპირატესობა მეტოქეს შეგნებულად დავუთმეთ; სამაგიეროდ სწრაფ კონტრშეტევებზე ავაწყვეთ თამაში. და ვინც ეს მატჩი იხილა უნდა დამეთანხმოს: რასაც ასპროცენტიანი მომენტები ჰქვია, მეტოქესთან შედარებით ჩვენ უფრო მეტი გვქონდა.

**- 2009 წლის დეკემბრამდე, ანუ, ვიდრე „სიონის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნებოდით, „ზესტაფონში“ მუშაობდით და კარგად გვახსოვს, იმერული კლუბის ხელმძღვანელობა როგორ უკმაყოფილებას გამოხატავდა თქვენი წასვლის გამო. ეგ კი არა, თქვენგან გარკვეული კომპენსაციის გადახდასაც ითხოვდა...**

- მოდი, ასე ვიტყვი: ყველაფერი უბრალო გაუგებრობა იყო და წარსულს ჩაჰბარდა; იმასაც გეტყვით, რომ „ზესტაფონიდან“ დაუკითხავად არ წამოვსულვარ და აზრადაც არ მომსვლია ვინმეს განაწყენება. პირიქით, დღემდე მადლიერებით ვიხსენებ „ზესტაფონში“ გატარებულ პერიოდს და საერთოდაც, ამ კლუბის ხელმძღვანელობისა და სამწვრთნელო შტაბის მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის.

**გია ტუხაშვილი**



ხვიჩა ქასრაშვილი

## საქართველოს ჩემპიონატი

### II ლიგა. დასავლეთი.

A ზონა XIV ტური

| | |
|---|---|
| გურია-2 (ლანჩ.)-ბახმარო (ჩოხატ.) | 2:1 |
| ბეთლემი (ძეძა)-მერცხალი 2 (ოზურ.) | 3:1 |
| მართვე (ქუთაისი)-ფაზისი (რაჭა) | 2:0 |
| მარგვეთი (ზესტაფონი)-ქუთაისი | 7:1 |
| მერანი-2 (მარტვ.)-სულორი (ვანი) | 1:0 |
| ჩიხურა-2 (საჩხერე)-ბათუმი 2 | 1:1 |

*საირმე (ბაღდათი)-ისვენებდა*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა-2 | 13 | 11 | 2 | 0 | 52-10 | 35 |
| 2. მარგვეთი | 13 | 8 | 1 | 4 | 33-21 | 25 |
| 3. სულორი | 13 | 8 | 1 | 4 | 23-17 | 25 |
| 4. ბეთლემი | 13 | 7 | 2 | 4 | 24-16 | 23 |
| 5. დინამო-2 | 13 | 6 | 5 | 2 | 27-17 | 23 |
| 6. მერანი-2 | 13 | 5 | 3 | 5 | 16-13 | 18 |
| 7. ბახმარო | 13 | 5 | 3 | 5 | 17-27 | 18 |
| 8. ფაზისი | 13 | 5 | 1 | 7 | 24-26 | 16 |
| 9. გურია-2 | 13 | 4 | 3 | 6 | 18-27 | 15 |
| 10. ქუთაისი | 13 | 4 | 2 | 7 | 18-30 | 14 |
| 11. მართვე | 13 | 2 | 3 | 8 | 13-29 | 9 |
| 12. საირმე | 12 | 1 | 4 | 7 | 8-18 | 7 |
| 13. მერცხალი-2 | 13 | 1 | 4 | 8 | 15-37 | 7 |

### დასავლეთი

B ზონა. XIII ტური

| | |
|---|---|
| აისბერგი (აბაშა)-სამეგრელო (ჩხორ.) | 0:2 |
| ბერმუხა (მარტ.)-სქური 2 (წალენჯ.) | 0:3 |
| კოლხეთი 2 (ხობი)-ეგრისი (სენაკი) | 1:2 |
| მგლები 2 (ზუგდიდი)-ზუგდიდი | 3:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ეგრისი | 13 | 10 | 1 | 2 | 35-13 | 31 |
| 2. მგლები-2 | 13 | 9 | 2 | 2 | 39-12 | 29 |
| 3. სქური-2 | 12 | 6 | 4 | 2 | 28-11 | 22 |
| 4. კოლხეთი-2 | 13 | 6 | 3 | 4 | 26-20 | 21 |
| 5. ზუგდიდი | 12 | 4 | 3 | 5 | 20-21 | 15 |
| 6. სამეგრელო | 12 | 4 | 3 | 5 | 22-28 | 15 |
| 7. აისბერგი | 13 | 2 | 2 | 9 | 19-47 | 8 |
| 8. ბერმუხა | 12 | 0 | 0 | 12 | 6-44 | 0 |

ბომბარდირები: მანუჩარ ლაშხია (ზუგდიდი)-10, გიზო ხორავა (სამეგრელო), დურმიშხან ჩიქობავა (ეგრისი)-9-9.

### აღმოსავლეთი ზონა

XVIII ტური

| | |
|---|---|
| სტუ-თიანეთი-აბული | 5:2 |
| სასკო-დუშეთი | 3:1 |
| იმედი-ალგეთი | 3:1 |
| ივერია-35 სკოლა | 3:0 |
| მერანი-გოლიადორი | 1:4 |
| გაგრა-2-სამცხე | 4:0 |
| ავაზა-ერთობა | 3:0 |

*ზოოვეტი-ისვენებს*

XVII ტურის გადადებული მატჩები:

| | |
|---|---|
| გოლიადორი-გაგრა-2 | 0:4 |
| ალგეთი-ივერია | 1:0 |
| ზოოვეტი-სტუ-თიანეთი | 1:3 |
| სამცხე-ავაზა | 0:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ავაზა | 17 | 11 | 1 | 5 | 50-24 | 34 |
| 2. სასკო | 16 | 9 | 5 | 2 | 47-27 | 32 |
| 3. ზოოვეტი | 16 | 9 | 4 | 3 | 33-17 | 31 |
| 4. გაგრა-2 | 17 | 9 | 3 | 5 | 31-11 | 30 |
| 5. გოლიადორი | 17 | 9 | 3 | 5 | 34-21 | 30 |
| 6. ალგეთი | 17 | 8 | 2 | 7 | 28-19 | 26 |
| 7. სტუ/თიანეთი | 16 | 8 | 2 | 6 | 33-25 | 26 |
| 8. ივერია | 16 | 8 | 2 | 6 | 19-17 | 26 |
| 9. დუშეთი | 16 | 5 | 8 | 3 | 32-21 | 23 |
| 10. აბული | 16 | 7 | 1 | 8 | 17-24 | 22 |
| 11. მერანი | 17 | 6 | 2 | 9 | 25-27 | 20 |
| 12. იმედი | 17 | 5 | 5 | 7 | 38-35 | 20 |
| 13. 35-ე სკოლა | 17 | 3 | 6 | 8 | 23-31 | 15 |
| 14. სამცხე | 17 | 3 | 0 | 14 | 10-76 | 9 |
| 15. ერთობა | 16 | 2 | 0 | 14 | 10-55 | 6 |

*შენიშვნა: 35-ე სკოლა და „ერთობა“ მოხსნილია გათამაშებიდან. ყველა გუნდს მათთან გასამართ შეხვედრებში ჩაეთვლება ტექნიკური მოგება 3:0.*

U17

# დახასიათება ჭაბუკებს ევროპაში წარსადგენად

**საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები თბილისიდან ნანტისკენ დღეს, გამთენიისას გაფრინდა. კობა ჟორჟიკაშვილის გუნდი დანიშნულების ადგილამდე სამი გადაჯდომით, თბილისი-სტამბოლი-პარიზი-ნანტის ავიარეისით ჩააღწევს. შეგახსენებთ, ნაკრებს გამოაკლდა ლიდერი და საუკეთესო ბომბარდირი ბაჩანა არაბული, რომელიც ორიოდე დღის წინ ვარჯიშზე დაშავდა.**

**ნაკრების მთავარ მწვრთნელს საელიტრაუნდე განაცხადში შეყვანილი ფეხბურთელების მოკლე დახასიათება ვთხოვეთ.**

### მეკარეები

**გაბრიელ თებიძე (ოლიმპი)**

კარგი მონაცემები აქვს, გამოირჩევა ტექნიკით, ფეხით კარგი თამაშითა და მოედნის ხედვით. მისგან მეტ ლაპარაკს, ანუ თანაგუნდელებთან აუცილებელ კონტაქტს მოვითხოვდით და თებიძეც ამ ბოლო დროს უფრო ხშირად აძლევს მათ მითითებებს. უკეთ გამოსდის ბოლო მცველის პოზიციაზე თამაშიც.

*პირველ ეტაპზე: 3 მატჩი, -2 გოლი*

**გიორგი ბერია (მარტვილი)**

იგი ნაკრებში სულ ახლახან დამკვიდრდა და მისი სახით თებიძეს ღირსეული შემცვლელი ჰყავს. საიმედოა კარის ხაზზე, უნდა იმუშაოს ტექნიკაზე.

### მცველები

**დავით მთივლიშვილი (ლოკომოტივი)**

მარჯვენა მცველი. გამოირჩევა სისწრაფითა და შეტევაში აქტიური ჩართვით. დასახვეწი აქვს შეტევის დამამთავრებელ ფაზაში თამაში.

*პირველ ეტაპზე: 3 მატჩი*

**სულხან კახიძე (შუქურა, ქობულეთი)**

ცენტრალური მცველი. ტექნიკურია, გამოსასწორებელი აქვს თავით თამაში. მწვრთნელების მითითებით წონასაც მიხედა და ამით მისი სისწრაფე საგრძნობლად გაიზარდა.

*პირველ ეტაპზე: 3 მატჩი*

**ნიკა სანდოხაძე (დინამოს აკადემია)**

ცენტრალური მცველი, გუნდის კაპიტანი. ტანმაღალია, რაც ბურთთან „ურთიერთობაში“ ხელს არ უშლის. ძლიერია „მეორე სართულზე“, უნდა დახვეწოს ერთი-ერთზე თამაში.

*პირველ ეტაპზე: 3 მატჩი*

**ცოტნე მონიავა (მარტვილი)**

მარცხენა მცველი. კლუბში ცენტრალურ ნახევარმცველად თამაშობს, ნაკრებში კი - დაცვის ფლანგზე, რაც, ბუნებრივია, მის უნივერსალიზმზე მეტყველებს. სწრაფია და გამოირჩევა გამძლეობით, მართებს თავით თამაშის გაუმჯობესება.

*პირველ ეტაპზე: 3 მატჩი*

**დაჩი ცნოგილაძე (ოლიმპი)**

ცენტრალური მცველი. ტაქტიკურად კარგად მოქმედებს - აზროვნებს და კარგად კითხულობს თამაშს. აქვს ლიდერის თვისებები, უნდა დახვეწოს “მეორე სართულზე” თამაში.

*პირველ ეტაპზე: 2 მატჩი*

**სანდრო ჭილვარია (ლოკომოტივი)**

ცენტრალური მცველი. საჭიროების შემთხვევაში ასრულებს მარცხენა მცველის ფუნქციებსაც. გუნდში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფია, ძლიერია შეტევაში, აქვს კარგი დრიბლინგი. გუნდურ თამაშს მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს.

*პირველ ეტაპზე: 2 მატჩი*

### ნახევარმცველები

**გოგი გოგიჩაიშვილი (ტორპედო)**

ცენტრალური ნახევარმცველი. კარგად ფლობს ბურთს და კარგად ასრულებს სტანდარტულებს. გამოირჩევა აზრიანი თამაშით.

*პირველ ეტაპზე: 3 მატჩი*

**ლუკას ჰუფნაგელი (ბაიერნი)**

ცენტრალური ნახევარმცველი. ერთნაირად ძლიერია დაცვით და შეტევით მოქმედებებში. აქვს თამაშის წაკითხვის გამორჩეული უნარი.

*პირველ ეტაპზე: 3 მატჩი*

**გურამ სამუშია (ბაია)**

ფლანგის ნახევარმცველი. შეუძლია ორივე ფრთიდან შეტევა, ძლიერია ერთი-ერთზე, სწრაფია და კარგად ამწვავებს თამაშს. გასაუმჯობესებელი აქვს მარცხენა ფეხით თამაში.

*პირველ ეტაპზე: 3 მატჩი*

**ნიკა დიასამიძე (ბათუმი)**

ფლანგის ნახევარმცველი. უნივერსალია, თამაშობს ცენტრშიც და ორივე ფლანგზეც. მობილური და დაუღალელია, გამოირჩევა სისწრაფითა და არაორდინარული გადაწყვეტილებებით. აქტიურია შეტევაში, დაცვისას კი მეტი ენერგიულობა მართებს.

*პირველ ეტაპზე: 2 მატჩი*

**ავთანდილ ენდელაძე (ბაია)**

ცენტრალური ნახევარმცველი. აქვს კარგი დრიბლინგი და ძლიერი დარტყმა, კარგად ასრულებს სტანდარტულებს.

*პირველ ეტაპზე: 3 მატჩი*

**შალვა ექვთიმიშვილი (35-ე საფეხბურთო სკოლა)**

ცენტრალური ნახევარმცველი. არ ერიდება ორთაბრძოლაში შესვლას. აქვს თამაშის ხისტი მანერა. გუნდს ზამთარში შეუერთდა და ადაპტირება არ გასჭირვებია.

### თავდამსხმელები

**თემურ მარკოზაშვილი (მერანი, თბილისი)**

უკანდახეული თავდამსხმელი. თამაშობს მოედნის სიღრმიდან, სწრაფია, აქვს კარგი დრიბლინგი. ბურთს კარგად ინარჩუნებს და დიდი მოცულობის სამუშაოს ასრულებს.

*პირველ ეტაპზე: 3 მატჩი*

**გიორგი ფანცულაია (ოლიმპი)**

ცენტრფორვარდი. კარგად თამაშობს ორივე ფეხით, აქვს საგოლე ალღო. მოეთხოვება მეტი მოძრაობა უბურთოდ და უფრო გუნდური თამაში.

*პირველ ეტაპზე: 1 მატჩი*

**ნიკა ტარყაშვილი (ბეერსხოტი)**

ცენტრფორვარდი. ბელგიაში მოთამაშე ნაკრებს სულ ახლახან შეუერთდა. სწრაფი თავდმსხმელია, მეტოქის საჯარიმოში გამუდმებით ეძებს თავისუფალ სივრცეებს.

**ბუდუ ზივზივაძე (35-ე საფეხბურთო სკოლა)**

ცენტრფორვარდი. ნაკრების განაცხადში არაბულის ტრავმის გამო მოხვდა. ძალისმიერი ფეხბურთელია, თამამად იღებს გადაწყვეტილებებს. მეტი უნდა იაზროვნოს და ისწავლოს დროულად და გონივრულად გახსნა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



კობა ჟორჟიკაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველები რუსეთში

# ბიშოვეცმა ჩვენებიც კარგად ახსენა


ანატოლი ბიშოვეცი

რუსეთის პრემიერ-ლიგის საწყისი ტურების კომენტარი "სოვეტსკი სპორტმა" ცნობილ სპეციალისტ **ანატოლი ბიშოვეცს** სთხოვა. მის კომენტარებში ჩვენთვის საინტერესოც ამოვიკითხეთ.

*"კრასნოდარში" ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა ტუბიჩმა. ის და ამისულაშვილი დაცვის ცენტრში ჰარმონიულად ავსებენ ერთმანეთს.*

*"ზენიტში" სადებიუტო შეხვედრა ჩაატარა იგორ ჩემინავამ, რომელიც ახალგაზრდული ნაკრებიდან მეცნობა. ზოგჯერ მას პარტნიორებთან ურთიერთგაგება არ ჰყოფნიდა, შეტევებში კარგად ვერ ერთვებოდა, მაგრამ დაცვით ფუქნქციებს უშეცდომოდ ასრულებდა.*

*... ვის გამოვარჩევდი კლუბების ახალწვეულებისგან? "ვოლგას" ცენტრალურ მცველ გია გრიგალავას და მის პარტნიორ თავდამსხმელ ოთარ მარცვალაძეს. ეს უკანასკნელი "ვოლგაში" გასულ წელსაც გამოდიოდა, მაგრამ რუსეთის პრემიერლიგაში არასდროს უთამაშია"* – ამბობს ბიშოვეცი.

**მერაბ მამულაშვილი**

ფუტსალი

# პირველად ქართულ ფუტსალში

## იბერიამ სამწვრთნელო სემინარი ჩაატარა

უკვე ვწერდით, ფუტსალში საქართველოს ჩემპიონმა "იბერია სტარმა" მთავარი მწვრთნელი **ოლეგ სოლოდოვნიკი** ბრაზილიაში სამწვრთნელო სემინარზე რომ მიავლინა. "იბერიას" უკრაინელი დამრიგებელი სემინარის 73 მონაწილეს შორის ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ერთადერთი იყო.

ამას საინტერესო გაგრძელება მოჰყვა: სოლოდოვნიკის დაბრუნების შემდეგ "იბერიას" პრეზიდენტ **ვახტანგ წერეთელს** გაუჩნდა აზრი, მსგავსი სემინარი საქართველოშიც ჩაეტარებინა. ასეც მოხდა და ქართული ფუტსალის 20-წლიან ისტორიაში პირველი სამწვრთნელო სემინარი "იბერია სტარის" სპონსორის, კომპანია "სამგორი 94"-ის ოფისში გაიმართა და მას ოცამდე ქართველი მწვრთნელი ესწრებოდა.

ფუტსალის ასოციაციის გამგეობის წევრ **გიორგი დარჯანიას** თქმით, სემინარს სამოყვარულო გუნდების (ბიზნესის და ვეტერანთა ლიგების) მწვრთნელებიც ესწრებოდნენ, ამ გუნდთაგან ზოგი მომდევნო სეზონიდან ფუტსალის ლიგაში ფიქრობს გამოსვლას და სემინარი მათ კარგ სამსახურს გაუწევს.

**ოლეგ სოლოდოვნიკი:** *„შევადგინეთ სემინარის სამუშაო გეგმა – ფიზმომზადება, შეტევის და დაცვის სქემები, სტანდარტული მდგომარეობები, ვარჯიშები მეკარეებისთვის, გუნდის ფსიქოლოგიური მომზადება... მინდოდა, სემინარს აზრთა გაზიარების სახეც ჰქონოდა. ჩემთვისაც ძალიან საინტერესოა ქართველი მწვრთნელების ვარჯიშების გაცნობა."*

სემინარზე აჩვენეს ვიდეომასალაც და მწვრთნელებს საშუალება ჰქონდათ, საუკეთესო ბრაზილიური კლუბების ვარჯიშები ენახათ.

**ლაშა ცნობილაძე**, სტუ-ს მწვრთნელი: *"დიდი მადლობა ვახტანგ წერეთელს და ოლეგ სოლოდოვნიკს ამ სემინარის ჩატარებისთვის. თავის დროზე "იბერიაში" თამაშმა დიდი გამოცდილება შემძინა და ახლა ამ სემინარით სამწვრთნელო გამოცდილებაც გავიმდიდრე."*

**მერაბ მამულაშვილი**

# გიგაბაიტიანი სენსაცია

## მოყვარულებმა პროფესიონალები დაამარცხეს

ფუტსალში საქართველოს თასის პირველი ეტაპის მატჩები საინტერესო და სენსაციური შედეგებითაც დასრულდა: მეოთხედფინალში გასული 8 გუნდიდან, 5 ბიზნესის (სამოყვარულო) ლიგის წარმომადგენელია.

| | |
|---|---|
| გიგაბაიტი-თსუ | 6:4 |
| იმპერიალ ტობაკო-ქუთაისი | 8:9 |
| შავნაბადა-დაცვის პოლიცია | 3:5 |
| სტუ-თელავი | 5:0 |
| ლიბერთი ბანკი-სოკარი | 2:8 |
| საქართ. უნივერსიტეტი-ბათუმი | 10:5 |

"იბერია სტარი" და "ალგო" თასის პირველი ეტაპიდან თავისუფლები იყვნენ, სუპერლიგის დანარჩენი გუნდებიდან კი მხოლოდ ქუთაისელებმა მოახერხეს მეოთხედფინალში გასვლა და ისიც ძალიან გაუჭირდათ. ბოლო წუთზე, როდესაც ანგარიში 8:8 იყო, "იმპერიალ ტობაკომ" 10-მეტრიანი პენალტი ვერ გამოიყენა და იმერლებმა ძირითადი დროის დასრულებამდე 8 წამით ადრე მოახერხეს გამარჯვების ბურთის გატანა.

პირველი წრის მთავარი სენსაცია კი თსუ-ს მარცხი იყო ბიზნესის ლიგის შარშანდელ გამარჯვებულ "გიგაბაიტთან".

მეოთხედფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ:

**იბერია სტარი-დაცვის პოლიცია**
**სოკარი-ალგო**
**ქუთაისი-სტუ**
**გიგაბაიტი-საქართ. უნივერსიტეტი**

პირველი მატჩები 9-10 აპრილს გაიმართება, საპასუხოები — 16-17 აპრილს.

გუშინ კი ფუტსალის ჩემპიონატის ერთი მატჩი გაიმართა, რომელშიც თსუ-მ ბათუმელებს 8:2 მოუგო.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იბერია | 11 | 11 | 0 | 0 | 108:24 | 33 |
| 2. ალგო | 14 | 11 | 0 | 3 | 83:28 | 33 |
| 3. თსუ | 13 | 9 | 0 | 4 | 65:36 | 27 |
| 4. ქუთაისი | 14 | 5 | 0 | 9 | 76:102 | 15 |
| 5. ბათუმი | 14 | 3 | 0 | 11 | 54:128 | 9 |
| 6. თელავი | 12 | 0 | 0 | 12 | 14:82 | 0 |

**მერაბ მამულაშვილი**

# რატომ?

**გუშინ თბილისში სტუმრობდა ესპანური საფეხბურთო კლუბის „ვალენსიას" დელეგაცია. სამწუხაროდ, „ლელომ" ეს ვიზიტი იმ მიზეზით ვერ გააშუქა, რომ ჩვენთვის დელეგაციის სტუმრობის შესახებ არავის უცნობებია.**

უეფას საპრეზიდენტო არჩევნები

# ფრანგის უალტერნატივობა



მოსახდენი მოხდა. პარიზში უეფას XXXV კონგრესის მონაწილეთაგან **მიშელ პლატინის** 53 ხმა ერგო. აღსანიშნავია, რომ არჩევნებში მას კონკურენტი არც ჰყოლია. პირველად ფრანგი ფუნქციონერი ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის ხელმძღვანელად 2007 წლის იანვარში აირჩიეს. *„ოთხი წლის წინ თანამდებობაზე არჩევის შემდეგ, უპირველესად, ძველ მეგობრებს ვუხდიდი მადლობას, იმ ადამიანებს, რომლებიც ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპზე ჩემ გვერდით იდგნენ. ძალიან ემოციური მომენტი იყო. დღეს კი ამ სიტყვას ვეუბნები ჩემს ახალ მეგობრებს. მათ, ვინც ამწუთას დგას ჩემთან ერთად. მადლობა მინდა გადავუხადო ფეხბურთის ეროვნულ ასოციაციებს, იმისთვის, რომ ჩემი სჯერათ,"* - განაცხადა პლატინიმ სამადლობელ სიტყვაში. ფრანგმა ცალკე აღნიშნა უეფას აღმასრულებელი კომიტეტის წევრებისა და ადმინისტრაციის მუშაკების შრომა და მადლობა მათაც უთხრა. მას არ დავიწყებია *„უამრავი მწვრთნელისა და ენთუზიაზმით სავსე ათასობით მოხალისის შრომა, რომლებიც მასობრივი ფეხბურთის პოპულარიზაციისთვის განსაკუთრებულად ილვწიან. სწორედ ასეთი ადამიანები ასწავლიან ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს გარკვეულ ღირებულებებს და ცხოვრების გაკვეთილებს უტარებენ მათ. ესეც თავისებური საშუალებაა, გავხადოთ ჩვენი საზოგადოება უკეთესი,"* - განაცხადა პლატინიმ. აქვე გეტყვით, რომ უეფამ პრეზიდენტის გარდა აღმასრულებელი კომიტეტის ახალი წევრებიც აირჩია. ესენი არიან: **ანხელ მარია ვილიარ ლიონა** (ესპანეთი), **სენეშ ერზიქი** (თურქეთი), **პიტერ ჟილერონი** (შვეიცარია), **გრიგორი სურკისი** (უკრაინა), **სერგეი ფურსენკო** (რუსეთი) და **ბორისლავ მიხაილოვი** (ბულგარეთი).

გარდა საზეიმო ღონისძიებებისა, უეფას კონგრესმა ფეხბურთში არსებული პრობლემებისთვისაც მოიცალა. ისევ მიშელ პლატინის სიტყვებს მოვუხმობთ. უეფას პრეზიდენტმა საჯაროდ პირველად ილაპარაკა იმაზე, რაზეც კულუარებში უკვე დიდი ხანია ჩურჩულებენ. მან გამოთქვა სერიოზული ეჭვი, თავის დროზე ევროპული ფეხბურთის მამებმა ხომ არ დაუშვეს დიდი შეცდომა, როცა ევროპის ჩემპიონატის თანამასპინძლად უკრაინა დაასახელეს. პლატინიმ იქვე დასძინა, რომ ნიონში უკრაინელების იმედი ბოლომდე ექნებათ. *„თუმცა იმედს ვიტოვებ, რომ ყველაფერი კარგად ჩაივლის. მინდა მჯეროდეს, ის ადამიანები, რომლებიც უკრაინაში ჩავლენ, მშვენიერ დროს გაატარებენ და სამხრეთ აფრიკისგან განსხვავებით ქუჩებშიც საზეიმო განწყობა იქნება,"* - თქვა მან. შეკითხვაზე, ჩვეულებრივზე მეტად ინერვიულებს თუ არა ევროპის ჩემპიონატის გახსნით მატჩზე, პლატინიმ უპასუხა, რომ სანერვიულო ფინალური მატჩის დასრულებამდე არ დაელევა.

უეფას კონგრესმა ასევე უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიიღო სანაკრებო მატჩების ტელეტრანსლაციებთან დაკავშირებით. 2016 წლის ევროპირველობის შესარჩევი ეტაპის მატჩების სატელევიზიო ჩვენების უფლებას უკვე უეფა გაყიდის და შემოსული თანხიდან შედარებით ღარიბ ფედერაციებს დაფინანსებას გაუზრდის. აღნიშნულ გადაწყვეტილებას უეფას წევრმა 53-ივე ასოციაციამ დაუჭირა მხარი. *„ამიერიდან პატარა საფეხბურთო ქვეყნებს აღარ მოუწევთ იმაზე დარდი, მოხვდებიან თუ არა „კარგად გაყიდვად" ნაკრებებთან ერთად შესარჩევ ჯგუფში,"* - აცხადებს პრეზიდენტი.

უეფას კონგრესმა კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე იმსჯელა. მან ევროპული გუნდებისთვის მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ფორმატი საბოლოო სახით წარმოადგინა. 3 წლის შემდეგ ევროპას სამხრეთ ამერიკაში სულ 13 წარმომადგენელი ეყოლება. მაშ ასე, შესარჩევ ეტაპზე 8 ექვსგუნდიანი და 1 ხუთგუნდიანი ჯგუფი შეიქმნება. ჯგუფების გამარჯვებულები პირდაპირ მოიპოვებენ ბრაზილიის საგზურს. დარჩენილ 4 ადგილს კი საუკეთესო 8 მეორეადგილოსანი ერთმანეთთან დაპირისპირებისას გაარკვევს.

**ლევან ბიბილაშვილი**

ჩელსი

# კარლეტო წავა, თუკი...



„არისტოკრატების" თავკაცმა **კარლო ანჩელოტიმ** გუშინ განაცხადა, რომ ის „ჩელსიდან" თავისი სურვილით წავა, თუკი გუნდის მესაკუთრე **რომან აბრამოვიჩი** სეზონის ბოლოს მისი მუშაობით უკმაყოფილო დარჩება. არადა, „სიტისთან" მოგებული მატჩის შემდეგ ის ირწმუნებოდა, რომ ძალიან კმაყოფილი იყო ლონდონური ყოფით და სულაც არ აწუხებდა კლუბის დირექტორის **როი გურლეის** განცხადება, იტალიელის ბედს მაისის ბოლოს გავარკვევთო. *„ამ მომენტში იმის თქმა შემიძლია, რომ ბედნიერი ვარ და ვფიქრობ, რომ „ჩელსისთან" თანამშრომლობას ზაფხულში წერტილი არ დაესმება. თუმცა არ შეიძლება იმის გამორიცხვა, რომ ხელმძღვანელობა შედეგებით უკმაყოფილო დარჩეს. ასეთ დროს მხარეებს სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება მოგვიწევს. გასათვალისწინებელია, რომ კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მხრიდან არნახული მხარდაჭერა სწორედ მაშინ ვიგრძენი, როცა გუნდი მართლა უმძიმეს კრიზისში იყო. გახსოვთ, რომ ჩემს გუნდს თითქმის 2 თვის განმავლობაში „ეძინა". ვაცნობიერებ, რომ ძალიან ბევრი მწვრთნელი ჩემს ადგილას რომ ყოფილიყო, „ჩელსის" დარჩენილ თამაშებს ტელევიზორიდან თუ უყურებდა, მე კი ჯერ კიდევ აქ ვარ,"* - განაცხადა ანჩელოტიმ.

ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია „ჩელსი"-"მანჩესტერ სიტის" მატჩისას ფანების მხრიდან წითელი ლაზერული სხივების გამოყენების ფაქტს შეისწავლის. ამისთვის კი უკვე გამოითხოვეს „სტემფორდ ბრიჯის" უსაფრთხოების სამსახურის ვიდეოჩანაწერები. „ჩელსის" შესაბამისმა სამსახურებმა უკვე დაადასტურეს, რომ მათ დამოუკიდებელი გამოძიება დაიწყეს და სტადიონზე დამონტაჟებული ულტრათანამედროვე ტექნიკის დახმარებით დამნაშავეების პოვნას აპირებენ. ლონდონელთა ფანები სხივებს სტუმარ ფეხბურთელებსა და არბიტრ **კრის ფოის** ანათებდნენ. უეფას მიერ მსგავსი საშუალებით მეტოქისთვის კონცენტრაციაში ხელის შეშლა აკრძალულია. არა ერთი და ორი მაგალითის გახსენება შეიძლება, როცა გუნდები ამის გამო დაუჯარიმებიათ. სავარაუდოდ, ლონდონურ კლუბსაც მოუწევს ფანების ხულიგნური ქმედებების გამო სოლიდური თანხის გაღება.

ბოლოს მოკლედ შეგახსენებთ ბოლო წლებში სწორედ ლაზერულ სხივებთან დაკავშირებულ გახმაურებულ შემთხვევებს. 2010 წლის იანვარში „ლინფილდისა" და „გლენტორანის" მატჩისას მასპინძელი ფანები 90 წუთის განმავლობაში აწუხებდნენ ლინფილდელთა დამრიგებელ **დევიდ ჯეფრის**. მატჩის დასრულების შემდეგ მან ფანებს „იდიოტები" უწოდა. ამ ინციდენტიდან 1 თვეში „ლიდსის" ფეხბურთელებმა „კარლაილთან" სათასო მატჩის შემდეგ დაიჩივლეს. ყველაზე ალმაშფოთებელი ის იყო, რომ შეხვედრა პენალტების სერიამდე მივიდა და ვაიგულშემატკივრები ყველაზე მეტად სწორედ ამის შემდეგ გააქტიურდნენ, რითიც ლიდსელებს სერიოზული დისკომფორტი შეუქმნეს. უკანასკნელი შემთხვევა კი ჩემპიონთა ლიგაში „ველოდრომზე" „მარსელისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" მატჩისას მოხდა. ფრანგი გულშემატკივრები განსაკუთრებით **ნანისა და პატრის ევრას** „ემტერებოდნენ".

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

ინგლისის ნაკრები

## ქეროლის როლი ნაკრებში



ენდი ქეროლი უელსთან სასტარტოში იქნება?

შაბათს კარდიფის „მილენიუმზე" უელსის ნაკრების კარს **ფაბიო კაპელო** 65 მილიონი ფუნტით შეუტევს — ასეთია **უეინ რინისა** და **ენდი ქეროლის** ჯამური საბაზრო ფასი. ახალგაზრდა ქეროლს დიდი სანაკრებო გამოცდილება არ აქვს, მაგრამ ინგლისელთა იტალიელ მწვრთნელს ის ძალიან მოსწონს და კვირას, სანდერლენდში, „ლივერპულის" თამაშზე, მის დასაზვერად, ასისტენტი **ფრანკო ბალდინი** მიავლინა. რამდენადაც ცნობილია, ბალდინი ყოფილი ნიუკასლელით კმაყოფილი დარჩა, თუმცა კაპელო ბრმად მაინც არ წყვეტს და სათადარიგო ტაქტიკურ ვარიანტსაც ამუშავებს. ერთი სიტყვით, შაბათამდე გამოჩნდება, რუნისა და ქეროლის წყვილი უფრო მწვავეა თუ რუნისთვის „ასტონ ვილას" თავდამსხმელის **დარენ ბენტის** მიშველება სჯობს.

შეგახსენებთ, რომ ქეროლი „ლივერპულში" გადასვლის შემდეგ მოედანზე სულ ოთხჯერ გავიდა და აქედან ორჯერ სათადარიგო იყო. მიზეზი: მას ჯერ კიდევ იანვრამდე ანუ „ნიუკასლში" სტკიოდა ბარძაყი. კვირას, სანდერლენდის „სთედიუმ ოფ ლაითზე" ქეროლმა **ლუის სუარესთან** ერთად მოედანზე 71 წუთი დაყო და ექსპერტების აზრით, თვალნათლივ დაამტკიცა, რომ **კენი დალგლიშს** ამ წყვილზე დაყრდნობით „ლივერპულის" მომავლის აშენება შეუძლია. ქეროლს ეროვნულ გუნდში დებიუტი ნოემბერში, საფრანგეთის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრაში ჰქონდა.

ამასობაში გრძელდება მსჯელობა კაპიტნის თემაზე. ტაბლოიდებისთვის ცნობილი გახდა, რომ **ჯონ ტერის რიო ფერდინანდმა** დაურეკა და წარმატება უსურვა. „სანი" წერს, რომ ფერდინანდის მხრიდან ეს ისეთი საქციელი იყო, რომელსაც კაპელო ვერასდროს გაიგებს — მოგეხსენებათ, იტალიელმა მანჩესტერელს სამკლავური ისე ჩამოართვა და ტერის ისე დაუბრუნა, რომ არც კი გაუფრთხილებია. მწვრთნელის გადაწყვეტილების შესახებ ფერდინანდმა პრესიდან შეიტყო.

ამრიგად, გაირკვა, რომ ფეხბურთელებს შორის ყველაფერი მოგვარებულია და გუნდში წყენა არ არის. ერთადერთი, რაც რიოს გულში სამუდამოდ ჩარჩება, კაპელოს საქციელია. ფერდინანდის მავანმა მეგობარმა ჟურნალისტებს უამბო:

*„რიომ გადაწყვიტა, რომ მისი მხრიდან ყველაზე სწორი საქციელი ჯონთან დარეკვა და თავისი პოზიციის მკაფიოდ გამოხატვა იქნებოდა. მან ტერის შაბათის შეხვედრაში გამარჯვება უსურვა და უთხრა, რომ ინგლისის ნაკრების გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარება. რიო და ჯონი რა ხანია პარტნიორები არიან და მეგობრობენ კიდეც. იქნებ, კაპელო რიოს საქციელს დააკვირდეს რამე ისწავლოს".*

ტერის კაპიტნობას კი „ლივერპულის" მცველი, ადრე „ჩელსიში" ნათამაშები **გლენ ჯონსონი** მიესალმა:

*„ჯონ ტერი დიდებულად კაპიტნობდა „ჩელსისაც" და ნაკრებსაც. ეჭვი არ მეპარება, რომ ის კვლავაც ასე გააგრძელებს. რაღ უნდა ლაპარაკი, რომ რიოს სამკლავურის ჩამორთმევა ძალიან ატკენდა გულს, მაგრამ ის დიდი ადამიანია და, ეჭვი არ მეპარება, სწორად მოიქცევა. იმის თქმა მინდა, რომ კაპიტნის შეცვლის გამო ნაკრებში არაფერი აირევა, რადგან აქ ყველა პროფესიონალია და საქმეს პირველ ადგილზე აყენებს.*

*ჩვენთვის ყველაზე ძნელი „ტოტენჰემის" ნახევარმცველ გარეთ ბეილთან გამკლავება იქნება. ის ფანტასტიკური ფეხბურთელია და თან ამ სეზონში განსაკუთრებით კარგად თამაშობს. თუმცა, ჩვენც კარგი ფეხბურთელები გვყავს. კარდიფიდან სამი ქულის წამოღება გვჭირდება და ამიტომ ყურადღების სრული მობილიზება მოგვიწევს".*

ამომავალი ვარსკვლავი

## შვილო, ძირს ჩელსი!



სად წავა ნიჭიერი დანიელი ამ ზაფხულში?

„აიაქსის" ვუნდერკინდ **კრისტიან ერიკსენის** მამა ტომასი შვილს კატეგორიულად აფრთხილებს, არ შეცდეს და „ჩელსიში" არავითარ შემთხვევაში არ გადავიდეს. მოგეხსენებათ, 19 წლის დანიელი დღეს ევროპის ერთ-ერთ ყველაზე კაშკაშა ამომავალ ვარსკვლავად ითვლება. ბრიტანული გაზეთები წერენ, რომ მან დანიისა და ინგლისის ნაკრებთა ამხანაგურ შეხვედრაში ინგლისელი თანატოლი **ჯეკ უილშირი** სრულიად დაჩრდილა. ერიკსენის შეძენა პრემიერლიგის ბევრ გუნდს სურს, თუმცა „არსენალის", „ლივერპულის" თუ „ჩელსის" გარდა მის მიმართ ინტერესს ესპანური „ბარსელონაც" იჩენს. ახალგაზრდა ფეხბურთელის ფასი დღეისათვის 10-13 მილიონ ფუნტს შორის მერყეობს (ევროებში 11,5-15).

„ჩელსიში" კრისტიან ერიკსენი მისმა თანამემამულემ, ლონდონელთა კლუბის დირექტორმა, წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა **ფრენკ არნესენმა** მიიწვია. ბარემ შეგახსენებთ, რომ არნესენს „ლურჯებთან" კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს უმთავრდება და ის კლუბიდან მიდის. დანიელ დირექტორს ბიჭისთვის თვალი ჯერ კიდევ იმ დროიდან აქვს დადგმული, როდესაც ის 15 წლის იყო და „ოდენსეს" აკადემიაში ვარჯიშობდა. მან ორჯერ ჩაიყვანა კიდეც ბავშვი ლონდონში და „ჩელსის" ბაზაზე ავარჯიშა, თუმცა 2008 წელს ყველაფერი „აიაქსის" სასარგებლოდ გადაწყდა.

მოგეხსენებათ, „ჩელსის" ნიჭიერი ყმაწვილების მთელი მსოფლიოდან მიზიდვის და პირველი გუნდისთვის თავის აკადემიაში მომზადების პროექტი ჰქონდა და დღემდე მისი ერთგულია. მაგალითისთვის შორს წასვლა არ არის საჭირო: დასავლეთლონდონელებმა გასულ კვირაში 17 წლის ბრაზილიელი შემტევი ნახევარმცველი **ლუკაშ პიაზონი** იყიდეს, მაგრამ ერიკსენის შემთხვევა სხვაა. როგორც თავშივე მოგახსენეთ, ფეხბურთელის მამა „ლურჯებთან" ყოველგვარი კავშირის წინააღმდეგია. ის ძალიან კმაყოფილია, რომ მისი ვაჟი **რომან აბრამოვიჩის** კლუბს წინა ორ ცდაზე ხელიდან დაუსხლტა და მსოფლიოს ყველა ამომავალ ვარსკვლავს ურჩევს, „სტემფორდ ბრიჯიდან" თავი შორს დაიჭირონ.

*„ლონდონელებს ეგონათ, რომ ჩემი ბიჭი სუსტია და ძალიან ნიჭიერი არ იყო —* თქვა **ტომას ერიკსენმა** *— მათ მესამედაც სურდათ მისი შესამოწმებლად ჩაყვანა, მაგრამ მე კატეგორიული უარი განვაცხადე. თუ კრისტიანის დატოვება უნდოდათ, ამისი შანსი საკმაოდ ჰქონდათ. მე აშკარად დავინახე, რომ ინგლისი ჩემი შვილისთვის შესაფერისი არ იყო. ამ ქვეყანაში ფეხბურთელებს ცივად ეპყრობიან. თუ დაინახავენ, რომ რომელიმე ახალგაზრდა სხვათაგან გამოირჩევა, ის დიდ გუნდში გადაჰყავთ, დანარჩენების ბედი კი საერთოდ არ ადარდებთ. ინფრასტრუქტურა ძალიან კარგი აქვთ, მაგრამ კრისტიანი იქ არ ჩავა".*

მოსაზრება

## აფრიკული დიაგნოზი: არსენალი სუსტია

„ვესტ ბრომვიჩმა" პრემიერლიგის ბოლო ტურში „არსენალთან" 2:2 ითამაშა. მოგეხსენებათ, „მეთოფეები" თავიდან 2:0-ს აგებდნენ და მოგებაზე ლაპარაკი ზედმეტია, ქულა გაუხდათ გადასარჩენი. სწორედ ამ დღეს დაასკვნა ვესტ ბრომვიჩელთა ნახევარმცველმა **იუსუფ მულუმბუმ**, რომ **არსენ ვენგერს** სუსტი გუნდი ჰყავს და ის ჩემპიონის ტიტულს ვერ მოიპოვებს.

*„ვფიქრობ, ამიერიდან „არსენალს" ძალიან გაუჭირდება - თქვა 24 წლის ზაირში დაბადებულმა კონგოელმა ნახევარმცველმა - ვგრძნობ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი" ლონდონელებზე გაცილებით სოლიდურია. მეტიც, მე თუ მკითხავთ, პრემიერლიგის ჩემპიონის ბედი უკვე გადაწყვეტილია - ტიტულს „იუნაიტედი" მოიგებს. რატომ ვფიქრობ ასე? ყველაფერი მენტალიტეტზეა დამოკიდებული. „მანჩესტერ იუნაიტედი" მტკიცე ხასიათის გუნდია. მაგალითად, შაბათს, ჩვენთან შეხვედრაში, ნამდვილად ძლიერი გუნდი 2:0 ჩამორჩენის შემდეგ ანგარიშის გათანაბრებას არ დასჯერდებოდა და მოიგებდა კიდეც. სწორედ ეს თვისება აკლია „არსენალს". ახალგაზრდული ასაკი და ენთუზიაზმი იცოცხლე, „მეთოფეებს" ჭარბადაც კი აქვთ, მაგრამ ის, რითაც „იუნაიტედი" იმარჯვებს ამ გუნდს არ აქვს".*

მულუმბუ მონაწილეობდა „ვესტ ბრომვიჩის" მეორე გოლში, რომელიც მისმა გუნდმა „არსენალის" მეკარე **მანუელ ალმუნიას** შეცდომის წყალობით გაიტანა. ნახევარმცველს გული სწყდება ჩრდილოლონდონელებს ანგარიშის გათანაბრების საშუალება რომ მისცეს და სამი ქულა არ მოიპოვეს. მეორე მხრივ კი „ვესტ ბრომვიჩს" უკვე ხუთი თამაშია არ წაუგია და 2 აპრილს ახალი მწვრთნელის, **როი ჰოჯსონის** ყოფილ გუნდ „ლივერპულს" საკუთარ თავში დარწმუნებული ხვდება.



ასე ფიქრობს ზაირში დაბადებული კონგოელი მულუმბუ

*„ძალიან ბედნიერი ვარ, მშვენიერი გუნდის და ძლიერი მწვრთნელის ხელში რომ მოვხვდი. „ვესტ ბრომვიჩი" ლათინურ ფეხბურთს თამაშობს, სადაც მე საკუთარი შესაძლებლობების გამოხატვა შემიძლია. საქმეები ძალიან კარგად მიდის და იმედი მაქვს, რომ პრემიერლიგიდან არ გავვარდებით. ჩვენთვის მთავარი მიზანი სწორედ ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა. დააკვირდით, რა ხდება. ინგლისური ლიგა მართლაც უნიკალურია. აქ ყველა გუნდი ძალიან ახლოს არის ერთმანეთთან. აუტსაიდერს 30 ქულა აქვს, ჩვენ კი 33. ერთი წაგება და მეთექვსმეტე ადგილიდან პირდაპირ ცხრილის ფსკერზე ჩავეშვებით. ერთი სიტყვით, დიდი სიფრთხილე გვმართებს და მთავარია, ბოლო დღემდე არ შევანელოთ ბრძოლა. ვფიქრობ, ჩვენ ამ სეზონში გავარდნას არ ვიმსახურებთ".*

ანდრეი არშავინი კი ამბობს, რომ „არსენალმა" დარჩენილი ცხრავე შეხვედრა უნდა მოიგოს და ჩემპიონი გახდება. ცნობისთვის: „მეთოფეებს" პრემიერლიგაში 23 თებერვლის მერე არ მოუგიათ. გარდა ამისა, მათზე აშკარად იმოქმედა ჩემპიონთა ლიგაში „ბარსელონასთან" დამარცხებამ. არშავინმა თქვა:

*„ვფიქრობ, თუ ჩვენ ტიტულის მოგებას ვაპირებთ, ყველა დარჩენილ შეხვედრაში უნდა გავიმარჯვოთ".*

მანჩესტერ სიტი



„ქალაქელთა" ოპტიმისტი ბელგიელი მცველი მაღლა-მაღლა „დაფრინავს"

## კომპანი ტოტენჰემის წინააღმდეგ

**ვენსან კომპანი** ამბობს, რომ მზად არის „ტოტენჰემ ჰოთსპურს" შარშანდელისთვის „პასუხი აგებინოს". შეგახსენებთ, შარშან „მანჩესტერ სიტის" სწორედ „დეზებმა" წაართვეს სანუკვარი მეოთხე ადგილი, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში გასვლას ნიშნავდა.

გასულ სეზონში „ტოტენეჰემი" და „სიტი" ბოლოსწინა ტურში შეხვდნენ ერთმანეთს, სადაც „სფურზმა" ისტლენდელები **პიტერ კრაუჩის** გადამწყვეტი გოლით დაჯაბნა. წლეულს ეს გუნდები ისევ მეოთხე-მეხუთეს მიჯნაზე არიან და ერთმანეთთანაც სათამაშო აქვთ, თუმცა შეხვედრა, რომელიც „სიტი ოფ მანჩესტერ სთედიუმზე", წესით, 17 აპრილს უნდა გამართულიყო, გადაიდო. მიზეზი: თექვსმეტში „სიტი" ფეხბურთის ასოციაციის თასის ნახევარფინალში „მანჩესტერ იუნაიტედს" ხვდება.

მაშ, როდის გაიმართება ეს თამაში? ჯერჯერობით უცნობია. შესაძლოა ის უფრო მაისისკენ გადაიტანონ, რადგან „დეზები" 5 და 13 აპრილს, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში, „რეალს" ხვდებიან. კომპანი კი დიდ გულზეა და ამბობს, რომ მზად არის **ჰარი რედნაპის** ბიჭებს ნებისმიერ დროს შეხვდეს, რადგან ამ სეზონში „სიტი" მათზე უკეთ თამაშობს.

*„ჯერ ერთი, ვნახოთ, მანამდე რა მოხდება. დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენს შორის მაღლა მდგომი ამ შეხვედრისთვის უკვე გარკვეული იქნება, მაგრამ, თუ ყველაფერი მაინცდამაინც უშუალო დაპირისპირებაში უნდა გადაწყდეს, სიამოვნებით. ჩვენ ნებისმიერი დიდი მატჩისთვის ვართ მზად. სათამაშო გვაქვს „სფურზთან", „იუნაიტედთან"... სულერთია, ვისაც უნდა შეგვეჯიბროს. ჩვენ გაცილებით მეტი ვართ, ვიდრე უბრალო გუნდი და ვერც ერთი მატჩის მნიშვნელოვნება ვერ შეგვაშინებს"* — თქვა ბელგიელმა მცველმა.

რასაკვირველია, ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილის მოპოვება „მანჩესტერ სიტისთვის" ძალიან მნიშვნელოვანია და ამაზე დიდად არის დამოკიდებული მწვრთნელ **რობერტო მანჩინის** თანამდებობაზე დარჩენის ბედიც, თუმცა კომპანი საკითხს ასე საერთოდ არ სვამს. ის დარწმუნებულია, რომ „სიტი" საამისოდ საკმარის ქულებს მოიპოვებს.

*„ჩვენ არასდროს დაგვიქადნია, რომ აუცილებლად ჩემპიონები გავხდებით ან რაიმე ამგვარი, მაგრამ გუნდი რომ სულ ვითარდება, ეს აშკარაა. სულ მესამე-მეოთხე ადგილზე ვტრიალებთ და იმედი მაქვს, რომ ამაზე დაბლა აღარ ჩავალთ. კალენდარიც, ვფიქრობ, საჩვენოა. ჩვენ ყველა დარჩენილი თამაშის მოგება შეგვიძლია და თუ ეს მოვახერხეთ, სწორედ იქ აღმოვჩნდებით, სადაც გვინდა რომ ვიყოთ. ცხრილში ჩვენ გარშემო მყოფ გუნდებსაც ქულების დაკარგვის დიდი შანსი აქვთ, ასე რომ, ფარ-ხმალის დაყრა ძალიან ადრეა".*

მოგეხსენებათ, ისტლენდელებმა კვირას, „სტემფორდ ბრიჯზე", „ჩელსისთან" 2:0 წააგეს. ეს გახლდათ მრავალმხრივ საინტერესო თამაში, მათ შორის იმითაც, რომ „ჩელსისა" და „სიტის" მიერ დიდი ამბით ნაყიდი თავდამსხმელები, **ფერნანდო ტორესი** და **ედინ ჯეკო** კვლავ ჩაფლავდნენ. არადა, ამ ორი ფეხბურთელის ჯამური საბაზრო ფასი 77 მილიონი ფუნტია. კომპანის ამაზეც ჰკითხეს და მან უპასუხა, რომ როგორც ერთი, ასევე მეორე თავდამსხმელი მომავალ სეზონში გამოამჟღავნებს თავის სრულ პოტენციალს:

*„ტორესი, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია, ამას დიდი მტკიცება არ სჭირდება. აუცილებლად დადგება დღე, როდესაც ჩვენ ყველანი გავილვიძებთ და აღმოვაჩენთ, რომ მან გოლის გოლზე გატანა დაიწყო. ვიმეორებ, ეჭვი არ მეპარება, რომ ეს ბიჭი „ჩელსის" რაღაც მომენტში უდიდეს სარგებელს მოუტანს. პრობლემა მხოლოდ ის არის, რომ მან გუნდი იანვარში გამოიცვალა, შუა სეზონში ახალ გუნდში გადასვლა კი ყოველთვის პრობლემებთან არის დაკავშირებული. ადაპტაცია ადვილი არ არის. მეტიც, მას პირდაპირ რომ დაეწყო გოლების გატანა, სასწაული იქნებოდა.*

*იგივე შემიძლია ვთქვა ედინზე. ის ჩვენს გუნდში კარგად ჩაეწერა და ძალიან სასარგებლო ფეხბურთს თამაშობს, მაგრამ მისთვისაც ადაპტაციის პერიოდია. დარწმუნებული ვარ, სექტემბრიდან ჩვენ სულ სხვა ჯეკოსა და ტორესს ვიხილავთ".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადონინას წინ

# გატუზო: არ დავმალავ, ვღელავთ

## მორატი: ნაპოლი არ დაგავიწყდეთ...

მილანურ დერბიმდე ჯერ ორი კვირა დარჩა, იქამდე იტალიის ნაკრებს უწევს ორი შეხვედრის გამართვა, მაგრამ აპენინურ სპორტულ პრესაში უკვე ძალიან აქტიურად იწერება მომავალი „მადონინას" შესახებ. ასეთი დიდი ინტერესი იმით არის გამოწვეული, რომ გარდა ისტორიულ მეტოქეთა ტრადიციული დაპირისპირებისა, თამაში სატურნირო თვალსაზრისითაც უაღრესად მნიშვნელოვანია. „მილანი" ლიდერობს ჩემპიონატს, მაგრამ მხოლოდ ორი ქულით უსწრებს მთავარ მდევარ „ინტერს". ამასთან, „ნაპოლიც" იბრძვის სკუდეტოსთვის, „ნერაძურის" მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება, „როსონერის" კი სამით. მოკლედ, ისეთი ვითარებაა სატურნირო ცხრილში, რომ დედა შვილს არ აიყვანს ხელში. ეს ყველაფერი კი „მილანის" დამსახურებაა, რომელმაც ხუთი ქულა დაკარგა ბოლო ორ პაექრობაში და უკიდურესად დაძაბა სასკუდეტო მარათონი. **ჯენარო გატუზოს** თქმით, დერბიში ბევრი რამე გაირკვევა, მაგრამ არა ყველაფერი:

*„შეცდომები დავუშვით და ქულებიც ბლომად დავკარგეთ, რამაც სანერვიულო მოგვიმატა. დასამალი არაფერია, ვღელავთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კონცენტრაცია დავკარგეთ და მორალურად გავტყდით. პირიქით, სრული საბრძოლო განწყობაა გუნდში და დიდი მატჩისთვის ვემზადებით. დერბი ყველაფერს ვერ გადაწყვეტს, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრი რამის შეცვლა ძალუძს. იქნება თუ არა ფრე მისაღები შედეგი? - მხოლოდ მოსაგებად გავალთ მოედანზე, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ფრე უფრო ჩვენთვის იქნება მისაღები, ვიდრე „ინტერისთვის" - ეს ნამდვილად ფაქტია".*

გატუზომ „პალერმოსთან" მარცხი გაიხსენა, მიზეზებზე ისაუბრა და **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** დანაკლისზე გაამახვილა ყურადღება: *„სიცილიაში ცუდად არ გვითამაშია, მთელი შეხვედრის განმავლობაში ვფლობდით უპირატესობას, მაგრამ აქეთ გავუშვით გოლი და დავმარცხდით. ბოლო დროს, აშკარად არ გვიმართლებს - „ტოტენჰემთანაც" უპირატესობით წარვმართეთ პაექრობა, მომენტებიც გვქონდა, მაგრამ ბურთმა არ ინება მეტოქის კარის ხაზის გადაკვეთა. რას ვიზამთ, უნდა მივილოთ არსებული რეალობა და ბრძოლა გავაგრძელოთ. ზლატან იბრაჰიმოვიჩი დიდი ძალაა გუნდისთვის და მის დანაკლისს სიცილიაშიც ვგრძნობდით, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ზემოთ ნათქვამი უნდა გავიმეორო: უნდა გავუსწოროთ რეალობას თვალი და არსებული რესურსით გავიდეთ ფონს. ანტონიო კასანო, რობინიო და ალეშანდრე პატო ბრწყინვალე ფეხბურთელები არიან, მათ ნებისმიერი თამაშის საჩვენოდ გადაწყვეტა შეუძლიათ".*


ჯენარო გატუზო

პრესასთან გასაუბრება „ინტერის" პრეზიდენტმა, **მასიმო მორატიმაც** გადაწყვიტა და შემდეგი განაცხადა: *„მილანური დერბის ირგვლივ რომ დიდი აჟიოტაჟია, ეს სრულიად ბუნებრივად მეჩვენება და არ მიკვირს, მაგრამ იმას კი ნამდვილად ვერ დავიჩემებ, რომ სკუდეტოს ბედი ამ თამაშში წყდება. ვერც იმ მოსაზრებას დავეთანხმები, რომ ჩემპიონობისთვის მხოლოდ ორი გუნდი: „მილანი" და „ინტერი" იბრძვის. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ნაპოლია" ძალიან ახლოს ჩვენთან და შესანიშნავ ფეხბურთს თამაშობს. ჩემი აზრით, სამხრეთელები ბოლომდე იბრძოლებენ სკუდეტოსთვის. სულ ცოტა ხნის წინ, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ „მილანი" წინ გაიჭრა, „ნაპოლი" კი ჩამოშორდა სასკუდეტო მარათონს, თუმცა მალევე ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ამიტომ, დასკვნების გამოტანა ძალიან ადრეა და უმჯობესია, დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას. მთლიანობაში, ძალიან კარგი ჩემპიონატი გამოდის, გაცილებით უფრო საინტერესო, ვიდრე წინა წლებში".*

„მილანის" გულშემატკივრებს ყველაზე მეტად **ალეშანდრე პატოს** ჯანმრთელობის მდგომარეობა აინტერესებთ, რომელმაც „პალერმოსთან" პაექრობაში კოჭი დაიზიანა და არის საფრთხე, დერბის გამოტოვებამ მოუწიოს. თუმცა, თავად ფეხბურთელი ოპტიმისტურად არის განწყობილი: *„სიცილიაში თამაშისას ტკივილი ვიგრძენი ფეხში და შესაცვლელი გავხდი - სიმართლე გითხრათ, ძალიან შემეშინდა, რადგან ვიფიქრე, რომ ძველმა ტრავმამ შემახსენა თავი, მაგრამ საბედნიეროდ, ჩემი შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა. კოჭი მაქვს დაზიანებული და წესით, მალე უნდა ჩავდგე მწყობრში. ექიმები მაიმედებენ, რომ თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მილანურ დერბიში აუცილებლად ვითამაშებ".*

**ლაშა ნიკლაური**

დისკვალიფიკაცია


ფრანსელინო მათუზალემი

# კიდევ ერთი დასჯილი

ბოლო დროს სერია A-ს მატჩებში აშკარა უხეშობა და არასპორტული საქციელი ჩვეულებრივ ამბად იქცა - ტური არ გავა, რომ ერთი ფეხბურთელი მაინც დისკვალიფიკაციით არ დაისაჯოს. გამონაკლისი არც XXX სათამაშო დღე აღმოჩნდა, რომელშიც „ლაციოს" ნახევარმცველმა **ფრანსელინო მათუზალემმა** შეირცხვინა თავი. შეგახსენებთ, რომ „ბიანკოჩელესტემ" საკუთარ მოედანზე „ჩეზენა" მიიღო და მინიმალური ანგარიშით დაამარცხა მოწინააღმდეგე. ერთ-ერთ ეპიზოდში, მათუზალემმა თავი ჩაარტყა **ლუის ხიმენესს** და მეტოქე მინდორზე დააგდო. მატჩის მთავარ არბიტრს გამოეპარა ეს ყველაფერი და ფეხბურთელმა ბოლომდე ჩაამთავრა თამაში. თუმცა, კამერებმა დააფიქსირეს ფრანსელინოს უმსგავსო საქციელი და ეს ეპიზოდი სადისციპლინო კომიტეტის განსჯის საგანი გახდა. ვერდიქტმა არ დააყოვნა: სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია, რომელსაც ყვითელი ბარათების ლიმიტის ამოწურვის გამო, კიდევ ერთი დაემატა. ამრიგად, მათუზალემს ოთხი პაექრობის გამოტოვება მოუწევს, **ედუარდო რეია** კი მის გარეშე უნდა გავიდეს ფონს. აი, რას ამბობს „ბიანკოჩელესტეს" მთავარი მწვრთნელი:

*„მათუზალემის ეპიზოდს უახლოეს პერიოდში გავარჩევთ და თუ მივიჩნიეთ, რომ სასჯელი მეტისმეტად მკაცრია, აუცილებლად გავაპროტესტებთ. ისე კი, ფეარ პლეის პრინციპების დამრღვევი ფეხბურთელის დამცველად ვერ გამოვდგები, რადგან პირადად მე, სამართლიანი თამაშის წესებს ყოველთვის ვიცავ. ფეხბურთელებსაც ხშირად ვუმეორებ, რომ საკუთარ თავზე კონტროლი არ უნდა დაკარგონ - ამით არა არტო თვითონ მოთამაშე, მთელი გუნდი ზარალდება. ფრანსელინო ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია და მისი სრულფასოვნად შეცვლა იოლი არ იქნება. მით უმეტეს, არ გვაქვს იმდენად დიდი სათადარიგოთა სკამი, რომ წამყვანი მოთამაშეები უპრობლემოდ შევცვალოთ".*

**ლაშა ნიკლაური**

სავარაუდო ტრანსფერი

# იუვე ფარფანით დაინტერესდა

იტალიურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტურინის „იუვენტუსის" მესვეურები „შალკეს" თავდამსხმელით, **ჯეფერსონ ფარფანით** დაინტერსდნენ. უკვე დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ პიემონტურმა გრანდმა ჩააგდო სეზონი და ბუნებრივია, რომ გუნდი გაძლიერებას საჭიროებს. პერუელ ფორვარდს მომავალ ზაფხულს ეწურება გელზენკირხენულ კლუბთან კონტრაქტი და მის გახანგრძლივებას არ ჩქარობს - გამომდინარე აქედან, თუ „შალკეს" მესვეურები ამ ზაფხულს არ გაასხვისებენ და კიდევ ერთი წლით დაიტოვებენ, შესაძლოა მასში ერთი ცენტიც ველარ მიილონ. შესაბამისად, თუ „გაძეტა დელო სპორტს" დავუჯერებთ, ტურინელებთან უკვე ჩაებნენ მოლაპარაკების პროცესში და ფეხბურთელის საორიენტაციო ფასიც დაასახელეს: 12 მილიონი ევრო. თუკი ფარფანი ჩემპიონთა ლიგის დარჩენილ შეხვედრებში გაიბრწყინებს, არ არის გამორიცხული, თანხა კიდევ უფრო გაიზარდოს. „იუვენტუსის" სპორტულ დირექტორს, **ჯუზეპე მაროტას** ფარფანთან და ზოგადად, სატრანსფერო საკითხებთან დაკავშირებით შემდეგი მოსაზრება აქვს:

*„გუნდი რომ გაძლიერებას საჭიროებს, ამაზე დიდი ხანია შეთანხმებულნი ვართ და აღარ გავიმეორებ. რამდენიმე მოთამაშის დამატება მოგვიწევს და დიდი იმედი მაქვს, რომ ყველა რგოლს საგრძნობლად გავაძლიერებთ. რამდენიმე ფეხბურთელის გვარი უკვე მონიშნული გვაქვს, თუმცა უფრო მეტად დღეს ვერ დავკონკრეტდები. ჯეფერსონ ფარფანის თამაში კარგა ხანია არ მინახავს და სიმართლე გითხრათ, არც კი ვიცი, როგორ ფორმაშია. გამომდინარე აქედან, ტრანსფერზე საუბარი ძალიან ადრეა. თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ მისი მიმართულებით გავაქტიურდეთ, რადგან ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში ფლანგის შემტევების დამატება ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება".*



ჯეფერსონ ფარფანი

**ლაშა ნიკლაური**

ამბები



## რეალი ურჩევნია

ბრაზილიელი ლეგენდა **რონალდო** ფეხბურთიდან ახლახან წავიდა და მისი სახელი ჯერ კიდევ არ ჩამოდის გაზეთების პირველი გვერდებიდან. მისი პერსონა ჯერ კიდევ ძალზე აქტუალურია. სამხრეთამერიკელი სიამოვნებით დათანხმდა ესპანურ პრესასთან ინტერვიუს. მას „ასის" კორესპონდენტი ეწვია.

რონალდოს განცხადებით, მას **პეპ გვარდიოლას** „ბარსელონას" **ჟოზე მოურინიოს** „რეალი" ურჩევნია. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელს ორივე კლუბში უასპარეზია. 1996/97 წლების სეზონი მან „კამპ ნოუზე" გაატარა, ხოლო 2002/07 წლებში „სანტიაგო ბერნაბეუზე" აგორებდა ბურთს. ესპანელმა ჟურნალისტმა ერთი შეხედვით პროვოკაციული შეკითხვა დაუსვა, სად ისურვებდა თამაშს 10 წლით ახალგაზრდა და ჯანმრთელი რომ ყოფილიყო, რაზეც ფეხბურთელმა მიუგო: *„მადრიდში ბრწყინვალე წლები გავატარე. „ბარსელონაში" კი მხოლოდ ერთი წელიწადი დავყავი, მათ სკანდალით დავშორდი და იქიდან „ინტერში" ამოვყავი თავი. ვიმეორებ, „რეალს" უდიდეს პატივს ვცემ, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ ბარსელონაში ბრწყინვალე გუნდი ჰყავთ. მათთან თამაშობს ერთი პატარა ფეხბურთელი (ლიონელ მესი) და ის ბურთით კარგ რაღაცებს აკეთებს. სანდრო როსელი კი ჩემი მეგობარია და მან მშვენივრად იცის, რა დამოკიდებულება მაქვს ფლორენტინო პერესთან. მე ყოველთვის ფლორენტინოს ავირჩევ".*

სულ ბოლოს კი ფეხბურთელმა „განსაკუთრებული ადამიანზე" ორიოდე სიტყვის თქმა ისურვა: *„მოურინიოს კარგად ვიცნობდი ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა ის „ბარსელონაში" ბობი რობსონის თარჯიმანი იყო. დიახ, ის დიდებული ადამიანია. ვიცოდი, რომ მწვრთნელი გახდებოდა, მაგრამ ამდენს არ ველოდი. მის მიერ მიღწეული შედეგები პატივისცემას იმსახურებს".*

## იტალიას რანოკია დააკლდება

იტალიური წყაროების ცნობით, მართალია „ინტერის" მცველი **ანდრეა რანოკია** სანაკრებო შეკრებაზე იმყოფება, მაგრამ ძირითად ჯგუფთან ერთად ვერ ვარჯიშობს. მას მუხლის ტკივილი აწუხებს. თუკი მას ტკივილი კიდევ გაუგრძელდება, **ჩეზარე პრანდელი** სლოვენიასთან შესარჩევ შეხვედრაში მის იმედად უკვე ველარ იქნება.

მართალია „სკუადრა აძურას" ერთი ინტერელი შეიძლება დააკლდეს, მაგრამ უკვე გადაწყვეტილია, რომ აუცილებლად ითამაშებს მეორე ნერაძურელი **ტიაგო მოტა**. თანაგუნდელისა არ იყოს, მასაც მარცხენა მუხლის ტკივილი აწუხებდა, თუმცა ექიმების განცხადებით საშიში უკვე აღარაფერია.

## იოან კაბაი ნაკრებს მიღმა

ჯანმრთელობის პრობლემებმა შეაწუხა საფრანგეთის ნაკრებიც. **ერიკ აბიდალის** პრობლემებზე უკვე აღარ მოგიყვებით, გულშემატკივრებმა მასზე ისედაც ყველაფერი იცით. ბარსელონელის გარდა **ლორან ბლანს** „ლილის" ნახევარმცველი **იოან კაბაიც** დააკლდა. ერთადერთი, რაც მასზე დაიწერა არის ის, რომ კუნთების პრობლემა აწუხებს. თუმცა კაბაის დანაკლისი რა სახსენებელია, როცა ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ეროვნულ გუნდს მიუნხენის „ბაიერნის" ლიდერი **ფრანკ რიბერი** უბრუნდება.

ფრანგებს უახლოეს დღეებში ლუქსემბურგთან (25 მარტი) შესარჩევი და ხორვატებთან (29 მარტი) ამხანაგური შეხვედრები ელით.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



● აინტრახტი

# მორიგი სენსაცია: დაუმი ფრანკფურტშია!

## აინტრახტის ხელმძღვანელებმა გუშინ მიხაელ სკიბე გაათავისუფლეს და კრისტოფ დაუმი დანიშნეს



კრისტოფ დაუმი ფრანკფურტის „აინტრახტის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა

გერმანიაში სამწვრთნელო ალიაქოთი იმით დაიწყო, რომ სამიოდე კვირის წინ, „ბაიერნში" **ლუის ვან გაალის** გათავისუფლებაზე სერიოზულად დაფიქრდნენ, მაგრამ ჰოლანდიელი პოსტზე დატოვეს, თუმცა გადაწყვიტეს, რომ სეზონის ბოლოს გაუშვან. ამ ამბავს „ჰამბურგში" დატრიალებული ქაოსი მოჰყვა: ჯერ ითქვა, რომ **არმინ ფეეს** სეზონის ბოლოს გაუშვებდნენ, მერე კი, „ბაიერნთან" 0:6-ზე წაგების შემდეგ, HSV-ს თავკაცი მაშინვე გააგდეს და მის ნაცვლად, ჩრდილოგერმანული კლუბი ასისტენტმა **მიხაელ იონინგმა** ჩაიბარა.

„ჰამბურგის" შემდეგ იყო „შალკე", სადაც **ფელიქს მაგათზე** ატყდა ალიაქოთი – მიუხედავად იმისა, რომ გუნდი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში და გერმანიის თასის ფინალში გაიყვანა, „დესპოტი ფელიქსი" მაინც დაიფრინეს და გელზენკირხენულ კლუბს ორშაბათიდან **რალფ რანგნიკი** ავარჯიშებს, რომელიც იანვრამდე „ჰოფენჰაიმის" დამრიგებელი იყო. თვითონ მაგათი კი, „შალკედან" გაგდებიდან ზუსტად ერთ დღეში „ვოლფსბურგში" დაბრუნდა.

ამით ყველაფერი არ დამთავრებულა: გუშინწინ გაირკვა, რომ **იუპ ჰაინკესი** ზაფხულში „ლევერკუზენიდან" მიდის და ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ მიუნხენის „ბაიერნს" ჩაუდგება სათავეში. „ლევერკუზენს" კი, ასევე ზაფხულიდან, **რობინ დუტი** მიხედავს, რომელსაც ფრაიბურგში მისი ასისტენტი შეცვლის. და აი, გუშინ კიდევ ერთი სენსაციური გადაადგილება მოხდა: ფრანკფურტის „აინტრახტიდან" **მიხაელ სკიბე** გაათავისუფლეს, თუმცა ეს ამბავი არავის გაჰკვირვებია, სენსაცია ისაა, რომ ფრანკფურტულ კლუბს თვით **კრისტოფ დაუმი** ჩაუდგა სათავეში, რომელიც პირველ ვარჯიშს დღეს გამართავს. პირველი, რაც ამ ამბის გაგების შემდეგ უნდა წარმოიდგინოთ, ბუნდესლიგის მომდევნო ტურში, 3 აპრილს დაგეგმილი, ერთი შეხედვით არც ისე დამაინტრიგებელი მატჩია „ვოლფსბურგსა" და „აინტრახტს" შორის, მაგრამ ახლა იმასაც დააკვირდით, რომ „ვოლფსბურგის" მწვრთნელი მაგათია, „აინტრახტისა" კი – დაუმი.

ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და ამავე დროს სკანდალური გერმანელი სპეციალისტი (მუშაობდა „ლევერკუზენში", „კიოლნში" და „შტუტგარტში") „აინტრახტში" მინიმუმ სეზონის ბოლომდე იმუშავებს და თუ ფრანკფურტელები მეორე ბუნდესლიგაში გავარდნას გადაურჩებიან, კრისტოფი „აინტრახტში" კიდევ ორი წლით დარჩება.

ალსანიშნავია, რომ თურქეთიდან წამოსვლის შემდეგ, დაუმს მოსკოვში ეპატიჟებოდნენ, მაგრამ კრისტოფმა რუსებს უარი უთხრა და „აინტრახტის" ხელმძღვანელებს დათანხმდა – მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვში გაცილებით უკეთეს პირობებს სთავაზობდნენ. *„ჩემი აზრით, არავის უნდა გაუკვირდეს ის, რომ გადაწყვეტილება ბუნდესლიგის სასარგებლოდ მივიღე. ფრანკფურტის „აინტრახტი" უდიდესი ტრადიციების მქონე გუნდია და ბედნიერი ვარ, რომ ამ გუნდში მუშაობის საშუალება მომეცა. მინდა, ფრანკფურტში ისეთი გუნდი ჩამოვაყალიბო, რომელიც სერიოზული მიზნებისთვის იბრძოლებს. მეორე ბუნდესლიგაზე კი საერთოდ არ ვფიქრობ,"* - განუცხადა დაუმმა „კიოლნერ ექსპრესს".

„აინტრახტიდან" სკიბეს გათავისუფლება ლოგიკური კი იყო, მაგრამ შაბათს ფრანკფურტელებმა გადარჩენისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტ „ზანქტ პაულის" 2:1 მოუგეს და ხომ იცით, მწვრთნელებს მოგებული თამაშების შემდეგ ძალიან იშვიათად ათავისუფლებენ ხოლმე. როგორც ჩანს, გადამწყვეტი ნაბიჯი „აინტრახტის" შეფებს იმ ფაქტორმა გადაადგმევინა, რომ დაუმისგან თანხმობა მიიღეს. ალსანიშნავია, რომ სკიბეს გაგდება და დაუმის დანიშვნა ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში მეათე სამწვრთნელო ცვლილებაა.

სკიბეს გაგდება ფრანკფურტელებს საკმაოდ ძვირად დაუჯდათ, რადგან მიხაელს ახლო წარსულში, კერძოდ, იანვარში, ახალი კონტრაქტი გაუფორმეს, რომელსაც ვადა 2012 წლამდე ჰქონდა. იანვარში სკიბეს ახალი ხელშეკრულება იმის გამო გაუფორმეს, რომ „აინტრახტმა" პირველი წრე საკმაოდ კარგად ჩაატარა. კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, სკიბეს წელიწადში 1.3 მილიონი დაუნიშნეს, რაც ახლა კონტრაქტის ნაადრევი გაწყვეტის გამო მაინც უნდა გადაუხადონ და ცხადია, უნდა გადაუხადონ დაუმსაც, თანაც, გაცილებით მეტი.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ დაუმის დებიუტი 3 აპრილს შედგება – ფელიქს მაგათის „ვოლფსბურგის" წინააღმდეგ...

● შალკე




„შალკეს" ახალი მწვრთნელი რალფ რანგნიკი და მენეჯერი ჰორსტ ჰელდტი

# პროფესორმა დაიწყო, რადა დროს ხუმრობაა

## შალკეში ბევრი რამ შეიცვლება, რას აპირებს რანგნიკი?

ორშაბათს **რალფ რანგნიკი** „შალკეში" მუშაობას ოფიციალურად შეუდგა - შეგახსენებთ, რომ ეს მისი მეორე გელზენკირხენული ერის დასაწყისია. პირველის დროს, „პროფესორ რალფს" გვერდით, მენეჯერის რანგში **ანდრეას მიულერი** ედგა, რომელმაც ბოლოს გაწირა კიდეც რანგნიკი, ახლა კი, „შალკეს" მენეჯერი **ჰორსტ ჰელდტია**. შეიცვალა „შალკეს" მართვის სტრუქტურაც: თუკი **ფელიქს მაგათი** მწვრთნელიც იყო და მენეჯერიც, ახლა რანგნიკი მხოლოდ მწვრთნელია, მენეჯერის ფუნქციები კი თავის თავზე მთლიანად ჰელდტმა აიღო. რალფს ახლა ორი კვირა აქვს იმისათვის, რომ „შალკეში" შექმნილ ვითარებაში კარგად გაერკვეს, ფეხბურთელები გაიცნოს, მათი პლუს-მინუსები გააანალიზოს და პირველ აპრილს დაგეგმილ სადებიუტო შეხვედრას (ზანქტ პაულისთან) ასი პროცენტით მომზადებული შეხვდეს – სანაკრებო პაუზამ რანგნიკს მართლაც სულზე მოუსწრო.

რანგნიკის უპირველესი ამოცანა ისაა, რომ „შალკე" მეორე ბუნდესლიგაში გავარდნისგან იხსნას. ჰო, ეს პარადოქსულად ჟღერს, რადგან გელზენკირხენელები ერთი წლის წინ ვიცე-ჩემპიონები გახდნენ, წელს კი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში და გერმანიის თასის ფინალში გავიდნენ, მაგრამ ფაქტია, რომ „შალკეს" ჯერ კიდევ ემუქრება ელიტიდან გავარდნის საფრთხე - მართალია, არა ისე მძაფრად, როგორც სხვა გუნდებს, მაგრამ მაინც, რადგან მე-16 ადგილს მხოლოდ ხუთი ქულა აშორებს.

*„გუნდი საკმაოდ სახიფათო სიტუაციაშია. ამიტომაც, „ზანქტ პაულისთან" აუცილებლად გამარჯვება გვჭირდება, რომ თავი შედარებით მშვიდად ვიგრძნოთ,"* - ეს „შალკეს" მეკარის, **მანუელ ნოიერის** სიტყვებია.

მაგათმა „შალკეში" ყოფილი ასისტენტი **ზეპო აიხკორნი** დატოვა, რომელმაც გელზენკირხენულ კლუბს რანგნიკის დანიშვნამდე, „ლევერკუზენთან" მატჩში უხელმძღვანელა და ის თამაში „ხუმარებმა" 0:2 წააგეს, რის შემდეგაც აიხკორნმა, რომელიც „შალკეში" რჩება და „პროფესორ რალფის" ასისტენტი იქნება, თქვა: *„გუნდში არაჯანსაღი მდგომარეობაა. ფეხბურთელების უდიდესმა ნაწილმა გერმანული ენა არ იცის, რის გამოც ერთმანეთს ვერ უგებენ და ჯგუფებად არიან დაყოფილები."*

აიხკორნმა ამით მაგათი გააკრიტიკა, მაგრამ „შალკესთვის" ყოველივე ზემოთქმული სიახლეს არ წარმოადგენს: გელზენკირხენულ კლუბში „დესპოტი ფელიქსის" მისვლამდეც ასეთი პრობლემები იყო და ასეთი სახის პრობლემები თვით რანგნიკისთვისაც ძალიან კარგადაა ცნობილი – ის ხომ წელიწად-ნახევარი წვრთნიდა „შალკეს". ლევერკუზენში კი, ხუმარებს სერიოზული საკადრო პრობლემებიც ჰქონდათ: **კლაას-იან ჰუნტელაარი** ტრავმირებულია, **ჯეფერსონ ფარფანი** დისკვალიფიცირებული იყო, **პეერ კლუგეს** კი გრიპი ჰქონდა. შეგახსენებთ, სამივე „შალკეს" წამყვანი ფეხბურთელია.

ფაქტია, რომ რალფი **ლევან ყენიას** გუნდში ბევრ რამეს შეცვლის. უკვე გადაწყვეტილია, რომ განათხოვრებული ფეხბურთელები, 20 წლის **ლუის ჰოლტბი** (მაინცშია) და 21 წლის **იან მორავეკი** (კაიზერსლაუტერნში) „შალკეში" დაბრუნდებიან. ჩვენი გერმანელი კოლეგებისა და სხვადასხვა ექსპერტის აზრით, რანგნიკი აუცილებლად გაუშვებს **კრისტოფ მეტცელდერს** და ბრაზილიელ თავდამსხმელ **ედუსაც**, რომელიც „შალკეში" მაგათმა ჩაიყვანა – სხვა მწვრთნელს მისი ყიდვა აზრადაც არ მოუვიდოდა. შეიძლება ითქვას, რომ გელზენკირხენული კლუბისთვის ახლა ყველაზე მთავარი ისაა, თუ რამდენად ჰარმონიულად შეეწყობიან ერთმანეთს მენეჯერი ჰელდტი და მწვრთნელი რანგნიკი. მათი თანამშრომლობის ხარისხზე ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

● ლევერკუზენი

# ბალაკმა თხებს მოუბოდიშა

## ...მაგრამ მაინც დააჯარიმებენ!



მომენტი, როცა ბალაკმა კიოლნს და კიოლნელებს შეურაცხყოფა მიაყენა

კვირას, „ლევერკუზენმა" „შალკე" 2:0 რომ დაამარცხა, საფინალო სასტვენის შემდეგ, მატჩის ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა **მიხაელ ბალაკმა** ხელში მეგაფონი ჩაიგდო და გახარებულ გულშემატკივრებს ესაუბრებოდა. ფანები მის გვარს სკანდირებდნენ და ამ ფაქტმა ბალაკი ისე „აანთო", რომ გამოცდილმა და ერთ-ერთმა ყველაზე გაწონასწორებულმა გერმანელმა ფეხბურთელმა თავი ველარ გააკონტროლა და მეგაფონში „კიოლნის" ლანძღვას მოჰყვა. რა შუაშია „კიოლნი"? საქმე იმაშია, რომ „კიოლნი" და „ლევერკუზენი" მოსისხლე მტრები არიან, რის გამოც „ლევერკუზენის" ყველაზე მეტად სწორედ „კიოლნის" ლანძღვა სიამოვნებთ. ბალაკი ყვიროდა: „Scheiss1. FC Koln!" - ამ სიტყვებს თარგმნა არ სჭირდება.

როგორც ჩანს, ბალაკი მოგვიანებით დაფიქრდა და მიხვდა, რომ ეს არ იყო კარგი საქციელი – მით უმეტეს, რომ იმ დღეს „ლევერკუზენს" „კიოლნი" არ დაუმარცხებია. ყოველ შემთხვევაში, გუშინ მიხაელმა „კიოლნს" და კიოლნელებს ოფიციალურად მოუბოდიშა.

*„ვაღიარებ, რომ ცუდად მოვიქეცი. დამიჯერეთ, ეს მხოლოდ იმის გამო დამემართა, რომ ეიფორიაში ვიყავი. დიდი ხანია, მატჩი უმაღლეს დონეზე არ ჩამიტარებია, რადგან ტრავმებმა გამტანჯეს და კარგმა თამაშმა იმდენად გამახარა, რომ ასეთი რალაცები წამომცდა. ჩემს საქციელს ძალიან ვნანობ. „კიოლნს", ამ გუნდის ყველა ფეხბურთელს და გულშემატკივრებს ბოდიშს ვუხდი,"* - უთხრა 34 წლის ბალაკმა გუშინ „კიკერს".

კიოლნელებმა ბალაკის ბოდიში, შესაძლოა, მიიღონ, მაგრამ ჩვენი გერმანელი კოლეგების აზრით, მიხაელს გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტული სასამართლოსგან სასჯელი მაინც არ ასცდება. დაახლოებით ასეთივე შემთხვევის გამო, ამას წინათ, „ვერდერის" მეკარე **ტიმ ვიზეც** დაისაჯა – მას 8 000 ევრო გადააახდევინეს. სავარაუდოდ, ბალაკსაც მინიმუმ ამდენის გადახდა მოუწევს

● ჰამბურგი

# ელია და პეტრიჩი ტრანსფერზე?

## ჰამბურგელები შაქირის და შტოკერს უმიზნებენ

მიუხედავად იმისა, რომ მწვრთნელის შეცვლის შემდეგ (**არმინ ფეე** გაათავისუფლეს და გუნდი დროებით მის ასისტენტ **მიხაელ იონინგს** ჩააბარეს) „ჰამბურგმა" „კიოლნი" 6:2 დაამარცხა, ჩრდილოგერმანულ კლუბში მაინც არამდგრადი და ქაოსური მდგომარეობაა. „ბილდის" ინფორმაციით, „ჰამბურგის" ახალი ბოსი **ფრანკ არნესენი**, რომელიც სპორტული დირექტორის პოსტზე ივნისიდან დაინიშნება, გუნდის მთავარი ლიდერების, თავდამსხმელ **მლადენ პეტრიჩისა** (ჰეთ-თრიკი „კიოლნთან") და ნახევარმცველ **ელჯერო ელიას** გაყიდვას აპირებს.

ხსენებული გამოცემის ინფორმაციით, „ჰამბურგს" ამ ორი ფეხბურთელის გაყიდვით 20 მილიონი ევროს შოვნა უნდა და ამ თანხას არნესენი რამდენიმე ახალ ფეხბურთელში დააბანდებს. „ბილდის" ცნობით, ჰამბურგელები ტრანსფერზე ცენტრალურ მცველ **იორის მატიისენსაც** დააყენებენ, რომელსაც კონტრაქტი 2012 წლამდე აქვს გაფორმებული.

სამაგიეროდ, მიმომხილველთა ინფორმაციით, არნესენს ძალიან უნდა, რომ „ჰამბურგში" ბაზელის ვარსკვლავი, 19 წლის **შაქირი** გადაიბიროს, რომელიც დაახლოებით 10 მილიონი ღირს. ალსანიშნავია, რომ ჰამბურგელები შაქირის თანაგუნდელ **ვალენტინ შტოკერსაც** უმიზნებენ.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. პრიმერა. XXIX ტურის მიმოხილვა

# იკერი იყო სუპერი

## რა უსურვეს ატლეტიკოს ფანებმა რონალდოს და ვინ არის მათი მტკიცებით მაიმუნი

მაშ ასე, ესპანური პრიმერას მორიგი სეზონის დაწყებიდან 29 ტურია გასული, დარჩა მხოლოდ 9, 2011 წელს სულ 13 ტური ითამაშა 20-გუნდიანმა იბერიულმა ქარავანმა. რა შეცვალა და რა - ვერ მორიგმა ტურმა, რომელიც ზედ სანაკრებო პაუზის წინ გაიმართა - ვერ შეიცვალა საჩემპიონო რბოლაში ძალთა თანაფარდობა, „ბარსა“ „რეალს“ ისევ 5 ქულით უსწრებს, სამაგიეროდ შეცვალა მესამეადგილოსანი - გაკეთდა ვალენსიური როქი, დაიმტვრა ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი და ცხრილის ფსკერზე დაეშვა გუნდი, რომელმაც სეზონის დასაწყისში „კამპ ნოუზე“ მთელი ევროპა გააოცა.

ტურის მშვენება უნდა ყოფილიყო მადრიდული დერბი და იყო კიდეც. ის, რაც ამ ათასწლეულში არ მომხდარა, არც ამჯერად მოხდა - „ატლეტიკომ“ ვერაფერი გააწყო „სამეფო კლუბთან“ და 1:2 წააგო. „ვისენტე კალდერონზე“ 53 ათასმა ადამიანმა შემტევი ფეხბურთი იხილა ორივე გუნდის შესრულებით. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლებში ეს ერთ-ერთი საუკეთესო მადრიდული დერბი იყო. სტატისტიკას შევხედოთ, გუნდებმა 17-17-ჯერ დაარტყეს მეტოქის კარისკენ, ჯამში 34-ჯერ, ანუ ყოველ 2,6 წუთში ერთხელ!

რა იყო დასამახსოვრებელი ამ მატჩში? **ლასანა დიარას** სუპერსოლორეიდი, **სამი ხედირას** არაორდინარული თამაში, **სერხიო აგუეროს** მონდომება, **მესუთ იოზილის** ბრწყინვალე თამაში, რომელსაც უკვე შევეჩვიეთ, **ქარიმ ბენზემას** მორიგი გოლი და... **იკერ კასილიასის** გმირობა. მსოფლიოს ჩემპიონმა გოლკიპერმა 4-5-ჯერ აშკარა გოლისგან იხსნა „რეალი“. და, რა მოხდა ცუდი? მოედანს ახლახან დაბრუნებული **კრიშტიანო რონალდო** ისევ ლაზარეთს მიუბრუნდა, ხოლო „ვისენტე კალდერონმა“ მას და ბრაზილიელ **მარსელოს** ნამდვილი კოშმარი მოუწყო. ადგილობრივმა ტორსიდამ მაინცდამაინც ეს ორი ფეხბურთელი ამოიჩემა. ვიცით, რომ რონალდო შესანიშნავი „გამაღიზიანებელია“, მაგრამ რა დააშავა საბრალო ბრაზილიელმა, რომელმაც კვლავ დიდებულად ითამაშა?

### ლეო VS რონალდო, დუბლი 29...

როგორც იქნა - ორტურიანი შესვენების შემდეგ ეს დუელი შედგა - ორივემ ითამაშა, მაგრამ, რონალდო ისევ დაიმტვრა და **ლეო მესის** ბომბარდირთა დავაში წინ გაჭრის შანსი მიეცა, შესაძლოა, მოგებისაც. ამ ტურში კი ესპანური პრიმერას ორმა ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავმა თავი დიდად ვერ გამოიჩინა. და მაინც...

სანამ მესის და რონალდოს გოლები ვე(ლა)რ გააქვთ, მათ „ოქროს ბუცისთვის“ ბრძოლაში „სათოფეზე“ მიუახლოვდა „უდინეზეს“ ფორვარდი **ანტონიო დი ნატალე**, იტალიელმა 25-ე გოლი გაიტანა.

მესიმ პირველი საგოლე მომენტი „ხეტაფესთან“ მატჩში თავადვე შეიქმნა - ბურთი მკერდით ჩამოილო და აკრობატულ ნახტომში დაარტყა, მაგრამ **ხორდი კოდინა** მიუხვდა ჩანაფიქრს. შემდეგ არგენტინელმა კოდინას მოტყუება ტექნიკური დარტყმით გადაწყვიტა, მაგრამ ბურთი კარს ააცილა, კიდევ ერთ შემთხვევაში კი ბოლოს და ბოლოს აჯობა, მეკარეს, მაგრამ მისი დარტყმული მახვილი კუთხიდან ზედ კარის ხაზიდან გამოიტანეს მცველებმა. მესის ანგარიშზეა საგოლე პასი, რომელიც მან **ბოიან კრკიჩს** გადააწოდა. ჯამში, არგენტინელმა სოლიდურად ითამაშა და „ბარსას“ წარმატებაში წვლილი შეიტანა, მაგრამ ზედიზედ მესამე ტური დატოვა მინდორი უგოლოდ.

კრიშტიანო რონალდო ტრავმამოშუშებული კი დაბრუნდა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, რომ ბოლომდე ვერ იყო მწყობრში. 72-ე წუთზე შეცვალეს, შემდეგ კი ცნობილი გახდა, რომ პორტუგალიელი 2-3 კვირით დააკლდება გუნდს.

| – | მესი | რონალდო |
|---|---|---|
| გოლი | 0 | 0 |
| დარტყმა | 4 (2) | 9 (2) |
| საგ. პასი | 1 | 0 |
| პასი | 71 (58) | 32 (25) |
| დაკარგვა | 10 | 12 |
| მოპოვება | 1 | 3 |
| მასზე დაჯარიმდნენ | 1 | 4 |
| Goal.com | 7,0 | 5,0 |

აქვე ერთ ნიუანსზე ვთქვათ - მოგეხსენებათ, რონალდოს ერთი გოლი (სან სებასტიანში გატანილი, როცა საჯარიმო კედელში მდგომ **პეპეს** მოარტყა და ისე გავიდა) ჩამოაკლეს. ამიტომაც, ახლა მესის და რონალდოს 27-27 გოლი აქვთ, მაგრამ „მარკა“ რონალდოს გრაფაში ჯიუტად 28 გოლს უწერს. არადა, „პიჩიჩის“ პრიზს, ტრადიციულად, სწორედ ეს გაზეთი გადასცემს ფეხბურთელებს და წარმოიდგინეთ, რამხელა უსამართლობა შეიძლება მოხდეს, მესი და რონალდო თუ ფინიშამდე თანაბარი მაჩვენებლებით მივლენ...

### ტურის სიმბოლური ნაკრები 4-3-3. GOAL.COM

**მეკარე**

**ხავი ვარასი** (სევილია) - გაგიკვირდებათ, ალბათ, სიმბოლურში არ არის იკერ კასილიასი, თუმცა „რეალის“ გოლკიპერისთვის სპეციალური ადგილი შემოვინახეთ. ეს იმიტომ, რომ ხავი ვარასი(ც) მართლა ფანტასტიკური იყო, ძალზე დაძაბულ მატჩში „მესტალიაზე“. „ვალენსიას“ შემტევები სოლდადო, მატა, ჟონასი და ტინო კოსტა გაკვირვებით მხრებს იჩეჩავდნენ ვარასთან წაგებული მორიგი ორთაბრძოლის შემდეგ.

**მცველები**

**დანი ალვეში** (ბარსელონა) - გაიტანა ბრწყინვალე გოლი, იყო თავისი ფლანგის სრული ბატონ-პატრონი.

**კარლოს მარჩენა** (ვილიარეალი) - ბოლო დროს „ვილიარეალს“ უჭირს სტუმრობა, მაგრამ არა ამჯერად - „სან მამესზე“ გამოცდილი მარჩენა ფერნანდო ლორენტეს ჩრდილად იქცა და გოლიათი ფორვარდი ლანდად აქცია.

**ჟულიენ ესკუდე** (სევილია) - „მესტალიაზე“ დიდი ჯაფა გადახდა ანდალუსიელთა დაცვას და მეკარეს. ფრანგმა თავგანწირვით ითამაშა.

**ნაჩო მონრეალი** (ოსასუნა) - მარცხენა მცველი ახლახან დაუბრუნდა მინდორს. ალიკანტეში დიდებულად ითამაშა, მისმა გუნდმა 4:0 მოიგო, თავად კი საგოლე პასი მიითვალა.

**ნახევარმცველები**

**სამი ხედირა** (რეალი) - ბოლო დროს, თითქოს, ფორმაში არ იყო, მაგრამ „ატლეტიკოს“ წინააღმდეგ შესანიშნავად ითამაშა. გამოავლინა დიდი შემტევი პოტენციალი, რაც აქამდე იშვიათი იყო ხედირას შესრულებით. ქარიმ ბენზემას დიდებული პასი მისცა, საგოლე პასების „გურმანებს“, რომ მოეწონებათ, ისეთი.

**მესუთ იოზილი** (რეალი) - მაღალი კლასის ვარსკვლავი, ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელობის ერთ-ერთი კანდიდატი. დერბიში გოლიც გაიტანა.

**კრისტიან ვადოცი** (ოსასუნა) - ნავარელთა უნგრელი ლეგიონერის ანგარიშზე „ერკულესის“ წინააღმდეგ გოლი და საგოლე პასია.

**თავდამსხმელები**

**ხოსე რონდონი** (მალაგა) - ვენესუელელმა ფორვარდმა დუბლი შეასრულა „ესპანიოლის“ კარში და ბომბარდირთა მარაქაში გაერია. ჟულიო ბაპტიშტა ვერა და ვერ გამოჯანმრთელდა, მაგრამ მანუელ პელეგრინის ეს უკვე ნაკლებად ადარდებს - 21 წლის სამხრეთამერიკელი ჩინებულ ფორმაშია.

**მარკო რუბენი** (ვილიარეალი) - ნილმარს ცვლიდა და არგენტინელმა ეს დიდებულად შეძლო - ახტა ყველაზე მაღლა და ისე დაჰკრა თავი, რომ გორკა ირაისოსს შანსი არ დაუტოვა.

XXIX ტურის სიმბოლური ნაკრები




**ჯოვანი დოს სანტოსი** (რასინგი) - „რეალ სოსიედადს“ გაუტანა. ასე მოკლე დროში მე-2-ედ მოხვდა სიმბოლურ ნაკრებში.

### ტურის გმირი

**იკერ კასილიასი** - შეიძლება იმის თქმაც, რომ დერბი კაპიტანმა მოიგო. საკმარისი იყო აგუეროს პირისპირ გასვლას, ან ახლო მანძილიდან **გოდინის** თავურს, ან **რეიესის** გასროლას მახვილი კუთხიდან, ანაც **ფორლანის** შორეულ დარტყმას კასილიასი ვერ შესწვდენოდა და **ჟოზე მოურინიო** სამ ქულას ვერ მოიპოვებდა და საჩემპიონო ინტრიგაც, ალბათ, ჩაიფერფლებოდა (ამჯერად, საბოლოოდ).

### ბოიან-100

„ბარსელონას“ 20 წლის ფორვარდმა ბოიან კრკიჩმა მე-100 მატჩი ითამაშა ლა ლიგაში და ეს ერთგვარი იუბილე გოლითაც აღნიშნა. ეს კრკიჩის მე-5 გოლია ჩემპიონატში. 20 წლის ასაკში 100 მატჩი ლალიგაში სულ სამ ფეხბურთელს დაუგროვებია, **რაულს**, **ეჩებერიას** და ბოიანს.

**ტურის მსხვერპლნი**

**კრიშტიანო რონალდო** (რეალი) - 2-3 კვირით გამოეთხოვა ფეხბურთს.

**ტომაშ უიფალუში** (ატლეტიკო) - მარსელოსთან შეჯახების შემდეგ ტრავმა მიიღო, თუმცა უკვე გამოჯანმრთელებაც მოასწრო.

**ხოსე რონდონი** (მალაგა) - „ესპანიოლთან“ დუბლის ავტორმა კუნთი გაიჭიმა, თუმცა მომავალ ტურში „ლევანტეს“ წინააღმდეგ ითამაშებს.

**ფელიპე კაისედო** (ლევანტე) - „დეპორთან“ მატჩის პირველ ტაიმში ეკვადორელს კუნთი 1 სანტიმეტრზე ჩაეხა, ის 1 თვე დააკლდება ვალენსიურ გუნდს.

**ნაჩო კასესი** (სპორტინგი) - კოჭი დაიზიანა.

**ტურის ფრაზები**

**კიკე ფლორესი** (ატლეტიკო): *„კარგი იქნება, თუ მომავალში ვიტიენეს ტეიშეირა აღარ გვიმსაჯებს“* - ცნობისთვის, „მარკამ“ ამ მსაჯს 10-ბალიანი სისტემით 3 ბალი დაუწერა.

**ჟოზე მოურინიო** (რეალი): *„ეს ფეხბურთელები, მათი ოჯახები გულშემატკივრებისგან მეტ დაფასებას იმსახურებენ. სხვა მხრივ კი შესანიშნავი სტადიონია ფეხბურთის სათამაშოდ“* - მას მერე, რაც მადრიდულმა პუბლიკამ უდიერად მოიხსენია კრიშტიანო რონალდო და მარსელო.

**შეძახილები ვისენტე კალდერონზე**: *„კრიშტიანო მოკვდი! მარსელო, შენ ხარ მაიმუნი“* - უკომენტაროდ.

**იკერ კასილიასი** (რეალი): *„შეიძლება, შედეგი ცოტა უსამართლოა, მაგრამ ჩვენ ჩვენი შანსები გამოვიყენეთ, იმათმა კი ვერა“* - დერბის შემდეგ.

**დავიდ ვილია** (ბარსელონა): *„ბოლო დროს ფორტუნამ სულ მიმატოვა, მაგრამ ყოველთვის ვიცი, რომ მომავალი თამაში წინაა, თანაც გუნდი იგებს და არ ვნაღვლობ“* - ბოლო ხუთი ტურია „ელ გუახეს“ გოლი არ გაუტანია.

**უნაი ემერი** (ვალენსია): *„ჩვენ ბრძოლა წავაგეთ, მაგრამ ომი ჯერ არა“* - „სევილიასთან“ 0:1 მარცხის შემდეგ.

**გრეგორიო მანსანო** (სევილია): *„აი, ზუსტად ასე მსურს, რომ თამაშობდეს „სევილია“* - „მესტალიაზე“ გამარჯვების შემდეგ.

**ხოსეპ გვარდიოლა** (ბარსელონა): *„მომავალში მიჩელი მადრიდის „რეალს“ განვრთნის“* - „ხეტაფესთან“ მატჩის შემდეგ.

**ტურის სტატისტიკა**

20 გოლი (2,0 მატჩში),
42 გაფრთხილება, 1 გაძევება

**ყველაზე ყველაზე**

მეტი მაყურებელი: კამპ ნოუ, 81 913

ცოტა მაყურებელი: ონო ესტადი, 13 200

მეტი დარტყმა კარისკენ: 20 - ლევანტე

მეტი დარტყმა კარში: 9 - სევილია

მეტი ჯარიმა: 22 - ბილბაო

მეტი კუთხური: 10 - ატლეტიკო

დიდი ბურთის ფლობის %: 75 - ბარსელონა

**ტოპ-10 დონ ბალონის მიხედვით**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. მესი | ბარსელონა | 197 (26) | 7,58 |
| 2. რონალდო | რეალი | 194 (27) | 7,19 |
| 3. როსი | ვილიარეალი | 193 (27) | 7,15 |
| 4. ბ. ვალერო | ვილიარეალი | 190 (27) | 7,04 |
| 5. ინიესტა | ბარსელონა | 203 (29) | 7,00 |
| 6. ალვეში | ალმერია | 202 (29) | 6,97 |
| 7. კასორლა | ვილიარეალი | 195 (28) | 6,96 |
| 8. რეიესი | ატლეტიკო | 175 (26) | 6,73 |
| 9. ალვეში | ბარსელონა | 175 (26) | 6,73 |
| 10. არანსუბია | დეპორტივო | 154 (23) | 6,70 |

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძე**



იკერ კასილიასი პრიმერას 29-ე ტურის გმირია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

● ბრანდ-კონტრაქტები


დანი ალვეში


პეპე

# ჩემი ბრაზილიელი ჩემთან

### დანი ბარსაში, 2015-მდე...

*„ბარსელონა" მოხარულია გაუწყოთ, რომ მიღწეულია შეთანხმება დანი ალვეშთან. ის კლუბთან კონტრაქტს კიდევ სამი წლით აგრძელებს, 2015 წლის 30 ივნისამდე. დოკუმენტს ხელი ოთხშაბათს მოეწერება"* - გამოქვეყნდა „ბარსას" ოფიციალურ საიტზე. ასე დაესვა წერტილი რამდენიმეთვიან სპეკულაციებს - ბრაზილიელი **დანიელ ალვეში** კატალონიურ გრანდში დარჩა. *„ეს ის სიახლეა, რასაც კარგა ხანს ველოდით, კლუბიც და ფეხბურთელიც. მოლაპარაკება დიდხანს კი გაგრძელდა, მაგრამ ის არასოდეს ყოფილა დაძაბული, თანაც დანი მოედანზე კვლავ ბრწყინვალედ თამაშობდა"*, - განაცხადა კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ანდონი სუბისარეტამ. ახლა ჯერი **ხოსე პინტოსა** და **ერიკ აბიდალზეა**. დიახ, აბიდალზე, არ მოგესმათ...

### ... პეპე რეალში, 2016-მდე

რა თქმა უნდა, კარგად ვუწყით, რომ **პეპე** პორტუგალიის მოქალაქეა და პორტუგალიის ნაკრებში თამაშობს, თუმცა ბრაზილიური წარმოშობისაა და 18 წლამდე ევროპა თვალით არ ჰქონდა ნანახი. „მარკა" ამტკიცებს, რომ პეპეს საკონტრაქტო დისპუტი „რეალთან" დასრულდა, ის გაურიგდა კლუბის ხელმძღვანელობას და დღედღეზე 2016 წლამდე გააფორმებს ხელშეკრულებას. ახალი კონტრაქტის მიხედვით, პეპე „რეალში" წელიწადში 4 მილიონ ევროს მიიღებს გასამრჯელოდ. აქამდე ის წელიწადში 1,8 მილიონ ევროს იღებდა. ეს კი ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ხელფასი იყო „სამეფო კლუბში".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ფეხბურთი და ფინანსები

# ლიონელ მესი და სხვები

ფრანგული გამოცემა „ფრანს ფუტბოლის" ცნობით, მოქმედ ფეხბურთელებს შორის ყველაზე მდიდარი „ბარსელონას" არგენტინელი სუპერვარსკვლავი **ლიონელ მესია**. რაც შეეხება მწვრთნელებს, ასეთად გაზეთმა **ჟოზე მოურინიო** დაასახელა. ბუნებრივია, რა ციფრებსაც ქვემოთ შეხვდებით, მხოლოდ ხელფასს არ გულისხმობს...

ალმოჩნდა, რომ მესი წელიწადში 31 მილიონ ევროს გამოიმუშავებს. ეს დაახლოებით 3,5 მილიონით მეტია იმაზე, რასაც მეორეადგილოსანი **კრიშტიანო რონალდო** შოულობს. მესამე ადგილზე გავიდა „მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელი **უეინ რუნი**. ის წელიწადში 20,7 მილიონ ევროს შოულობს. ამერიკაში გადახვეწილი **დევიდ ბექჰემი** წლიური 19 მილიონით და **ტიერი ანრი** „სულ რალაც" 13,6-ით, შესაბამისად, მე-5 და 11-ე ადგილებს იკავებენ.

მწვრთნელთა შორის შემოსავლები, ბუნებრივია, ბევრად დაბალია. მაგალითად, პირველ ადგილზე გასული მოურინიო წელიწადში 13,5 მილიონს სჯერდება. მას ფეხდაფეხ მოსდევს ბარსელონელი **პეპ გვარდიოლა** 10,5 მილიონით. მესამეზეა „ინტერის" აწ უკვე ყოფილი ბოსი **რაფაელ ბენიტესი**, მართალია ის ამჟამად უმუშევარია, მაგრამ 2010 წელს 10,2 მილიონი გამოიმუშავა. მეოთხე ადგილზეა ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ფაბიო კაპელო**. ეს უკანასკნელი გაწეული საქმიანობისთვის წელიწადში 8,5 მილიონს იღებს.

ალნიშნული გამოკვლევა ავტორიტეტული აუდიტორული კომპანია „დელოიტ ენდ ტუშის" მონაცემებზე დაყრდნობით მომზადდა.

**ლევან ბიბილაშვილი**


ლეო მესი

## ქართული სპორტი

● სამბო. შულცის ტურნირი

# სამბისტების მოსკოვური კვირეული

დღეს ქართველი სამბისტები მოსკოვში, შულცის სახელობის საერთაშორისო ტურნირში ჩაებმებიან. ისინი ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან და მოსკოვში ორ შეჯიბრებაში გამოვლენ – შულცის მემორიალი ხვალ მთავრდება, 26-27 მარტს კი სამბოს დამაარსებელ ხარლამპიევის სახელობის მსოფლიოს სუპერთასი ტარდება. ჩვენები ორივე ტურნირში ერთი და იმავე შემადგენლობით გამოვლენ: **უშანგი კუზანაშვილი** (57), **ლევან ნახუცრიშვილი** (68), **ზურაბ ნოზაძე**, **კახა მამულაშვილი** (74), **ნიკოლოზ კუცია** (82), **მინდია ბოდაველი** (90), **მირიან პავლიაშვილი** (100), **ლევან მუქერია** (+100).

ჩვენი ნაკრები მოსკოვში არასრული შემადგენლობით იასპარეზებს – 52 და 62 კილოგრამებში მონაწილე არ გვეყოლება. 52-ის ლიდერი აქამდე მსოფლიოს ჩემპიონი კუზანაშვილი იყო, მაგრამ წლეულს წონა შეიცვალა და 57-ში გადავიდა. 52-ში სადღეისოდ ლიდერად **დიმიტრი მულაძე** მოიაზრება, რომელსაც




ამჯერად ნეკნი სტკივა და ამიტომ არ მიჰყავთ. ტაქტიკური მოსაზრებით ასვენებენ საევროპო კანდიდატებსაც 62-ში, სადაც **ოლეგ იაძეს** დიდი არჩევანი აქვს – სახელოვანი ძიუდოისტი, ევროპის ორგზის ჩემპიონი, მსოფლიოსა და ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ძიუდოში და სამბოში ევროპის შარშანდელი ჩემპიონი, სადღეისოდ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართველი სპორტსმენი **ნესტორ ხერგიანი** ან მსოფლიოს შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი **დავით სვიმონიშვილი**. მწვრთნელებმა ამ ეტაპზე მათი გამოცდა საჭიროდ არ მიიჩნიეს.

საერთოდ, ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელი გუნდის ძირითადი ბირთვი უკვე ცნობილია, მაგრამ მწვრთნელები მათ ვინაობას ჯერ არ ასახელებენ. შესაბამისად, წარმოდგენილ შემადგენლობაში მოსკოვური პაექრობები ზოგისთვის მხოლოდ სასტარტო იქნება საევროპოდ მზადების გზაზე, ზოგიერთ წონაში კი ამას საკონკურენციო დატვირთვაც დაემატება – სოფიაში წამსვლელი გუნდი საბოლოოდ იქ გაირკვევა. თუმცა ამჯერად მოსკოვში რამდენიმე ახალგაზრდასაც ცდიან, რომლებიც თანატოლთა ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან. სამწუხაროდ, უფულობის გამო სოფიაში წასვლამდე ჩვენი სამბისტები სხვა ტურნირებში ველარ გამოვლენ.

**ირაკლი თავაძე**

● ვეტერანის მოსაზრებები

# ჭიდაობაზე და ლონდონზე ფიქრით


გურამ სალარაძე

ახლოვდება ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიადა - დიადემასავით ადგას თავზე, რაც კი სპორტული ღონისძიებები ტარდება ჩვენს პლანეტაზე ოთხწლიან ციკლში. სამწუხაროდ, 21-ე საუკუნის ცივილურმა სამყარომ დაარღვია ოლიმპიური ქარტიის უპირველესი პრინციპი და პეკინში გამართულ 29-ე ოლიმპიურ თამაშებს რუსეთ-საქართველოს ომით შეხვდა. მიუხედავად ამ დიდი ტრაგედიისა, ჩვენი სპორტსმენები ღირსეული ნადავლით დაბრუნდნენ სამშობლოში. სამი ოქროს მედალი თანაბრად გაინაწილეს ჩვენმა სახელოვანმა მოჭიდავეებმა: თავისუფალში - **რევაზ მინდორაშვილმა**, ბერძნულ-რომაულში - **მანუჩარ კვირკველიამ** და ძიუდოში - **ირაკლი ცირეკიძემ**. სწორუპოვარმა **ნინო სალუქვაძემ**, პირველმა საქართველოდან, ბრინჯაოთი შეავსო სამივე სინჯის პირადი ოლიმპიური ნადავლი. გორის საჭიდაო სკოლის წარმომადგენლებმა **ოთარ თუშიშვილმა** და **გიორგი გოგშელიძემ** დაძაბულ ბრძოლებში დაიმსახურეს ბრინჯაოს მედლები.

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ასეთი წარმატება არ გვქონია. უკან ჩამოვიტოვეთ ჩვენზე ყოველმხრივ წელგამართული არაერთი ქვეყანა. სწრაფად გაირბინა დრომ. თითქოს აგერ, სულ ახლახან იყო პეკინის ოლიმპიადა. და აჰა, ლონდონიც. სწორედ ამან განაპირობა, რომ ჩემეული მოსაზრებები გამენდო ქართული სპორტის გულშემატკივრებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ოპონენტებიც გამოჩნდნენ. მეც ხომ ქართული სპორტის წიაღიდან ვარ მოსული, მიჭიდავია ოლიმპიურ ხალიჩაზე.

ჭიდაობა ქართული სპორტის ფლაგმანია, ოლიმპიური მედლების სიუხვეც ამას ადასტურებს. არადა, ბოლო წლებში აშკარად უკმაყოფილოა ქომაგი, ხშირად მეკითხებიან, რაშია საქმე?

საქართველოში მწვრთნელების დეფიციტი არასდროს ყოფილა. პირიქით, ჩვენი სახელოვანი სპეციალისტები წარმატებით მუშაობდნენ საზღვარგარეთ და ზოგჯერ იქ სპორტის ამა თუ იმ სახეობის ფუძემდებლადაც გვევლინებოდნენ. ახლა ჩვენც ვიწვევთ უცხოელებს. ცუდს ამაში ვერაფერს ვხედავ. მთავარია, გაამართლოს. ლონდონის ოლიმპიადა მათი ნალვაწის პირუთვნელი შემფასებელი იქნება. სწორედ დრომ და ალბათ რალაც აუცილებელმა გარემოებამ მოიტანა, რომ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებს თავკაცობს დღეს ავსტრიელი **ზაიზენბახერი**. სხვათა შორის, ვკითხე ნაკრების ზოგიერთ წევრს და უკმაყოფილონი არ არიან, მის დავალებებს პირნათლად და ხალისიანად ასრულებენ. ოლიმპიადამდე დარჩენილ დროში, თუკი რაიმე ისევ არ შეიცვლება (უკვე მიჩვეული ვართ ხშირ ექსპერიმენტებს, რაც ჩემი აზრით, უარყოფით გავლენას ახდენს სპორტსმენის ფსიქიკასა და სპორტულ მაჩვენებლებზე) ლონდონში რამდენიმე სხვადასხვა სინჯის მედლის მოპოვების შესაძლებლობა გვექნება. ღმერთმა ქნას, რომ ოქროც იყოს.

მომავალ წარმატებებს დღეს ეყრება საფუძველი. ამიტომ ვადევნებთ თვალყურს ყველა გაფაციცებით ჩვენი ჭაბუკებისა და ახალგაზრდების გამოსვლებს საერთაშორისო სარბიელზე. აგერ, ამ დღეებში ჭაბუკი ძიუდოისტები 16 მედლით დაბრუნდნენ ანთალიის საერთაშორისო ტურნირიდან. ფედერაცია და ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელები კოორდინირებულად მუშაობენ და შედეგიც სასურველია. ნამდვილად გაგვახარეს და იმედი ჩაგვისახეს ახალგაზრდა მოჭიდავეებმაც. რიგის საერთაშორისო ტურნირში ბერძნულ-რომაულ სტილში ჩვენებმა 2 ოქროს, სამი ვერცხლის, 1 ბრინჯაოს მედალი და გუნდური მეორე ადგილი მოიპოვეს; „თავისუფლებმა" 2-2 ოქრო-ვერცხლი, 1 ბრინჯაო და გუნდური პირველობა.

ამასთან, ვეტერან მოჭიდავეებს სერიოზულად გვაშფოთებს ამ დღეებში მახაჩყალაში თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს თასზე ჩვენი ნაკრების ზოგიერთი წევრის უდისციპლინობა, რაც, იმედია, მკაცრი მსჯელობის საგანი გახდება ნაკრებშიც და ფედერაციაშიც.

თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეებს ოლიმპიადაზე მოსახვედრად წლეულს ერთი სალიცენზიო ტურნირი ელოდებათ. 12-18 სექტემბერს ანკარაში მსოფლიო ჩემპიონატში 1-6 ადგილებზე გასულები მიიღებენ ლონდონის საგზურს. უახლოესი ღონისძიება კი ევროპის ჩემპიონატია დორტმუნდში, მაგრამ იქ ლიცენზიები არ გათამაშდება. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ წლევანდელი ევროპის ჩემპიონატი, ასევე სხვა საერთაშორისო ტურნირები და სექტემბერში მსოფლიოს ჩემპიონატი გამოავლენს ნაკრებში ჩვენს მოჭიდავეთა შესაძლებლობებს, რასაც გაისად სალიცენზიო ტურნირებამდე და უშუალოდ ოლიმპიადამდე უფრო სრულყოფენ. მთავარია, ლიცენზიების მოპოვების გარდა თითოეულმა სპორტსმენმა მწვრთნელებთან ერთად ზუსტად განსაზღვროს ოლიმპიადის საშეჯიბრო დღეებში მზადყოფნის პიკი. ეს მეტად სერიოზული საკითხია. ჩემი გამოცდილებიდან ვიცი, როდესაც სპორტსმენი ოლიმპიადამდე „გადაიწვება" - შეჯიბრებამდე ადრე შედის საბრძოლო ფორმაში და ალარ შეუძლია ძალების მობილიზება მიზნის მისაღწევად, ან კიდევ გვიან შედის საბრძოლო ფორმაში და ისე ამთავრებს შეჯიბრებას. რა თქმა უნდა, ამას გამოთვლა-დაგეგმვა უნდა, ჩვენს მწვრთნელებს და მოჭიდავეებსაც კი საკმაოდ აქვთ სათანადო გამოცდილება.

ღმერთმა ნუ ქნას, უმედლოდ დავრჩეთ ლონდონში.

**გურამ სალარაძე,**
*მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და ოლიმპური თამაშების მეორე პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში*

● სპორტი ყველასათვის

# მსოფლიოს ჩემპიონატშიც გამოვლენ

საქართველოს ყრუთა ასოციაცია (პრეზიდენტი **ნიკოლოზ გარანკინი**) ხშირად ატარებს სხვადასხვა შეჯიბრებას. ამ დღეებში თბილისის 111-ე საჯარო სკოლაში მამაკაცთა შორის ტრადიციული პირადი პირველობა გაიმართა მაგიდის ჩოგბურთში. საპატიო კვარცხლბეკის სამივე საფეხურზე თბილისელები დადგნენ. პირველი იყო **ვლადიმერ იანშინი**, მეორე - **ალექსანდრ დობრიკოვი**, მესამე - **რობერტ გოვოროვი**. ეს სამეული მთავარი მწვრთნელის **ჯემალ მელაძის** ხელმძღვანელობით მოემზადება მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, რომელსაც 2012 წლის 27 აპრილიდან 6 მაისამდე ტოკიო უმასპინძლებს. („ლელოს" კორ).


ნუგზარ ფირანიშვილის ფოტო
მარცხნიდან: ნიკოლოზ გარანკინი, ვლადიმერ იანშინი, ჯემალ მელაძე, ალექსანდრ დობრიკოვი და რობერტ გოვოროვი

ლელო და ტურიზმი


გოგა ხაჩიძე შუხუთში

# შოუ 5: ტრადიცია, ბურთაობა, შემოსავალი

## გოგა ხაჩიძის თქმით, შუხუთში ლელოს მუზეუმი გაკეთდება

ლანჩხუთში გარემოს დაცვის მინისტრი **გოგა ხაჩიძე** იმყოფებოდა. მინისტრმა ჯერ კიდევ გასულ წელს გამოთქვა სურვილი, შუხუთის ლელობურთის პოპულარიზაციაში მიელო მონაწილეობა. საამისოდ წინა ბურთაობა ვიდეოკამერით თავად გადაიღო.

„ჩემი სტუმრობის მთავარი მიზანია, რომ შუხუთისა და აქ არსებული ტრადიციის შესახებ ვაცნობო მთავრობის ყველა წევრს. მას მერე, რაც აქ აღდგომის დღესასწაულზე ლელობურთს დავესწარი, საკუთარი პაპის საფლავზე გასვლაც დამავიწყდა. მინდა სხვა მინისტრებიც ჩამოვიყვანო აქ ლელოს სანახავად, რათა უკეთ გაიგონ, რას ნიშნავს ეს სანახაობა თქვენთვის და არა მარტო თქვენთვის" - მიმართა შუხუთელებს მინისტრმა.

ერთ-ერთი შუხუთელის კითხვაზე, თუ არის შესაძლებელი კულტურის სახლი გაგვირემონტოთო, მინისტრმა უპასუხა: - „ვფიქრობ, აქ ყველაზე კარგი ვარიანტი ლელოს მუზეუმის გახსნაა. ამ ტრადიციული სანახაობით თქვენს სოფელს ისეთი პოტენციალი აქვს, აუცილებლად უნდა გამოიყენოთ. ეს იქნება შემოსავლის წყარო, ტურიზმის განვითარების პირობა. მე აუცილებლად ვუამბობ ამ ტრადიციის შესახებ ტურიზმის დეპარტამენტის უფროსს. მართალია, ქალბატონია, მაგრამ ვეცდები დავაინტერესო, რომ ჩამოვიდეს და თავისი თვალით ნახოს, რაც აქ ხდება".

ბატონმა გოგამ შუხუთლებს საკუთარი იდეაც გაუმხილა:

- ლელობურთამდე უნდა დასუფთავდეს მდინარის კალაპოტი, ასევე უნდა ჩამოვიყვანოთ ადამიანები, რომლებიც დაგვეხმარებიან ტურიზმის განვითარებაში, ამას გარდა, ჩემი დიდი სურვილია, ეს ტრადიცია იქცეს სახალხო სანახაობად, თამაშის შემდეგ მოეწყოს სახალხო ზეიმი, სუფრა, დარიგდეს მაისურები, მოკლედ, ეს ყველაფერი აუცილებელია იმისათვის, რომ შუხუთმა ლელობურთი აქციოს შემოსავლის წყაროდ.

შეხვედრის დასასრულს მან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი შუხუთისა და მთლიანად ლანჩხუთისათვის, ლელოს არსებობას და ასე მიმართა მოსახლეობას: - ჩათვალეთ, რომ მთავრობაში ლანჩხუთს და განსაკუთრებით შუხუთს თქვენი დეპუტატი გყავთ!

**მამუკა ქანთარია**
ლანჩხუთიდან

ტყვიის სროლა. მსოფლიოს თასი

# ავსტრალიაში ლონდონის ლიცენზიებისთვის

**დღეიდან ტყვიის მსროლელები სალიცენზიო ტურნირების გრძელ გზას გაუყვებიან. მათ ამ რანგის ერთი შეჯიბრება – მსოფლიოს ჩემპიონატი შარშან უკვე მოილიეს, წლეულს კი ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის საგზურები მსოფლიოს თასებზე გაიცემა**

ეს თასი სეზონში კვლავაც ოთხ ეტაპად გაიმართება, ყოველ მათგანზე კი, ადრინდელი ერთის ნაცვლად, ამჯერად სამ-სამი ლიცენზია დარიგდება. თანაც – პნევმატური და სპორტული პისტოლეტიდან სროლებში - ცალ-ცალკე. თუმცა საკმარისია, ერთგან მოიპოვო და ოლიმპიადაზე ორივე დისციპლინაში იასპარეზებ ანუ ცალ-ცალკე მოპოვება არაა სავალდებულო. სამაგიეროდ, შენს მიერ აღებული ლიცენზიით ვერც სხვა თანაგუნდელს გაიყოლებ თამაშებზე, როგორც ადრე ხდებოდა. შეგახსენებთ, რომ მაშინ საგზურის ორივე დისტანციაზე მოპოვებით შენსავე ფედერაციას დამატებით მეორე ლიცენზია ეძლეოდა, თუმცა ეს წესი ათენის ოლიმპიადის შემდეგ შეიცვალა. ამ თემაზე საუბრისას იმასაც განვმარტავთ, რომ ადგილმონაცვლეობის პრინციპი იმოქმედებს ანუ თუ საგზურს უკვე ლიცენზირებული მსროლელი მოიპოვებს, მაშინ მის მომდევნოს გადაეცემა და ასე შემდეგ. ამდენად, ლონდონური ვიზის მისაღებად იქნებ სამეულში შესვლა არც იყოს აუცილებელი და ეს უფლება უფრო დაბალ საფეხურზე მყოფმაც კი მოიპოვოს.

წლევანდელ კალენდარში კიდევ ერთი სალიცენზიო შეჯიბრებაა – აგვისტოს პირველივე კვირაში ბელგარდში გასამართი ევროპის პირველობა სპორტული პისტოლეტიდან სროლაში. გაისად მხოლოდ ერთი ასეთი ტურნირია, რადგან საგზურები მსოფლიოს თასის ეტაპებზე აღარ გაიცემა და მარტო პნევმატური იარაღიდან სროლაში გასამართ კონტინენტის პირველობაზე დარიგდება.

წლევანდელი სეზონის რიგით პირველი მსოფლიოს თასი დღეს იწყება სიდნეიში, სადაც ტყვიის მსროლელთა შეჯიბრების პარალელურად მესტენდურებისაც ტარდება. ჩვენები ორივეგან გამოდიან ორ-ორი მონაწილით – ტყვიის მსროლელთა შორის ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სა-**




**ლუქვაძე** და **ლევან ქადაგიძე** გამოვლენ, მრგვალ სტენდზე კი **დავით ქვათაძე** და **პავლე ლაკია** ეცდებიან სამიზნეების დამსხვრევას.

ჩვენი კვარტეტიდან შეჯიბრებაში ყველაზე ადრე სალუქვაძე ჩაებმება – ის დღეს იასპარეზებს პნევმატური იარაღიდან სროლაში. 26-27 მარტი სპორტული პისტოლეტით ასპარეზობას დაეთმობა, მესტენდურები კი ცეცხლის ხაზზე შეჯიბრების დასკვნით ნაწილში – 30-31 მარტს დადგებიან.

ამ შეჯიბრებას სულ რაღაც ერთ კვირაში ანალოგიური ტურნირი კორეულ ჩანჯოუში მოსდევს. სიდნეიში ჩასული სპორტსმენების უმეტესობა ან ავსტრალიაშივე დარჩება, ან – კორეაში გადავა და ერთკვირიან შეკრებასაც გაივლიან, რასაც ჩვენები, სამწუხაროდ, სავიზო პრობლემების გამო ვერ ახერხებენ. ისინი იძულებულნი არიან, ავსტრალიიდან თბილისში დაბრუნდნენ, 2-3 დღეში კი კორეაში გაემგზავრონ. საწყენია, ასე გაუმართლებლად რომ უწევთ მთელი კონტინენტის გადაფრენ-გადმოფრენა. თან სეულში ჩასულებსაც ავტობუსით ჩანჯოუმდე საკმაოდ შორი მანძილის გავლა მოუწევთ.

აქვე გეტყვით, რომ კორეაში მსოფლიოს თასი მხოლოდ ტყვიის სროლაში ტარდება, მესტენდურები კი მეორე ასეთ შეჯიბრებას 19-28 აპრილს პეკინში გამართავენ.

**ირაკლი თავაძე**

სამთო თხილამურობა


გალო ჯაფარიძე

# ექვსი ეტაპი მოილიეს

ბრძოლდება საქართველოს თასის გათამაშება სამთო თხილამურობაში, რომელიც კომპლექსური ღონისძიებაა და რამდენიმე ეტაპისგან შედგება. ასპარეზობის მონაწილეებმა სლალომში ექვსი ეტაპი მოილიეს. მათი შედეგების ჯამით **1996 წლამდე დაბადებულ გოგონათა** შორის 115 ქულით პირველ ადგილზეა ბაკურიანელი სუსანა გავა. მას 20 ქულით ჩამორჩება თანაგუნდელი ნატალია გავა. 50 ქულით მესამე საფეხური გუდაურელ თამუნა ჯალმაიძეს უკავია. **ვაჟებში** საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. დავით გავა (93 ქულა), 2. იგორ გავა (82), 3. კოტე ვახტანგიშვილი (70, სამივე-ბაკურიანი).

**1996-1997 წლებში დაბადებულნი. გოგონები.** 1. ანასტასია კვირიკაძე (გუდაური, 125), 2.ნატა მგელაძე (110), 3. ნუცა ხურცილავა (ორივე-თბილისი, 65). **ვაჟები.** 1. გალო ჯაფარიძე (გუდაური, 125), 2-4. სოსლან ბაკაევი (ბაკურიანი, 75), ნოდარ ჩუბკო (ბაკურიანი, 75), შოთა ნათაძე (თბილისი, 75).

**1998-1999 წლებში დაბადებულნი. გოგონები.** 1. ქეთევან ჩოგაძე (აჭარა, 77), 2. ანა ოგბაიძე (გუდაური, 70), 3. ანა გორდეზიანი (თბილისი, 65). **ვაჟები.** 1. გიორგი კურტანიძე (ბაკურიანი,85), 2. ვალიკო მარსაგიშვილი (გუდაური,85), 3. დათო ხომერიკი (გუდაური, 81).

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# ტატიშვილი მაიამის ძირითადში

მაიამის საერთაშორისო ტურნირ „სონი ერიქსონ ოუფენის" საპრიზო ფონდი 4,5 მილიონი დოლარია. იქ ძირითად ბადეში გაღწევა საქართველოს პირველმა ჩოგანმა **ანა ტატიშვილმა** (125) სცადა და მიზანსაც მიაღწია.

პირველ საკვალიფიკაციო წრეში ანამ ბადეში მე-16 ნომრად განთესილ ავსტრიელ **პატრისია მაირ-ახლაიტნერს** მოუგო - 6:4, 6:3. 24 წლის მაირ-ახლაიტნერი მსოფლიოს 108-ე ჩოგანია და, თითქოს, მატჩის ფავორიტიც ის იყო. მეორე და ფინალურ წრეში ჩვენებური ესპანელ **ნურია ლიაგოსტერა ვივესს** (122) შეხვდა. თავიდან ჩვენებურმა ბრწყინვალედ დაიწყო, ბრეიქ-პოინტი მალევე გაახერხა და სეტიც ბოლომდე მიიყვანა - 6:3. მეორეში კი ინიციატივა ხელთ 30 წლის ესპანელმა იგდო, ტატიშვილმა კი გაიბრძოლა, მაგრამ მატჩში ანგარიში გათანაბრდა. გადამწყვეტი სეტი ჩვენებურისთვის ცუდად დაიწყო - ის 0:2 ჩამორჩა, მაგრამ ორჯერ შეძლო ბრეიქის გახერხება და საბოლოოდ გამარჯვება - 6:3, 4:6, 6:4. გუშინ გვიან გაირკვეოდა, თუ ვის დაუპირისპირდება ქართველი ძირითად ბადეში პირველად.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

# მიხეილ მჭედლიშვილი ერთპიროვნულად მეწინავეობს

მართალია, საფრანგეთში მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი მიმდინარეობს, რომელშიც საკმაოდ მაღალი ფულადი პრიზებია დაწესებული და 23 საუკეთესო მსოფლიოს თასის გათამაშებაში მონაწილეობასაც დაიმსახურებს, მაგრამ ამის მიუხედავად, ბებერი კონტინენტის ბევრმა ძლიერმა დიდოსტატმა რატომღაც ტაშკენტში გიორგი აგზამოვის მე-5 საერთაშორისო მემორიალში მონაწილეობა არჩია. მათ შორის გახლავთ საქართველოს ორგზის ჩემპიონი **მიხეილ მჭედლიშვილი** (2629), რუსი **ევგენი ალექსეევი** (2688), სომეხი **ტიგრან პეტროსიანი** (2620), **მიხაელ როისი** (ისრაელი, 2661) და სხვები. სულ ტურნირზე სხვადასხვა ქვეყნის 106 წარმომადგენელია, მათ შორის - 18 დიდოსტატი.

წარმატებით აილო სტარტი მიხეილ მჭედლიშვილმა. პირველ ტურში უზბეკ ინომიონ შაიმურატოვს სძლია, მეორეში ყაზახ ბერიკ აკოზოვს დაუზავდა, მომდევნო სამ ტურში ჰალიმ ტურაევი, დმიტრი კაიუმოვი (ორივე-უზბეკეთი), რინატ ჯუმბაიევი (ყაზახეთი) დაამარცხა და ხუთი შესაძლებლიდან 4,5 ქულით ერთპიროვნულად მეწინავეობს. ლიდერს ნახევარ-ნახევარი ქულით 11 მოჭადრაკე ჩამორჩება. 14 მონაწილეს 3,5-3,5 ქულა აქვს.

დღეს მე-6 ტურში დაწინაურებულთა ორთაბრძოლებიდან ინტერესს იწვევს ევგენი ალექსეევი (4)-მიხეილ მჭედლიშვილის (4,5), ირენე კარიშმა სუკანდარი (4)-ტიგრან პეტროსიანის (4), მურთაზ კაჟგალიევი (4)-ალექსეი ბარსოვის (4), იური კუზუბოვი (4)-ასლან აიტბაიევის (4), ანტონ ფილიპოვი (4)-მიხაელ როისის (4), მაქსიმ ტუროვი (4)-სუსანტო მეგარანტოს (4) შეხვედრები.

**ვაჟა დანელია**


მიხეილ მჭედლიშვილი

# დღე პირველი: ექვსი მოგება და ორი ყაიმი

ფრანგულ ექს-ლე-ბენში გუშინ დაიწყო მოჭადრაკე ვაჟთა მე-12 ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს 9 წარმომადგენელი მონაწილეობს. კონტინენტის პირველობების ვერცხლის და ბრინჯაოს პრიზიორი **ბაადურ ჯობავა** (2707) პირველ ტურში შავი ფიგურებით მასპინძელთა საერთაშორისო ოსტატ კევინ ტერიეს (2422) დაუპირისპირდა. რეიტინგში თითქმის სამასპუნქტიანი სხვაობიდან გამომდინარე, ჩვენებური ვალდებული იყო, პირველი გამარჯვება ჩაეწერა გათამაშების ცხრილში. სამწუხაროდ, მან ეს ვერ შეძლო და 28-ე სვლაზე მეტოქეს დაუზავდა.

დანარჩენ ქართველ მოჭადრაკეთა შეხვედრები ასე დამთავრდა: ვლადიმირ აკოფიანი (სომხეთი, 2675)-**დავით ზარქუა** (2397) 0.5:0.5, **ალენ მული** (საფრანგეთი, 2224)-**ლევან ფანცულაია** (2595) 0:1, **თორნიკე სანიკიძე** (2542)-**ოლივერ ჩარვინი** (საფრანგეთი, 2054) 1:0, ფილიპ დუშარტი (საფრანგეთი, 1799)-**დავით ლობჟანიძე** (2498) 0:1, სტეფან დონკოვი (საფრანგეთი, 1753)-**ლუკა პაიჭაძე** (2487) 0:1, **სალომე მელია** (2462)-მადლენ კარსენი (საფრანგეთი, 1415) 1:0, მაქს შმიდტი (გერმანია, ურეიტინგო)-**ლელა ჯავახიშვილი** (2437) 0:1.

იმის მიუხედავად, რომ პირველ ტურში მაღალი რეიტინგის მქონე დიდოსტატები საშუალო დონის მოჭადრაკეებს ხვდებოდნენ, გულშემატკივრებისთვის, ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება რამდენიმე ფავორიტის ორთაბრძოლათა შედეგები: პიოტრ სვიდლერი (რუსეთი, 2730)-დემ ზისკა ჰელგი (ფარერები, 2432) 0.5:0.5, გუილამ სერმიერი (შვეიცარია, 2428)-იან ნეპომნიაშჩი (რუსეთი, 2729) 0:1, დავით ნავარა (ჩეხეთი, 2722)-ვინცენტე გოლინი (საფრანგეთი, 2427) 0.5:0.5, ალექსანდრ პოტაპოვი (რუსეთი, 2524)-ნიკიტა ვიტიუგოვი (რუსეთი, 2720) 0.5:0.5, დმიტრი იაკოვენკო (რუსეთი, 2718)-არტიომ სმირნოვი (რუსეთი, 2425) 0:1, მერთ ეგდოგდუ (თურქეთი, 2423)-ფაბიანო კარუანა (იტალია, 2716) 0:1, რადოსლავ ვოიტაჩეკი (პოლონეთი, 2711)-კევინ როსე (საფრანგეთი, 2423) 0.5:0.5, ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი, 2707)-სერგეი ვედმედიუსი (მოლდოვა, 2422) 0.5:0.5, იოვანკა ჰოუსკა (ინგლისი, 2419)-ალექსეი დრეევი (რუსეთი, 2697) 0:1, ბეატ ცუგერი (შვეიცარია, 2417)-ემილ სუტოვსკი (ისრაელი, 2692) 0:1, ჰაგენ პოეჩი (გერმანია, 2415)-იუდით პოლგარი (უნგრეთი, 2686) 0.5:0.5...

დღეს მე-2 ტურის პარტიები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

## კალათბურთი

ინტერვიუ ლაშა გამყრელიძესთან

# ვითამაშოთ ლიტვაში, ისე როგორც საქართველოში



### დოსიე

დაიბადა: 4.2.1986
სიმაღლე: 183 სმ
წონა: 83 კგ
პოზიცია: გამთამაშებელი
გუნდი: გისენი (გერმანია)

**კარიერა**

2002 - თსუ
2003 - აკადემია
2004-05 - დინამო
2005-06 - პანტერსი (ავსტრია)
2006-09 - ენერჯი
2009-10 - მიტელდოიჩერი (გერმანია)
2010-11 - გისენი (გერმანია)

**მიღწევები**

2007, 2008, 2009 - საქართველოს ჩემპიონი
2009 სუპერლიგის საუკეთესო კალათბურთელი
2005 წლიდან საქართველოს ნაკრების წევრი (30 მატჩი)

საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი **ლაშა გამყრელიძე** არათანაბარ სეზონს ატარებს. გერმანიის ჩემპიონატის დასაწყისში იგი „გისენის" სასტარტო პლეიმეიქერი იყო და მისი დამაჯერებელი თამაშის წყალობით გუნდმა არაერთი მატჩი მოიგო. თუმცა ნოემბრის ბოლოდან „გისენს" წაგება დასჩემდა და მწვრთნელმა გამოსავლის ძიება დაიწყო. ხუთეულიდან ლაშა ამოაგდო, თუმცა ამ ნაბიჯმა არ გაამართლა - „გისენმა" თამაში ვერ გამოასწორა და წარუმატებლობას **ვლადიმირ ბოგოიევიჩის** მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადაყენება მოჰყვა. მის ნაცვლად გუნდის საჭე ამერიკელმა **სტივენ კეიმ** ჩაიბარა, თუმცა გამყრელიძე მის ხელშიც არ თამაშობდა. მიზეზი არა მწვრთნელთან უკმაყოფილება, არამედ ტრავმა იყო - ლაშას ფეხის კუნთი ჰქონდა დაზიანებული და მის დაბრუნებას მომავალი კვირისთვის ველოდით, მაგრამ მოსალოდნელზე ადრე, ზუსტად ორთვიანი შესვენების შემდეგ (20 იანვრის მერე არ უთამაშია) 20 მარტს „ბრემერჰავენის" წინააღმდეგ მოედანზე 15 წუთით გამოჩნდა (5 პასი შეასრულა).

> **გერმანიაში სეზონს რომ დავასრულებ, თუ მოესწრება, საქართველოს ჩემპიონატში დაბრუნება საინტერესო იქნება...**

- სხვათა შორის, მეც არ მეგონა, ასე მალე თუ ვითამაშებდი. თავდაპირველი დიაგნოზის მიხედვით კიდევ ერთი კვირა უნდა მემკურნალა და ვარჯიშიც მას მერე უნდა დამეწყო. თუმცა კომპიუტერულმა შემოწმებამ უჩვენა, რომ ფეხი მწყობრშია და მეც 13 მარტიდან შევუდექი ვარჯიშს. ნელ-ნელა ვიტვირთებოდი. „გისენმა" პარასკევს ითამაშა, მაგრამ არ მითამაშია - მატჩისთვის მზად არ ვიყავი. ნამდვილად არ მეგონა, თუ მწვრთნელი კვირას, 20 მარტს „ბრემერჰავენის" წინააღმდეგ მათამაშებდა, მაგრამ განაცხადშიც შემიყვანა და 15 წუთიც მომცა.

**- მხოლოდ ერთი სამქულიანი ისროლე. როცა სათანადო ფორმაში არ ხარ, ეს პირველ რიგში სროლის სიზუსტეზე აისახება.**

- ასეა. ის სამქულიანიც ერთ-ერთი მეოთხედის ბოლო წამზე ცენტრიდან ვისროლე. ამასთან, მატჩისას ერთხელაც არ აღმოვჩნდი სასროლ პოზიციაზე... ფორმაში არყოფნა არა მხოლოდ სროლაზე, არამედ კალათბურთელის ფსიქოლოგიაზეც მოქმედებს - სათანადო კონდიციებში რომ ხარ, ენერგიაც საკმარისად გაქვს, თამამადაც უტევ და თავისუფლადაც თამაშობ.

> **ევროპის ჩემპიონატზე პირველად გავდივართ და სხვების გამოცდილება ორმაგი მომზადებითა და მონდომებით უნდა გადავფაროთ**

**- მოასწრებ სეზონის ბოლომდე სასურველ ფორმაში ჩადგომას?**

- გერმანიის ჩემპიონატის რეგულარული ეტაპის დასრულებამდე 5 მატჩია დარჩენილი - აპრილის შუაში ვამთავრებთ. სამწუხაროდ, „გისენი" საუკეთესო რვა გუნდს შორის ვერ მოხვდება, შესაბამისად ვერც პლეი ოფში ითამაშებს.

**- წინა მწვრთნელთან საქმე ვერ აეწყო. სტივენ კეისთან როგორი დამოკიდებულება გაქვს?**

- მასთან მეგობრულად ვარ. პრობლემა არ მაქვს. თუმცა, რამდენს მათამაშებს ჯერ არ ვიცი. ზამთარში, ტრავმა რომ მივიღე ამერიკელი გამთამაშებელი ჯორდანი დაიმატეს. ახლა მთავარი პლეიმეიქერი ისაა, მე - მეორე ვარ. სხვათა შორის, ჯორდანთან ერთად შარშან „მიტელდოიჩერში" ვთამაშობდი. გასული სეზონის დასრულების შემდეგ „გისენში" გადმოვედი, ის კი „დოიჩერში" დარჩა. თუმცა ამ ზამთარს კლუბის დატოვება გადაწყვიტა და „გისენმა" აიყვანა.

**- მწვრთნელის ცვლილებას გუნდში კიდევ რა გადაადგილებები მოჰყვა?**

- ძირითადად ტაქტიკა შეიცვალა. ამერიკელი მწვრთნელი სწრაფ თამაშს არ აღიარებს. თუმცა არა უშავს, დარჩენილ ხუთ თამაშში მთავარი კონდიციების გაუმჯობესებაა.

**- „გისენი" სატურნირო ცხრილში მე-15 ადგილზეა. საწყისი 7 ტურის შემდეგ კი ზედა ოთხეულში იყავით. ამ მაჩვენებლების მიხედვით ძნელია გუნდის რეალურ ძალაზე მსჯელობა. „გისენს" შეეძლო პლეი ოფისთვის ბრძოლა?**

- სეზონი შესანიშნავად დავიწყეთ. ვიგებდით როგორც შინ, ასევე სტუმრად. თუმცა, ჯერ „ბამბერგთან" 1 ქულის სხვაობით წავაგეთ, ამას მეორე მარცხი მოჰყვა და მწვრთნელის კალათბურთელებისადმი მიდგომა შეიცვალა. თუ თავიდან თავისუფლად ვთამაშობდით, შემდეგში მწვრთნელი ჩარჩოებში გვსვამდა: ამ ეპიზოდში არ შეუტიო, არ ესროლოო... მოთამაშეს ფარქვეშ შესვლას და სროლას რომ აუკრძალავ, მისგან დადებით შედეგს ვერ მიიღებ. ამან გუნდის ფსიქოლოგიაზე უარყოფითად იმოქმედა. იყო მატჩი, მესამე პერიოდში 15 ქულით დავწინაურდით, მაგრამ ბოლო მეოთხედში დავმარცხდით. ეს ფსიქოლოგიის ბრალია. ბოლო წამებზე 3-4 მატჩი წავაგეთ. სხვათა შორის, ოთხი შეხვედრა რომ მოგვეგო, ახლა საპლეიოფო ზონასთან ახლოს ვიქნებოდით.

> **მოთამაშეს ფარქვეშ შესვლას და სროლას რომ აუკრძალავ, მისგან დადებითს ვერ მიიღებ**



### ევრობასკეტი

**- ახლა სხვა მწვრთნელზე გკითხავ - საქართველოს ნაკრების თავკაც იგორ კოკოშკოვთან თუ გაქვს კონტაქტი?**

- ერთმანეთს ახალი წელი მივულოცეთ. მას მერე არ შევხმიანებივართ ერთმანეთს. საქართველოს ნაკრების მოსამზადებელი გეგმა რომ დადგინდება მაშინ დავილაპარაკებთ. კალათბურთელებთან კი ხშირი ურთიერთობა მაქვს - ნაკრებში ხომ სულ მეგობრები ვართ.

**- ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების მეტოქეები გაანალიზებული გეყოლება...**

- ჯერ ქვედა დივიზიონში ვამბობდით, ყველა მატჩი უნდა მოვიგოთო, ასეთივე მიზნები გვქონდა A ლიგაში გადასვლის შემდეგაც. ახლა ევროპის ჩემპიონატზე ვითამაშებთ... მეტოქეთა სიძლიერის მიხედვით თამაშები ნელ-ნელა რთულდება და ევრობასკეტზე ყველა შეხვედრის მოგება წარმოუდგენელია. იქ ხომ ევროპის რჩეული გუნდები ითამაშებენ. ავილოთ თუნდაც ბელგია, რომელიც შარშანაც კარგად აწყობილი, ძლიერი მსროლელებით დაკომპლექტებული გუნდი იყო. წლეულს არანაკლები იქნება და იტალიას, ან საფრანგეთს რომ შეხვდეს, არ გამიკვირდება თუ მოუგებს. რუსეთისა და სლოვენიის ნაკრებების სიძლიერეზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ეს ორი გუნდი ყველა ევროპის ჩემპიონატზე ფავორიტად ითვლება. აქედან გამომდინარე სერიოზულად უნდა მოვემზადოთ, როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად. ახალგაზრდული გუნდი ვართ, ევროპის ჩემპიონატზე პირველად გავდივართ და სხვების გამოცდილება ორმაგი მომზადებითა და მონდომებით უნდა გადავფაროთ. ამასთან, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ღმერთის წყალობით ყველა ჯანმრთელად იყოს.

**- ერთ საკითხზეც გავამახვილებ ყურადღებას - საქართველოს ნაკრები შინ უკეთესად თამაშობს, ვიდრე სტუმრად...**

- შარშან ორი მეტოქე მისსავე მოედანზე დავამარცხეთ - ბულგარეთი და პორტუგალია. თუმცა, ისიც მართალია, რომ თბილისში, სავსე ტრიბუნების წინაშე უკეთესად ვთამაშობთ, ვიდრე სტუმრად. უნდა ჩავთვალოთ, რომ ლიტვაში კი არა, საქართველოში ვართ, ფსიქოლოგიური ბარიერიც დავძლიოთ. რაშიც, იმედია გულშემატკივარიც დაგვეხმარება. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ჯგუფიდან გასასვლელად. სამეულში მოხვედრა ბევრად იქნება დამოკიდებული პირველ მატჩზე (ბელგიასთან, 31 აგვისტოს). იმ შეხვედრის წაგება არ შეიძლება. ახლა მე გკითხავ - საქართველოს ჩემპიონატის რომელიმე გუნდი გაისად ევროთასებზე გასვლას არ აპირებს? ნაკრები ევრობასკეტზე თამაშობს და ქართულ კლუბებს ევროპაში არავინ იცნობს...

### ევროთასები

**- ევროჩელენჯზე თამაშის სურვილი სამ გუნდს გააჩნია...**

- ძალიან კარგი! ბოლო წლებში საქართველოდან ევროთასებზე ერთი კლუბიც არ გამოჩენილა. ეს ჩვენს კალათბურთზე დადებითად ნამდვილად არ აისახებოდა. თუ ევროჩელენჯზე ერთბაშად სამი გუნდი გავა, ამას რა აჯობებს. ოღონდ, სერიოზული მიდგომაა საჭირო - კარგი ლეგიონერების მოწვევა, სათანადო მომზადება და ერთმაც თუ შეაღწია ჯგუფურ ეტაპზე, შესანიშნავი იქნება. „ენერჯიში" რომ ვთამაშობდი, ორჯერ გავედით ევროჩელენჯზე, მაგრამ უცხოელები დაგვიანებით ჩამოიყვანეს, თან რამდენიმემატჩიანი კონტრაქტები ჰქონდათ. ასეთ შემთხვევაში ამერიკელი უმთავრესად საკუთარ სტატისტიკაზე იზრუნებს. საჭიროა კარგი უცხოელის დროულად ჩამოყვანა და სეზონის ბოლომდე დატოვება.

**- სუპერლიგის თამაშებს თუ ადევნებ თვალს?**

- მიხარია, რომ მდგომარეობა უმჯობესდება. გუნდებში ფული გაჩნდა და პლეი ოფებიც საინტერესოდ წარიმართება.

**- გაჩნდა ინფორმაცია, თითქოს ამავე სეზონში საქართველოს ჩემპიონატში აპირებ კარიერის გაგრძელებას.**

- ქართული კლუბებიდან ინტერესი არავის გამოუხატავს. თუმცა, ასეც რომ ყოფილიყო, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „გისენთან" კონტრაქტი მაკავშირებს. გერმანიაში სეზონს რომ დავასრულებ, თუ მოესწრება, საქართველოს ჩემპიონატში დაბრუნება საინტერესო იქნება...

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

---

საქართველოს ქალთა ჩემპიონატი II ტური



# ლიდერობს ზესტაფონი

**რუსთავი**

**რუსთავი-თსუ 53:83**

16:17, 11:14, 10:25, 16:27

**რუსთავი:** აბულაძე (10ქ), მიქაძე (8ქ)...
**თსუ:** კომლაძე (24ქ), ჩეკურიშვილი (15ქ)...

**ზესტაფონი-ქუთაისი 78:44**

23:9, 26:13, 15:13, 14:9

**ზესტაფონი:** პეტროსიანი (12ქ), ბალდოიანი (12ქ), ჭურაძე (10ქ)...
**ქუთაისი:** ფესტვენიძე (12ქ), ალანია (9ქ)...

**რუსთავი-ქუთაისი 73:45**

21:14, 15:12, 14:11, 23:8

**რუსთავი:** საჯაია (22ქ), ფუტკარაძე (17ქ)...
**ქუთაისი:** გვილავა (12ქ), ნ. ყორყოლიანი (10ქ)...

**ზესტაფონი-თსუ 65:51**

11:9, 18:13, 12:13, 24:16

**ზესტაფონი:** ბალდოიანი (26ქ), მამიკონიანი (12ქ), ფოცხვერაშვილი (10ქ)...
**თსუ:** ჩეკურიშვილი (11ქ), კომლაძე (11ქ), სიდამონიძე (8ქ)...

**თსუ-ქუთაისი 71:39**

18:8, 21:7, 16:12, 16:12

**თსუ:** ურუშაძე (20ქ), მ. ყორყოლიანი (13ქ), მაისურაძე (8ქ), ნიქორიძე (8ქ)...
**ქუთაისი:** ნ. ყორყოლიანი (12ქ), მაღლაკელიძე (7ქ)...

**ზესტაფონი-რუსთავი 54:56**

11:10, 18:17, 9:12, 16:27

**ზესტაფონი:** პეტროსიანი (13ქ), ბალდოიანი (10ქ), ფოცხვერაშვილი (10ქ)...
**რუსთავი:** ფუტკარაძე (21ქ), აბულაძე (15ქ), საჯაია (8ქ), სირბილაძე (8ქ)...

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ზესტაფონი | 6 | 5 | 1 | 395:308 | 11 |
| 2. თსუ | 6 | 4 | 2 | 402:292 | 10 |
| 3. რუსთავი | 6 | 3 | 3 | 346:352 | 9 |
| 4. ქუთაისი | 6 | 0 | 6 | 222:416 | 6 |

საქართველოს ქალთა ჩემპიონატში მეორე ტურის მატჩები გაიმართა. შეგახსენებთ, რომ გუნდები ტურობრივი სისტემით ერთ ქალაქში იკრიბებიან და სამი დღის განმავლობაში ამდენივე მატჩს ატარებენ.

მეორე ტური თბილისში იყო დაგეგმილი, მაგრამ აკადემიის დარბაზის არასათანადო გათბობის გამო ბოლო მომენტში რუსთავში გადაიტანეს.

თუ ქუთაისში გამართულ პირველ ტურში სომეხი ლეგიონერებით გაძლიერებულმა „ზესტაფონმა" სამივე შეხვედრა მოიგო, რუსთავური ტურის შემდეგ დაუმარცხებელი აღარავინაა.

ზესტაფონელებმა „რუსთავთან" 54:56 დათმეს. ეს ყველაზე დრამატული შეხვედრა გამოდგა. მეოთხე ათწუთეულის წინ იმერლები 9 ქულით იგებდნენ და ვარაუდობდნენ, რომ მორიგ გამარჯვებას მიითვლიდნენ, თუმცა ბოლო პერიოდში რუსთაველებმა დიდებულად ითამაშეს. მატჩის გმირი **ხათუნა საჯაია** გახდა, რომელმაც ამ შეხვედრაში 8 ქულა მოაგროვა, რვავე ბოლო მეოთხედში. გადამწყვეტი ორქულიანიც მის ანგარიშზე იყო - 56:54.

მეორე წრის კიდევ ერთ საინტერესო შეხვედრაშიც „ზესტაფონი" მონაწილეობდა. თსუ-თან თამაში თანაბრად წარიმართა, თუმცა ბოლო მეოთხედში ზესტაფონელებმა იძალეს, პერიოდი 24:16 მოიგეს და საბოლოო გამარჯვებაც მათ დარჩათ. ზესტაფონელთა ბომბარდირი **ანა ბალდოსიანი** (26 ქულა) გახდა, რომელმაც 5 სამიანი ჩააგდო. გადამწყვეტ ეპიზოდში **თიკო ფოცხვერაშვილმა** იყოჩაღა. მან ბოლო პერიოდში 10 ქულა მოაგროვა.

მომდევნო ტური აპრილის შუა რიცხვებში, სავარაუდოდ, თბილისში გაიმართება.

ფოტობრალდება

# რად უნდა კომენტარი!..

მხოლოდ იმას ვიტყვით: ეს თბილისია, 2011 წლის მარტი (XXI!? საუკუნე). ყოფილი ნინოშვილის ქუჩაზე ცნობილი „პეტრეს დარბაზი“, სადაც გასული საუკუნიდან მოყოლებული სახელოვან ქართველ ფალავანთა თაობები ალიზარდა და... იზრდება! ტრადიციას დამსახურებული მწვრთნელი **დათო დავითაია** აგრძელებს.



















# წარმოგიდგენთ!

ვაგრძელებთ რაგბიში წლევანდელ ეროვნულ ჩემპიონატში უმაღლესი ლიგის გუნდების განაცხადების გამოქვეყნებას. დღეს „ხარებს“ და „აკადემიას“ წარმოგიდგენთ.

## ხარები (რუსთავი)

| გვარი | სახელი | დაბ' წელი | ... თარიღი | სიმაღლე | წონა | ამპლუა |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ბეკები | | | |
| წიკლაური | მიხეილ | 1988 | 04/08 | 175 | 80 | ფულბეკი |
| მურადაშვილი | ირაკლი | 1991 | | 170 | 73 | ფულბეკი |
| შუბითიძე | ლაშა | 1982 | 13/12 | 193 | 85 | გარემარბი |
| ბებიაშვილი | გიორგი | 1988 | 27/09 | 172 | 80 | გარემარბი |
| მელიქიშვილი | ლექსო | 1990 | 09/11 | 172 | 74 | გარემარბი |
| ლობჟანიძე | ირაკლი | 1983 | | 182 | 85 | შუამარბი |
| ღამბაშიძე | რატი | 1987 | 06/03 | 175 | 80 | შუამარბი |
| ბებიაშვილი | ბექა | 1991 | 31/12 | 184 | 85 | შუამარბი |
| ღამბარაშვილი | ზვიად | 1992 | | 180 | 90 | შუამარბი |
| ჯიმშელაძე | პალიკო | 1975 | | 178 | 85 | მგეზავი |
| ჭაავა | მანუჩარ | 1985 | 02/04 | 178 | 85 | მგეზავი |
| ზირაქაშვილი | ზაქარია | 1988 | 06/01 | 170 | 70 | ჰავბეკი |
| ხუციშვილი | ვაჟა | 1993 | 27/06 | 163 | 72 | ჰავბეკი |
| | | | ფორვარდები | | | |
| მაჭარაშვილი | შოთა | 1980 | 24/02 | 182 | 102 | ბურჯი |
| მოქია | სერგო | 1981 | | 180 | 110 | ბურჯი |
| წიკლაური | მიხეილ | 1985 | 19/07 | 182 | 108 | ბურჯი |
| კაკაბაძე | ლაშა | 1985 | 26/01 | 178 | 96 | კვაჭი |
| აღაშვილი | უჩა | 1987 | 09/12 | 172 | 99 | კვაჭი |
| ბასილაშვილი | რეზო | 1988 | 26/02 | 181 | 112 | ბურჯი |
| კობერიძე | კახა | 1985 | 15/04 | 193 | 140 | მხტომელი |
| ქარუხნიშვილი | სოლომონ | 1985 | 16/08 | 193 | 110 | მხტომელი |
| ბალუაშვილი | თომა | 1990 | | 195 | 110 | მხტომელი |
| ქვლივიძე | გოგა | 1990 | | 182 | | ფრთა |
| გოგიაშვილი | ლაშა | 1987 | 03/01 | 188 | 88 | ფრთა |
| უჩავა | კახა | 1977 | | 190 | 110 | შემკვრელი |
| | | | ფუნქციონერები | | | |
| ხუციშვილი | ზაზა | | | მწვრთნელი | | 874 89 98 80 |
| მინდორაშვილი | მამუკა | | | მწვრთნელი | | |

## აკადემია

| გვარი | სახელი | დაბ' წელი | ... თარიღი | სიმაღლე | წონა | ამპლუა |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ბეკები | | | |
| დავითაშვილი | ივანე | 1988 | 16/01 | | | ფულბეკი |
| ჭუაძე | გიორგი | 1990 | 05/07 | | | ფულბეკი |
| კიზირია | ჯაბა | 1982 | | 176 | 70 | გარემარბი |
| ყურკაციშვილი | ვალერი | 1991 | 08/05 | 180 | 85 | გარემარბი |
| ალთუნაშვილი | საბა | 1991 | 08/02 | 178 | 68 | გარემარბი |
| გოგოლაშვილი | ლევან | 1992 | | 179 | 72 | გარემარბი |
| წასიძე | ბესო | 1987 | 01/02 | 182 | 81 | შუამარბი |
| მოლოდინაშვილი | ოლეგ | 1987 | 11/12 | 175 | 80 | შუამარბი |
| მარგიანი | გიორგი | 1991 | 08/02 | 182 | 83 | შუამარბი |
| აბდუშელიშვილი | გიორგი | 1991 | 07/11 | 182 | 95 | მგეზავი |
| ქოპილაშვილი | გიორგი | 1981 | | 178 | 93 | ჰავბეკი |
| დავითაშვილი | შალვა | 1989 | 18/08 | | | ჰავბეკი |
| ხუციშვილი | შოთა | 1990 | | 168 | 60 | ჰავბეკი |
| | | | ფორვარდები | | | |
| ფირცხალაიშვილი | ოთარ | 1981 | 26/01 | 172 | 105 | ბურჯი |
| შაშიაშვილი | ირაკლი | 1983 | 07/03 | 184 | 122 | ბურჯი |
| ღამბაშიძე | გიორგი | 1986 | 07/04 | 174 | 108 | ბურჯი |
| მეკოკიშვილი | ბექა | 1987 | 15/04 | 175 | 109 | კვაჭი |
| ზაქაშვილი | გიორგი | 1989 | 11/05 | 181 | 98 | ბურჯი |
| მაჩიტიძე | მერაბ | 1992 | 06/09 | 183 | 100 | ბურჯი |
| ნებულიშვილი | გიორგი | 1982 | 28/04 | 188 | 105 | მხტომელი |
| ობოლაძე | ლევან | 1984 | 02/09 | 193 | 98 | მხტომელი |
| გაბროშვილი | ირაკლი | 1990 | 25/06 | 185 | 99 | მხტომელი |
| ჩაჩუა | გიორგი | 1982 | 30/07 | 174 | 83 | ფრთა |
| მაღლაკელიძე | ალექსანდრე | 1986 | 27/03 | 181 | 103 | ფრთა |
| ნიბლაძე | დავით | 1987 | 23/02 | | | ფრთა |
| გაჩეჩილაძე | მიხეილ | 1990 | 24/12 | | | შემკვრელი |
| ხოლუაშვილი | გიორგი | 1991 | 30/12 | 190 | 85 | ფრთა |
| ჩხიკვაძე | ნიკოლოზ | 1991 | 09/05 | 182 | 100 | შემკვრელი |
| ხარაძე | ანზორ | 1992 | | 189 | 98 | ფრთა |
| გოგოლაძე | დიმიტრი | 1989 | 26/08 | | | ? |
| მაკაროვი | დავით | 1990 | 07/08 | | | ? |
| გაფრინდაშვილი | ნიკოლოზ | 1990 | 31/08 | | | ? |
| ცაგარეიშვილი | ზურაბ | 1992 | | 176 | 69 | ? |
| დიაკონიძე | ჯაბა | | | | | ? |
| | | | ფუნქციონერები | | | |
| ღლონტი | გია | | | დირექტორი | | |
| ნარიმანაშვილი | პაატა | | | მწვრთნელი | | |
| ობოლაძე | დიმიტრი | | | მწვრთნელი | | |

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ინტერვიუ კაროლინ ვოზნიაცკისთან

# კოლექციას უფრო გავამდიდრებ

**მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა კაროლინ ვოზნიაცკიმ ბრწყინვალე სტილში მოიგო ინდიან უელსის სუპერტურნირი და ახლა მაიამის ტიტულს უმიზნებს. ეს ტურნირები ერთმანეთის მიყოლებით ტარდება და „დიდი სლემის" ჩემპიონატებს თუ არ ჩავთვლით, სეზონის პირველ ნაწილში ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობს. ქალთა ტურნირებს ერთი უცნაური ტენდენცია ახასიათებს - ინდიან უელსში გამარჯვებული ჩოგბურთელი მაიამიში პირველობას ველარ ახერხებს. ასეთი რამ მხოლოდ სამჯერ მოხდა: ორჯერ შტეფი გრაფმა მოიგო ზედიზედ ორი ტიტული (1994, 1996) და ერთხელ - კიმ კლაისტერსმა (2005). ვნახოთ, შეუერთდება თუ არა მათ ვოზნიაცკი. მანამდე კი გთავაზობთ დანიელი ჩოგბურთელის ინტერვიუს, რომელიც ინდიან უელსში გამარჯვების შემდეგ არის აღებული.**

**- რამდენად გაუმჯობესდა თქვენი თამაში ბოლო ერთი წლის განმავლობაში?**

- არ ვიცი. იმედი მაქვს, ყოველ მატჩზე ვუმატებ თამაშს. მიყვარს ტურნირებში მონაწილეობა და განსაკუთრებით მოგება. გამარჯვების შეგრძნება - ეს ფანტასტიკური მომენტია. მაგრამ ვარჯიშებზე ვგრძნობ, რომ კიდევ ბევრ რამეზე მაქვს სამუშაო. მესმის, რომ ჩემს ჩოგბურთს სრულყოფამდე ჯერ ბევრი უკლია, ამიტომაც სულ ვმუშაობ, რომ ყველაფერი ცოტათი უკეთესი გახდეს.

**- ანუ დღევანდელი კაროლინი დაამარცხებდა ერთი წლის წინანდელს?**

- რთული შეკითხვაა. მე მგონი, დღეს მართლაც უკეთესად ვთამაშობ, გამოცდილებაც მომემატა, ჩემს თამაშში სიახლეებია... დარწმუნებული ვარ, აგრესიულობამაც მოიმატა, მაგრამ მაინც მიჭირს თქვენს კითხვაზე პასუხის გაცემა.

**- ნოვაკ ჯოკოვიჩმა შარშან ამერიკის ღია პირველობაზე როჯერ ფედერერი დაამარცხა და ამის შემდეგ მისი თამაში კარდინალურად შეიცვალა - გამარჯვება დევისის თასზე, ავსტრალიის ღიაზე, დუბაიში, ინდიან უელსში. ახლა ის ისეა თავის თავში დარწმუნებული, რომ გეჩვენება, თითქოს სხვა პლანეტიდან იყოს ჩამოსული. ალბათ, მიხვდით რას ვგულისხმობ. დღემდე არ მოგიგიათ „დიდი სლემის" ტურნირი. როგორ ფიქრობთ, ეს მომენტი გავლენას ახდენს თქვენს დამაჯერებლობაზე?**

- დარწმუნებული არ ვარ, რომ სწორად გავიგე თქვენი კითხვა. თუმცა ვფიქრობ, რომ ჩემს საქმეს ცუდად არ ვაკეთებ. კარგ ჩოგბურთს ვთამაშობ და ამისგან სიამოვნებას ვიღებ. ამ მომენტისთვის მომწონს ყველაფერი, რასაც კორტზე ვაკეთებ. ნოვაკი ჩემი კარგი მეგობარია. მონაკოში მეზობლები ვართ და მოხარული ვარ, რომ ასე კარგად ვითარდება მისი კარიერა. გარდა ამისა, შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს მის შეყვარებულთან. ჩემი აზრით, ნოვაკი და ელენა - ძალიან ლამაზი წყვილია.

**- როგორც ჩანს, ტურში აბსოლუტურად ყველასთან მეგობრობთ...**

- არ ვიცი. თუმცა მართლაც საკმაოდ ბევრი მეგობარი მყავს. ეს იმიტომ, რომ ძალიან ღია და კონტაქტური ადამიანი ვარ და თან, საკმაოდ სიმპათიური (იცინის).

**- ნადალმა თქვა, რომ უფრო მნიშვნელოვანია გამარჯვება მაშინ, როცა ცუდად თამაშობ, ვიდრე იმ დროს, როცა ყველაფერი გამოგდის. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

- რა თქმა უნდა, ყველა შეძლებს მოგებას იმ დროს, როცა კორტზე ყველაფერს აჩვენებს, რაც შეუძლია. მაგრამ ბევრმა არ იცის, როგორ მოიგოს მაშინ, როცა ცუდ ფორმაში იმყოფება. თუ ჩოგბურთელი ცუდად თამაშობს, მაგრამ ახერხებს თავის თამაშში იპოვოს ის, რაც ამ შეხვედრას მოაგებინებს - მაშინ ის ნამდვილი ჩემპიონია.

**- ამასწინათ თქვით, რომ თქვენს დასამარცხებლად მეტოქემ მთელი მატჩის განმავლობაში უნდა მოახდინოს თქვენზე ზეწოლა. იცით ჩოგბურთელი, რომელიც შეძლებს ამის გაკეთებას?**

- არა. უბრალოდ ვფიქრობ, რომ ჩემმა მოწინააღმდეგემ მართლაც ძალიან კარგად უნდა ითამაშოს იმისთვის, რომ მე დამამარცხოს. ახლა არ ვაპირებ გვარების ჩამოთვლას, რადგან მიმაჩნია, ბევრ ჩოგბურთელთან შეიძლება დავმარცხდე, მაგრამ საქმე ისაა, რომ მეც შემიძლია მათი დამარცხება. ყველაფერი წვრილმან დეტალებზეა დამოკიდებული, რაც დღევანდელ ჩოგბურთში ბევრს ნიშნავს. დღეისთვის ბევრი მატჩი და ტიტული მაქვს მოგებული და იმედი ვიქონიოთ, უახლოეს პერიოდში ჩემი კოლექცია კიდევ უფრო გამდიდრდება.

**- თქვენს უმცროს ბიძაშვილებს ესმით, რომ ცნობილი ჩოგბურთელი ხართ, თუ თქვენ მათთვის, უბრალოდ, კაროლინად რჩებით?**

- სამწუხაროდ, მათთვის მართლაც უბრალოდ კაროლინი ვარ, რადგან ხანდახან ძალიან თავხედურად იქცევიან.

**- ნახევარფინალის წინ არაჩვეულებრივი ჟესტი გვიჩვენეთ, როცა კორტზე იაპონიის დროშით გამოხვედით. რა რეაქცია მოჰყვა თქვენს აქციას?**

- მე კომპანია Yonex-თან ვთანამშრომლობ - ეს ჩემი იაპონური პარტნიორია. ამ ფირმიდან ბევრმა ადამიანმა მომწერა, რომ ეს მართლაც მნიშვნელოვანი იყო მათთვის. ის, რაც იაპონიაში ხდება, ჩემში დიდ მწუხარებას იწვევს. ეს იმისთვის არ გამიკეთებია, რომ საპასუხო რეაქცია მიმელო. უბრალოდ მინდოდა, რალაცით მაინც მხარში ამოვდგომოდი იმ ადამიანებს, რომლებსაც ეს საშინელი კატასტროფა დაატყდათ თავს.

**- თქვენ პოლონურად, დანიურად და ინგლისურად ლაპარაკობთ. სიზმრებს რა ენაზე ნახულობთ?**

- ჩემი სიზმრები სხვადასხვა ენაზეა. ეს იმაზეა დამოკიდებული, რომელ ქვეყანაში ვიმყოფები იმ მომენტში და რა ენაზე ვლაპარაკობ. ხანდახან ახალი გაღვიძებული თავიდან ვერც კი ვხვდები, რომელ ქვეყანაში ვარ და გასახსენებლად დრო მჭირდება ხოლმე.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## მაიამი. ქალების ბადე



**1/64 (მარცხენა ნაწილი)**

- ვოზნიაცკი (დან, 1)
- არვიდსონი (შვედ)
- მატეკი (აშშ)
- გორგესი (გერ)
- ოუდინი (აშშ)
- პანტუჩკოვა (სლოვა, 29)
- პეტკოვიჩი (გერ, 21)
- ტომლიანოვიჩი (სერ)
- კვალიფიკაცია
- ვინჩი (იტა)
- ბენეშოვა (ჩეხ)
- პენეტა (იტა, 13)
- პეერი (ისრ, 10)
- კვალიფიკაცია
- მედინა გარიგესი (ესპ)
- დულკო (არგ)
- ვესნინა (რუს)
- ვიკმაიერი (ბელ, 23)
- ზაკოპალოვა (ჩეხ, 32)
- ბალტაჩა (უკრ)
- ბამერი (ავსტრია)
- იოვანოვსკი (სერ)
- ნიკულესკუ (რუმ)
- იანკოვიჩი (სერ, 6)
- სტოსური (ავსტრა, 4)
- კირსტეა (რუმ)
- ჟენგი (ჩინ)
- შნიდერი (შვეიც)
- კეისი (აშშ)
- საფაროვა (ჩეხ, 30)
- პეტროვა (რუს, 18)
- ლისიცკი (გერ)
- ჩინკი (უნგ)
- ბაროისი (გერ)
- მარტიჩი (ხორ)
- შარაპოვა (რუს, 16)
- კუზნეცოვა (რუს, 11)
- უ. რადვანსკა (პოლ)
- ჰალეპი (რუმ)
- არნი (უნგ)
- პენგი (ჩინ)
- რეზაი (საფ, 20)
- დულგერუ (რუმ, 26)
- ჰერცოგი (სლოვენ)
- სხიპერსი (ს. აფრ)
- ლარსონი (შვედ)
- როდიონოვა (ავსტრა)
- ნა ლი (ჩინ, 7)

**1/32 (მარცხენა ნაწილი)**

- ვოზნიაცკი (დან, 1)
- პანტუჩკოვა (სლოვა, 29)
- პეტკოვიჩი (გერ, 21)
- პენეტა (იტა, 13)
- პეერი (ისრ, 10)
- ვიკმაიერი (ბელ, 23)
- ზაკოპალოვა (ჩეხ, 32)
- იანკოვიჩი (სერ, 6)
- სტოსური (ავსტრა, 4)
- საფაროვა (ჩეხ, 30)
- პეტროვა (რუს, 18)
- შარაპოვა (რუს, 16)
- კუზნეცოვა (რუს, 11)
- რეზაი (საფ, 20)
- დულგერუ (რუმ, 26)
- ნა ლი (ჩინ, 7)

1/16 1/8 1/4 1/2

1/2 1/4 1/8 1/16

**1/32 (მარჯვენა ნაწილი)**

- სკიავონე (იტა, 5)
- პირონკოვა (ბულ, 31)
- კირილენკო (რუს, 24)
- ა. რადვანსკა (პოლ, 9)
- ბარტოლი (საფ, 15)
- კლეიბანოვა (რუს, 22)
- გროტი (ავსტრა, 28)
- ზვონარევა (რუს, 3)
- აზარენკა (ბლრ, 8)
- ციბულკოვა (სლოვ, 25)
- პავლიუჩენკოვა (რუს, 17)
- კვიტოვა (ჩეხ, 14)
- კანეპი (ესტ, 14)
- ივანოვიჩი (სერ, 19)
- მ. სანჩესი (ესპ, 27)
- კლაისტერსი (ბელ, 2)

**1/64 (მარჯვენა ნაწილი)**

- სკიავონე (იტა, 5)
- გალოვიტცი (რუმ)
- კერბერი (გერ)
- დომინგეს ლინო (ესპ)
- კვალიფიკაცია
- პირონკოვა (ბულ, 31)
- კირილენკო (რუს, 24)
- პარა სანტონხა (ესპ)
- კვალიფიკაცია
- კვალიფიკაცია
- ბ. ზახვალოვა (ჩეხ)
- ა. რადვანსკა (პოლ, 9)
- ბარტოლი (საფ, 15)
- მორიტა (იაპ)
- უოტსონი (ბრიტ)
- მაკაროვა (რუს)
- დუშევინა (რუს)
- კლეიბანოვა (რუს, 22)
- გროტი (ავსტრა, 28)
- ერანი (იტა)
- შვედოვა (ყაზ)
- კვალიფიკაცია
- საფინა (რუს)
- ზვონარევა (რუს, 3)
- აზარენკა (ბლრ, 8)
- კვალიფიკაცია
- კვალიფიკაცია
- კვალიფიკაცია
- ბაშჩინსკი (შვეიც)
- ციბულკოვა (სლოვ, 25)
- პავლიუჩენკოვა (რუს, 17)
- კვალიფიკაცია
- შავაი (უნგ)
- ვანდევეგე (აშშ)
- ლეპჩენკო (აშშ)
- კვიტოვა (ჩეხ, 14)
- კანეპი (ესტ, 14)
- კორნე (საფ)
- რაზანო (საფ)
- დატე (იაპ)
- ონდრაშკოვა (ჩეხ)
- ივანოვიჩი (სერ, 19)
- მ. სანჩესი (ესპ, 27)
- კვალიფიკაცია
- გოვორცოვა (ბლრ)
- კვალიფიკაცია
- კუდრიავცევა (რუს)
- კლაისტერსი (ბელ, 2)

## კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ტიმი დაიმტვრა

„სანანტონიო სპურსის“ ლიდერი **ტიმ დანკანი** რამდენიმე კვირას გამოტოვებს ფეხის დაზიანების გამო.

NBA-ის ვეტერანმა ვარსკვლავმა ტრავმა გუშინ „გოლდენ სტეიტთან“ მატჩში მიიღო. რეგულარული ჩემპიონატის ლიდერისთვის ეს პირველი სერიოზული დანაკლისია მთელი სეზონის განმავლობაში, თუმცა ის მეტად არასასურველ მომენტში მოხდა.

მატჩის დასრულებისთანავე დანკანს რენტგენი გადაუღეს, რომელსაც სერიოზული დაზიანება არ აღმოუჩენია და ტიმს არ მოუწევს პლეი ოფის ეტაპის გამოტოვება.

„სპურსის“ მთავარმა მწვრთნელმა **გრეგ პოპოვიჩმა** განაცხადა, რომ დანკანის მოედანზე დაბრუნების კონკრეტული თარიღის დასახელება ჯერ არ შეუძლია, ხოლო გუნდის მძიმე ფორვარდის **ანტონიო მაკდაესის** თქმით, ტიმი მინიმუმ ორი კვირა ვერ შეძლებს თამაშს.

*„ჩვენ შეგვიძლია ტიმის გარეშეც მივიყვანოთ საქმე ბოლომდე და რეგულარული ჩემპიონატი მოვიგოთ, მაგრამ პლეი ოფში მის გარეშე ვერაფერს გავაწყობთ“*, - აღნიშნა დანკანის მნიშვნელობა „სან ანტონიოს“ გამთამაშებელმა **ტონი პარკერმა**.

ამ სეზონში დანკანი საშუალოდ მოედანზე 28 წუთს ატარებს და 13.4 ქულითა და 9.1 მოხსნით ეხმარება გუნდს.

■ ■ ■

„მაიამი ჰიტის“ ფორვარდი **ლებრონ ჯეიმსი** და „ჰიუსტონ როკეტსის“ მცველი **კაილ ლოური** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი ჯეიმსი გასულ კვირას საშუალოდ 29.0 ქულას (თამაშიდან ტყორცნების რეალიზაციის 54.7 პროცენტი), 4.0 შედეგიან პასსა და 5.5 მოხსნას აგროვებდა. ლებრონმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 18 მარტს „ატლანტასთან“ შეხვედრაში - 21 სროლიდან 16 ჩააგდო და 43 ქულა დააგროვა, მათ შორის 23 მესამე მეოთხედში. ჯეიმსი ამ სეზონში მეხუთედ გახდა კვირის საუკეთესო მოთამაშე.

დასავლეთში საუკეთესო ლოურიმ „ჰიუსტონს“ ოთხიდან ოთხჯერ მოაგებინა. მისი საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები 19.3 ქულას, 7.5 შედეგიან პასსა და 7.3 მოხსნას უდრიდა. ლოურიმ 20 მარტს „იუტას“ წინააღმდეგ სამმაგი დუბლი შეასრულა - 28 ქულა, 11 მოხსნა და 10 პასი.

### ჯეიმსის კვირა

**14 მარტი. მაიამი-სან ანტონიო 110:80.** 21 ქულა, 8 პასი, 6 მოხსნა.

**16 მარტი. მაიამი-ოკლაჰომა 85:96.** 19 ქულა, 8 მოხსნა.

**18 მარტი. ატლანტა-მაიამი 85:106.** 43 ქულა.

**19 მარტი. მაიამი-დენვერი 103:98.** 33 ქულა, 6 მოხსნა.

### ლოურის კვირა

**14 მარტი. ჰიუსტონი-ფინიქსი 95:93.** 18 ქულა, 6 მოხსნა, 5 პასი.

**16 მარტი. ჰიუსტონი-შარლოტი 94:78.** 11 ქულა, 9 მოხსნა, 6 პასი.

**18 მარტი. ჰიუსტონი-ბოსტონი 93:77.** 20 ქულა, 9 პასი.

**20 მარტი. ჰიუსტონი-იუტა 110:108.** 28 ქულა, 11 მოხსნა, 10 პასი.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას:

**კრის ბოში** („მაიამი“), **დუეინ უეიდი** („მაიამი“), **კევინ დურანტი** („ოკლაჰომა“), **დუაიტ ჰოვარდი** („ორლანდო“) და **სამუელ დალემბერი** („საკრამენტო“).

### კლივლენდი-ორლანდო 86:97

**15:30, 23:26, 20:24, 28:17**

**კ:** ჰიქსონი (18+6 მოხსნა+3 დაფარება), გიბსონი (16+6 პასი), აიენგმა (12).

**ო:** ჰოვარდი (28+18 მოხსნა+4 ჩაჭრა+4 დაფარება), ბასი (22+6 მოხსნა), ანდერსონი (12+5 მოხსნა), რიჩარდსონი (11+3 ჩაჭრა).

### ნიუ ჯერსი-ინდიანა 98:102

**19:15, 25:25, 17:29, 37:33**

**ნ-ჯ:** ლოპესი (20+3 დაფარება), გეინსი (18+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), ფარმარი (14), ვუიაჩიჩი (14), მოროუ (12+6 მოხსნა).

**ი:** ჰიბერტი (24+5 მოხსნა+3 დაფარება), გრეინჯერი (20), კოლისონი (15+6 მოხსნა+12 პასი), მაკრობერტსი (14), რაში (10+7 მოხსნა).

### ნიუ იორკი-ბოსტონი 86:96

**25:22, 26:15, 18:26, 17:33**

**ნ-ი:** ენტონი (22+5 მოხსნა), ბილაპსი (21), სტაუდმაიერი (16+11 მოხსნა), ტურიაფი (11+4 დაფარება).

**ბ:** გარნეტი (24+11 მოხსნა+4 ჩაჭრა), პირსი (21+6 მოხსნა), ალენი (15+8 მოხსნა), რონდო (13+12 პასი).

### ჩიკაგო-საკრამენტო 132:92

**34:28, 30:19, 34:25, 34:20**

**ჩ:** როუზი (18+8 პასი), კორვერი (18), დენგი (17), ბუზერი (16+5 მოხსნა), ბოგანსი (15), ნოა (14+9 მოხსნა), აშიქი (14), უოტსონი (11+7 პასი+3 ჩაჭრა).

**ს:** ტორნტონი (25+3 ჩაჭრა), უდრიხი (13+5 მოხსნა+5 პასი), გარსია (12), კაზინსი (11+8 მოხსნა).

### მემფისი-იუტა 103:85

**29:21, 25:21, 26:23, 23:20**

**მ:** რენდოლფი (19+13 მოხსნა+5 პასი), არტური (14+4 დაფარება), ალენი (12), გასოლი (11+6 მოხსნა), კონლი (11+11 პასი), მაიო (11), ჰადადი (10).

**ი:** მილსეპი (15+6 მოხსნა), ჯეფერსონი (12), მაილზი (10+5 მოხსნა).

### სან ანტონიო-გ. სტეიტი 111:96

**32:21, 22:24, 32:24, 25:27**

**ს-ა:** ჯინობილი (28+3 ჩაჭრა), პარკერი (17+15 პასი), ნოვაკი (13+5 მოხსნა), ჯეფერსონი (12), სპლიტერი (10+14 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**გ-ს:** უდო (15+7 მოხსნა), რაიტი (14+6 მოხსნა), ლოუ (14), ლი (13+9 მოხსნა), ტორნტონი (10), ელისი (10).

### დენვერი-ტორონტო 123:90

**36:23, 36:21, 29:28, 22:18**

**დ:** ლოუსონი (23+8 პასი), ნენე (18+7 მოხსნა), ჰარინგტონი (15+6 მოხსნა+6 პასი), ფორბსი (14), სმიტი (13+10 მოხსნა+8 პასი), ჩენდლერი (12+8 მოხსნა), მარტინი (11+5 მოხსნა).

**ტ:** ბარნიანი (20), დეროზანი (14), აჯინკა (11+9 მოხსნა).

### აღმოსავლეთი

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. y-ბოსტონი | 69 | 50 | 19 | 72.5 |
| 2. y-ჩიკაგო | 69 | 50 | 19 | 72.5 |
| 3. x-მაიამი* | 70 | 48 | 22 | 68.6 |
| 4. x-ორლანდო | 71 | 45 | 26 | 63.4 |
| 5. ატლანტა | 70 | 40 | 30 | 57.1 |
| 7. ფილადელფია | 70 | 36 | 34 | 51.4 |
| 6. ნიუ იორკი | 70 | 35 | 35 | 50.0 |
| 8. ინდიანა | 71 | 31 | 40 | 43.7 |
| 10. მილუოკი | 69 | 28 | 41 | 40.6 |
| 9. შარლოტი | 69 | 28 | 41 | 40.6 |
| 12. დეტროიტი | 70 | 25 | 45 | 35.7 |
| 11. ნიუ ჯერსი | 69 | 22 | 47 | 31.9 |
| 13. ტორონტო | 70 | 20 | 50 | 28.6 |
| 14. ვაშინგტონი | 68 | 17 | 51 | 25.0 |
| 15. კლივლენდი | 69 | 13 | 56 | 18.8 |

### დასავლეთი

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. x-სან ანტონიო* | 70 | 57 | 13 | 81.4 |
| 2. x-დალასი | 70 | 49 | 21 | 70.0 |
| 3. y-ლეიკერსი | 70 | 50 | 20 | 71.4 |
| 4. ოკლაჰომა* | 69 | 45 | 24 | 65.2 |
| 5. დენვერი | 71 | 42 | 29 | 59.2 |
| 6. პორტლენდი | 70 | 40 | 30 | 57.1 |
| 7. ნიუ ორლეანი | 71 | 40 | 31 | 56.3 |
| 8. მემფისი | 71 | 39 | 32 | 54.9 |
| 9. ჰიუსტონი | 71 | 37 | 34 | 52.1 |
| 10. ფინიქსი | 68 | 35 | 33 | 51.5 |
| 11. იუტა | 71 | 36 | 35 | 50.7 |
| 12. გ. სტეიტი | 71 | 30 | 41 | 42.3 |
| 13. კლიპერსი | 71 | 27 | 44 | 38.0 |
| 15. საკრამენტო | 69 | 17 | 52 | 24.6 |
| 14. მინესოტა | 71 | 17 | 54 | 23.9 |

* - დივიზიონის ლიდერი, x - გავიდა პლეი ოფში, y - დივიზიონის ჩემპიონი

### ქულა

| | |
|---|---|
| კევინ დურანტი (ოკლ) | 27.9 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 26.4 |
| ამარე სტაუდმაიერი (ნ-იორ) | 25.9 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 25.4 |
| კარმელო ენტონი (ნ-იორ) | 25.0 |
| დერიკ როუზი (ჩიკ) | 24.8 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 24.7 |
| მონტა ელისი (გ-სტ) | 24.2 |
| დირკ ნოვიცკი (დალ) | 23.3 |

### მოხსნა

| | |
|---|---|
| კევინ ლავი (მინ) | 15.4 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 14.3 |
| ზაკ რენდოლფი (მემ) | 12.6 |
| ბლეიკ გრიფინი (კლივ) | 12.0 |
| პაუ გასოლი (ლეი) | 10.2 |
| კრის ჰემფრიზი (ნ-ჯერ) | 10.2 |
| ემეკა ოკაფორი (ნ-ორლ) | 9.7 |
| დევიდ ლი (გ-სტე) | 9.6 |
| ელ ჰორფორდი (ატლ) | 9.6 |
| ელ ჯეფერსონი (იუტ) | 9.6 |

### პასი

| | |
|---|---|
| რაჟონ რონდო (ბოს) | 11.5 |
| სტივ ნეში (ფინ) | 11.3 |
| დერონ უილიამსი (ნ-ჯერ) | 10.2 |
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 9.8 |
| ხოსე კალდერონი (ტორ) | 9.0 |
| რეიმონდ ფელტონი (დენ) | 8.7 |
| ჯონ უოლი (ვაშ) | 8.7 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 8.4 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 8.4 |
| დერიკ როუზი (ჩიკ) | 7.8 |

### ჩაჭრა

| | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 2.5 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 2.3 |
| მონტა ელისი (გ-სტ) | 2.2 |
| მაიკ კონლი (მემ) | 1.8 |
| ტონი ალენი (მემ) | 1.8 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 1.8 |
| რეიმონდ ფელტონი (დენ) | 1.7 |

### დაფარება

| | |
|---|---|
| ენდრიუ ბოგუტი (მილ) | 2.7 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 2.4 |
| ჯავალ მაკგი (ვაშ) | 2.4 |
| სერჟ იბაკა (ოკლ) | 2.3 |
| დარკო მილიჩიჩი (მინ) | 2.2 |
| ელ ჯეფერსონი (იუტ) | 2.0 |
| ამარე სტაუდმაიერი (ფინ) | 1.9 |
| ემეკა ოკაფორი (ნ-ორლ) | 1.9 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 1.9 |
| ენდრიუ ბინუმი (ლეი) | 1.9 |

## ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

### დეტროიტი-პიტსბურგი 4:5 (ბ)

**0:2, 1:2, 3:0, 0:0**

**გოლები:** 0:1 დუპუი-12 (კონერი-7, ჯ. სტაალი-14), 0:2 კუნიტცი-22 (დუპუი-19, ლეტანგი-39), 0:3 დუპუი-13 (ჯ. სტაალი-15, ლავჯოი-11), 0:4 ტაილერ კენედი-17 (კუნიტცი-22, ადამსი-9), 1:4 ზეტერბერგი-21 (ქლირი-18, ბ. სტიუარტი-14), 2:4 ფილპულა-16 (ბ. სტიუარტი-15, ჰოლმსტრიომი-17), 3:4 ქლირი-24 (კრონვალი-24, ლიდსტრიომი-42), 4:4 მოდანო-3 (ფილპულა-20, ლიდსტრიომი-43).

**ბულიტები გაიტანეს:** ჯ. ნილი (პიტსბურგი).

### ლოს ანჯელესი-კალგარი 2:1 (ბ)

**0:0, 0:0, 1:1, 0:0**

**გოლები:** 1:0 სტოლი-19 (რიჩარდსონი-11, სიმონდსი-14), 1:1 ო. იოკინენი-16 (სტაიოსი-7, სერიჩი-13).

**ბულიტები გაიტანეს:** ტანგეი (კალგარი), სტოლი (ლოს ანჯელესი), კოპიტარი (ლოს ანჯელესი).

### კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად „სან ხოსე შარქსის“ ფორვარდი **ჯო პაველსკი** დაასახელა. ეს ჰოკეისტი 11 ქულით (3+8) წინა შვიდი დღის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. „სან ხოსემ“ ოთხიდან სამი მატჩი მოიგო და დაიბრუნა პირველი ადგილი წყნარი ოკეანის დივიზიონში.

მეორე ვარსკვლავი გახდა „ანაჰაიმ დაქსის“ მეკარე **რეი ემერი**. ამ გოლკიპერმა ორიდან ორი მატჩი მოიგო, საშუალოდ 0.99 გოლი გაუშვა და მეტოქეთა დარტყმების 96.8 პროცენტი მოიგერია. ემერიმ გასულ კვირას ერთწლიანი შესვენების შემდეგ პირველად ითამაშა რეგულარულ ჩემპიონატში, სულ კი 63 დარტყმიდან 61 მოიგერია.

მესამე ვარსკვლავია „მონრეალ კანადიენსის“ მცველი **პი ქეი სუბანი**. მის ანგარიშზე ექვსი ქულა (4+2) მოდის. სუბანმა კვირა „მინესოტასთან“ მატჩში ჰეთ-თრიკით დაასრულა. ის გახდა „მონრეალის“ ისტორიაში პირველი დებიუტანტი მცველი, ვინც ერთ შეხვედრაში სამი გოლი გაიტანა.

### აღმოსავლეთი

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. x-ფილადელფია* | 71 | 44 | 19 | 8 | 96 |
| 2. ვაშინგტონი* | 73 | 42 | 21 | 10 | 94 |
| 3. ბოსტონი* | 71 | 39 | 22 | 10 | 88 |
| 4. პიტსბურგი | 73 | 42 | 23 | 8 | 92 |
| 5. ტამპა ბეი | 72 | 39 | 22 | 11 | 89 |
| 6. მონრეალი | 73 | 40 | 26 | 7 | 87 |
| 7. რეინჯერსი | 73 | 39 | 30 | 4 | 82 |
| 8. ბაფალო | 72 | 35 | 28 | 9 | 79 |
| 9. კაროლინა | 72 | 33 | 29 | 10 | 76 |
| 10. ტორონტო | 73 | 32 | 31 | 10 | 74 |
| 11. ნიუ ჯერსი | 72 | 34 | 34 | 4 | 72 |
| 12. ატლანტა | 72 | 30 | 30 | 12 | 72 |
| 13. ფლორიდა | 72 | 29 | 33 | 10 | 68 |
| 14. აილენდერსი | 73 | 28 | 33 | 12 | 68 |
| 15. ოტავა | 72 | 27 | 36 | 9 | 63 |

### დასავლეთი

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. y-ვანკუვერი | 73 | 47 | 17 | 9 | 103 |
| 2. დეტროიტი* | 73 | 43 | 21 | 9 | 95 |
| 3. სან ხოსე* | 73 | 42 | 23 | 8 | 92 |
| 4. ფინიქსი | 74 | 39 | 24 | 11 | 89 |
| 5. ლოს ანჯელესი | 73 | 41 | 26 | 6 | 88 |
| 6. ჩიკაგო | 72 | 39 | 25 | 8 | 86 |
| 7. ნეშვილი | 73 | 38 | 25 | 10 | 86 |
| 8. ანაჰაიმი | 72 | 40 | 27 | 5 | 85 |
| 9. დალასი | 72 | 38 | 25 | 9 | 85 |
| 10. კალგარი | 75 | 37 | 27 | 11 | 85 |
| 11. მინესოტა | 73 | 35 | 30 | 8 | 78 |
| 12. კოლამბუსი | 72 | 33 | 29 | 10 | 76 |
| 13. სტ. ლუისი | 72 | 32 | 31 | 9 | 73 |
| 14. კოლორადო | 71 | 27 | 36 | 8 | 62 |
| 15. ედმონტონი | 72 | 23 | 39 | 10 | 56 |

* - დივიზიონის ლიდერი, x - გავიდა პლეი ოფში, y - დივიზიონის ჩემპიონი

### ბომბარდირები

#### გოლი+პასი

| | |
|---|---|
| დანიელ სედინი (ვან) | 93 (38+55) |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 86 (43+43) |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 86 (18+68) |
| მარტინ სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 85 (26+59) |
| კორი პერი (ანა) | 79 (39+40) |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 77 (29+48) |
| ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტ) | 73 (21+52) |
| ჯონათან ტეუვზი (ჩიკ) | 72 (30+42) |
| ანზე კოპიტარი (ლ-ანჯ) | 72 (25+47) |
| ჯერომ იგინლა (კალ) | 71 (33+38) |

#### გოლები

| | |
|---|---|
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 43 |
| კორი პერი (ანა) | 39 |
| დანიელ სედინი (ვან) | 38 |
| რაიან კესლერი (ვან) | 36 |
| პატრიკ შარპი (ჩიკ) | 34 |
| ჯეფ კარტერი (ფილ) | 33 |
| ჯერომ იგინლა (კალ) | 33 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 32 |
| ბობ რაიანი (ანა) | 32 |

#### პასები

| | |
|---|---|
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 68 |
| მარტინ სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 59 |
| დანიელ სედინი (ვან) | 55 |
| ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტ) | 52 |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 48 |
| ანზე კოპიტარი (ლ-ანჯ) | 47 |
| მაიკ რიბეირო (დალ) | 46 |
| კიტ იენდლი (ფინ) | 46 |
| ტეემუ სელიანე (ანა) | 45 |

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ფეხბურთი

#### ამხანაგური მატჩი

#### UNDER 18

| | |
|---|---|
| გერმანია-საფრანგეთი | 3:2 |

#### ინგლისი

##### I ლიგა

| | |
|---|---|
| ლეიტონი-დაგენჰემი | 1:1 |
| ჩარლტონი-საუთჰემპტონი | 1:1 |
| კოლჩესტერი-ოლდჰემი | 1:0 |
| ბრაიტონი-ნოტსი | 1:0 |

##### II ლიგა

| | |
|---|---|
| ტორკი-ჩელტენემი | 2:1 |
| ბარტონი-სტივენეიჯი | 0:2 |
| ქრიუ-აკრინგტონი | 0:0 |
| მორეკამბი-მაკლსფილდი | 1:2 |
| პორტ ვეილი-ჰერეფორდი | 1:1 |
| ალდერშოტი-ბარნეტი | 1:0 |

##### კონფერენსი

| | |
|---|---|
| დარლინგტონი-კეტერინგი | 1:1 |
| ჰისტონი-მენსფილდი | 2:3 |
| გრიმსბი-გეიტშიდი | 2:2 |
| ისტბურნი-ქროული | 1:2 |
| რაშდენი-ლუტონი | 0:1 |

#### იტალია

##### სერია B

| | |
|---|---|
| ასკოლი-ვიჩენცა | 2:1 |

#### გერმანია

##### რეგიონალლიგა (სამ)

| | |
|---|---|
| მიუნხენი A-მემინგენი | 1:1 |

#### შოტლანდია

##### I დივიზიონი

| | |
|---|---|
| ქუინი-ფალკირკი | 0:1 |
| დანდი-დანფერმლაინი | 1:1 |
| კოუდენბითი-მორტონი | 0:2 |
| რეითი-როსი | 1:1 |
| სტირლინგი-პარტიკი | 0:3 |

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| პიტერჰედი-სტენჰაუზმური | 2:2 |

##### III დივიზიონი

| | |
|---|---|
| ელჯინი-ბერუიკი | 1:2 |
| მონროუზი-ისტ სტირლინგი | 0:2 |
| კლაიდი-არბროა | 1:1 |

##### შოტლანდიის თასი

| | |
|---|---|
| სტ. ჯონსტონი-ბრეჩინი | 1:0 |

#### [illegible]

| | |
|---|---|
| კალიუ-ტამეკა | 4:0 |
| პაიდე-კურესაარე | 4:1 |
| ტრანსი-აიაქსი | 7:0 |
| ტულევიკი-ლევადია | 0:1 |
| ფლორა-კალევი | 2:2 |

### კალათბურთი

#### ევროლიგა

##### 1/4 ფინალი. I მატჩები

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი-მონტეპასკი | 89:41 |
| კახა ლაბორალი-მაკაბი | 76:70 |
| რეალი-ვალენსია | 71:65 |
| ბარსელონა-პანათინაიკოსი | 83:82 |

#### გერმანია

| | |
|---|---|
| ბრაუნშვაიგი-ტუბინგენი | 83:67 |

### ჰოკეი

#### ავსტრია

| | |
|---|---|
| ვენა-ზალცბურგი | 9:1 |
| ვილახი-კლაგენფიურტი | 0:4 |

#### დანია

| | |
|---|---|
| სონდერიისკი-ფრედრიკშავნი | 1:3 |
| ჰერნინგი-როდოვრე | 4:0 |

#### ნორვეგია

| | |
|---|---|
| ლილეჰამერი-სპარტა | 1:2 |
| ლორენსკოგი-სტავანგერი | 2:5 |

#### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| პოპრადი-ბისტრიცა | 4:3 (ო) |

#### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| ტრშინეცი-სლავია | 2:3 (ბ) |

#### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ამბრი-რაპესვილი | 2:3 |
| ცუგი-დავოსი | 1:6 |
| ბერნი-კლოტენი | 2:1 |

#### შვედეთი

| | |
|---|---|
| შელეფტეო-ლულეა | 3:4 (ო) |
| ფერისტადი-აიკ | 2:1 |

### ჩოგბურთი

#### WTA. მაიამი

| | |
|---|---|
| იოვანოვსკი-**ნიკულესკუ** | 1:6, 6:7 |
| კირსტეა-**ჟენგი** | 3:6, 7:6, 3:6 |
| **ბალტაჩა**-ბამერი | 3:6, 7:6, 7:6 |
| **მარტიჩი**-ბაროისი | 7:5, 6:2 |
| გორჯესი-**ოუდინი** | 5:7, 3:6 |
| **ბენეშოვა**-ვინჩი | 7:5, 6:4 |
| **შნიდერი**-კეისი | 3:6, 6:1, 7:6 |
| უ. რადვანსკა-**ჰალეპი** | 3:6, 2:6 |

## TV პროგრამა

### 23 მარტი. ოთხშაბათი

#### GMG-ფეხბურთი

**10:00** იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**11:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-მაინცი.
**14:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-სევილია.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**17:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-რენი.
**19:00** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**20:00** გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-შალკე.
**22:00** იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-რომა.
**00:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-რეალი.

#### НТВ-პლუსი (სპორტი)

**04:30** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-ანაჰაიმი (LIVE).

#### НТВ-პლუსი (ონლაინი)

**04:45** ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. ფლუმინენსე-ამერიკა (LIVE).

#### НТВ-პლუსი (კალათბურთი)

**04:00** NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-იუტა (LIVE).
**06:30** NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლიპერსი-ვაშინგტონი (LIVE).

#### EUROSPORT

**12:00** ქიორლინგი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ნორვეგია-აშშ. დანია (LIVE).
**18:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. დუისბურგი-ევერტონი (LIVE).
**22:00** ველოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი (ტრეკი). I დღე. ჰოლანდია (LIVE).

#### EUROSPORT-2

**22:00** ქიორლინგი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. აშშ-კანადა. დანია (LIVE).
**01:00** ფეხბურთი. სამხრეთ ამერიკის თასი (იუნიორები). პარაგვაი-ჩილე. ეკვადორი (LIVE).
**21:00** კალათბურთი. ევროთასი. 1/4 ფინალი. ზაგრები (ხორვატია)-ესტუდიანტესი (ესპანეთი) (LIVE).
**23:00** კალათბურთი. ევროთასი. 1/4 ფინალი. კაზერტა (იტალია)-უნიქსი (რუსეთი) (LIVE).

## ამბები

### კალათბურთი

### დირკი ნაკრებზე ფიქრობს

„დალას მავერიქსის“ ლიდერი **დირკ ნოვიცკი** მზად არის ითამაშოს გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში, თუ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში სეზონი ლოკაუტის გამო გაუქმდება.

გერმანელი ფორვარდის თქმით, ის ეროვნულ გუნდს ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის შესარჩევ ტურნირში დაეხმარება.

*„თუ ლოკაუტი იქნება, თითქმის დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ზაფხულში ნაკრებში ვითამაშებ, - ამბობს დირკი. - მომეწონა პეკინის თამაშებზე გამოსვლა. ახლა კი წინაა საკვალიფიკაციო თამაშები ლონდონში მოსახვედრად. მომავალ ოლიმპიადაზე ძალიან მინდა თამაში.*

*თუ ლოკაუტი გაიწელა და უსაქმოდ დავრჩი, ამ თამაშებში მივიღებ მონაწილეობას და ფორმას შევინარჩუნებ“.*

### მემფისი ზაკს იტოვებს

„მემფის გრიზლისის“ ხელმძღვანელობას სერიოზულად აქვს განზრახული ფორვარდ **ზაკ რენდოლფის** შენარჩუნება. კლუბმა უკვე დაიწყო კალათბურთელთან მოლაპარაკებები მიმდინარე ხელშეკრულების კიდევ ოთხი წლით გახანგრძლივების თაობაზე. როგორც ვარაუდობენ, მხარეები უახლოეს დროში მიაღწევენ შეთანხმებას.

თუ კონტრაქტი არ გაფორმდება, მაშინ ზაფხულში რენდოლფი შეზღუდული უფლებების თავისუფალი აგენტი გახდება. წელს ფორვარდი საშუალოდ 20.1 ქულასა და 12.6 მოხსნას აგროვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ფორმულა 1

# ესპანეთს ეტაპს ართმევენ

ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერი **ბერნი ექლსტოუნი** უკვე აქედანვე ფიქრობს 2012 წლის ჩემპიონატის კალენდარზე. მან პირველ რიგში გამოაცხადა, რომ ვერ იძლევა მომავალ წელს ავსტრალიის გრანპრის ჩატარების გარანტიას, თუმცა რამდენიმე დღის წინ მელბურნის ეტაპის მხარდაჭერით გამოვიდა.

*„სავარაუდოდ, დღეს არსებული ეტაპებიდან ორისთვის უარის თქმა მოგვიწევს, რათა გავათავისუფლოთ ადგილი ამერიკისა და ინდოეთის გრანპრისთვის.*

*ავსტრალიელები ამბობენ, რომ მათ არ სჭირდებათ ეს რბოლა, ამიტომაც მომავალ წელს, შესაძლოა, ვერც იხილონ მსოფლიოს საუკეთესო პილოტები.*

*ასევე არ არის გამორიცხული კალენდრიდან რომელიმე ესპანური ეტაპის ამოღება“*, - განაცხადა ექლსტოუნმა.

■ ■ ■

უკვე ცნობილია, რომ ექლსტოუნი არ დაესწრება სეზონის პირველ რბოლას მელბურნში, რომელიც უახლოეს უქმეებზე გაიმართება. ფორმულა 1-ის შეფი ნიუ იორკში გაემგზავრა, სადაც იქაურ მერთან - **მაიკლ ბლუმბერგთან** მოლაპარაკებებს გეგმავს ამ ქალაქში ფორმულა 1-ის ეტაპის ჩატარების თაობაზე.

ავსტრალიის გრანპრის ორგანიზატორები ირწმუნებიან, რომ პირველ ეტაპზე ექლსტოუნის არყოფნა არ უკავშირდება მელბურნის რბოლის სავარაუდო გაუქმებას.


ბერნი სტარტს აძლევს

● კრივი



# სად იქნება წლის ბრძოლა?

სუპერმძიმეწონაში მომავალი სატიტულო ბრძოლა **ვლადიმერ კლიჩკოსა** და **დევი ჰეის** შორის აქედანვე უდიდეს ინტერესს იწვევს და მას „წლის ჩხუბსაც“ კი უწოდებენ. ამ შეხვედრის ორგანიზების სურვილს უკვე შვიდი ქვეყანა გამოთქვამს. შეგახსენებთ, ბრძოლაზე კონტრაქტი გაფორმებულია, უბრალოდ მასპინძელი ქალაქის არჩევაა დარჩენილი.

ამჟამად, ტიტულების გამაერთიანებელ ჩხუბზე პრეტენზიას აცხადებს სამი საფეხბურთო არენა გერმანიაში (დიუსელდორფი, გელზენკირჰენი, ფრანქფურტი), რუსეთი (მოსკოვი), მონტე კარლო, არაბეთის გაერთიანებული საემიროები, სამხრეთ აფრიკა, ამერიკა და შვეიცარია.

ბრიტანელი მოკრივის მენეჯერსა და მწვრთნელს **ადამ ბუტს** არ სურს, რომ მისმა შეგირდმა ბრძოლა საფეხბურთო სტადიონზე ჩაატაროს.

*„საკმაო დრო გვაქვს იმისთვის, რომ ასეთი მრავალრიცხოვანი განაცხადები განვიხილოთ. იდეალური ვარიანტი იქნებოდა ევროპაში რომელიმე დარბაზში ჩხუბი. არ გვინდა ვინერვიულოთ მეტეოროლოგიური პირობების გამო, რამაც შეიძლება გარკვეული კორექტივები შეიტანოს ბრძოლის მიმდინარეობაში“*, - განაცხადა ბუტმა.

გარდა ამისა, იწყება მოლაპარაკებები ტელეტრანსლაციის საკითხის მოსაგვარებლად. მოკრივეების მენეჯერები ნიუ იორკში გაემგზავრნენ ტელეარხებთან - HBO-სა და Showtime-თან მოსალაპარაკებლად. ბრძოლის სავარაუდო თარიღია 25 ივნისი ან 2 ივლისი.

■ ■ ■

ამასობაში, WBC-ის ჩემპიონ **ვლადიმერ კლიჩკოს** კუბელი **ოდლანიერ სოლისის** დამარცხების შემდეგ მორიგი მეტოქე გამოუჩნდა. უკრაინელის ბრძოლაში გამოწვევას აპირებს მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, რუსი **ოლეგ მასკაევი**. ის ამბობს, რომ ვიტალისთან ბევრი რამ აქვს გასარკვევი. 42 წლის მოკრივე 2011 წლის ივნისში განაახლებს კარიერას.

მასკაევმა ბოლო ბრძოლა 2009 წლის 11 დეკემბერს ჩაატარა. რუსმა დომინიკის რესპუბლიკის წარმომადგენელ **ნაჰი აგილერასთან** წააგო. მასკაევს ეს ჩხუბი რომ მოეგო, შემდეგ ამერიკელ **რეი ოსტინს** შეხვდებოდა და ბოლოს კლიჩკოსთან ბრძოლაც მოუწევდა.

რუსი 2006-08 წლებში იყო WBC-ის ჩემპიონი. პროფესიულ რინგზე მან 36 გამარჯვება (27 - ნოკაუტით) მოიპოვა და შვიდჯერ დამარცხდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ჩოგბურთი

# სალსა და ჩოგბურთი

მაიამის მასტერსის წინ მსოფლიოს პირველი და მეორე ჩოგნები - **რაფაელ ნადალი** და **ნოვაკ ჯოკოვიჩი** კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტას ესტუმრნენ და იქ საჩვენებელი მატჩი ჩაატარეს. შეხვედრას El Campin Coliseum-ში 14 ათასი მაყურებელი დაესწრო.

შეხვედრა ნადალმა ორ პარტიაში მოიგო - 7:6, 6:3. შეგახსენებთ, ორი დღის წინ, ინდიან უელსის მასტერსის ფინალში ჯოკოვიჩმა სამსეტიან ბრძოლაში დაამარცხა ესპანელი ჩოგბურთელი - 4:6, 6:3, 6:2.

რაფამ და ნოვაკმა მთელი საღამო გვარიანად გაართეს პუბლიკა. თავიდან მათ ავტოგრაფები დაურიგეს კოლუმბიელ გულშემატკივრებს, შემდეგ მსურველებს მასტერკლასი ჩაუტარეს და მათ თავიანთი საფირმო დარტყმები უჩვენეს, ბოლოს კი ესპანელმა და სერბმა სალსა იცეკვეს კოლუმბიელ გოგონებთან. ამ შემთხვევაში უკვე ჩოგბურთელები იყვნენ მოსწავლის როლში.

ბოლოს კი ნადალსა და ჯოკოვიჩს სომბრეროები (Colombian Vueltiao) აჩუქეს.

■ ■ ■

ნოვაკ ჯოკოვიჩი უახლოეს დღეებში კიდევ ერთ საჩვენებელ შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას. ამჯერად ეს იქნება საფეხბურთო მატჩი. ის საქველმოქმედო ხასიათისაა - ჩოგბურთელები იაპონიაში მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად ითამაშებენ.

როგორც სერბის ოფიციალურ ვებგვერდზე წერია, ჩოგბურთელებისგან შემდგარი ნაკრები 23 მარტს ფლორიდაში შეხვდება ადგილობრივ კლუბს - „ფორტ-ლოდერდეილ სტრაიკერს“. მატჩის გარდა ჩატარდება საქველმოქმედო აუქციონი და საქველმოქმედო ვახშამი.

ჯოკოვიჩის გვერდით კვლავაც რაფაელ ნადალი იქნება. ამ დუეტს შეუერთდებიან **ენდი მიურეი, დავიდ ფერერი, ფერნანდო ვერდასკო, იურგენ მელცერი, რიშარ გასკე, ფელისიანო ლოპესი, ვიქტორ ტროიცკი, მარკოს ბალდატისი** და **კეი ნიშიკორი**.

*„იაპონელების გამო ძალიან ვწუხვარ და ვნერვიულობ. ვფიქრობ, სწორად ვიქცევით, რომ გაჭირვებულ ადამიანებს ვეხმარებით“*, - ამბობს ჯოკოვიჩი.


მოცეკვავე ნადალი

# პიტი ისევ ბიტულოვანია

ხანგრძლივი ძებნის შემდეგ აღმოაჩინეს ლეგენდარული ჩოგბურთელის **პიტ სამპრასის** დაკარგული პრიზები. კარიერის განმავლობაში მოპოვებული ჯილდოები ამერიკელს გასული წლის დეკემბერში მოპარეს.

და აი, გუშინ ძვირფასი პრიზები მის კანონიერ მფლობელს დაუბრუნდა, თუმცა ამაში პოლიცია არაფერ შუაშია. ისინი ლოს ანჯელესის ერთ-ერთი საავადმყოფოს თანამშრომლებმა აღმოაჩინეს.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მძარცველების კვალზე გავიდა სამპრასის მიერ დაქირავებული კერძო დეტექტივი, რომელმაც შეატყობინა საავადმყოფოს თანამშრომლებს იმის შესახებ, რომ მათი კლინიკის ტერიტორიაზე იყო დამალული სამპარსის პრიზები.

ექიმებმა იოლად აღმოაჩინეს თასები, შემდეგ საავადმყოფოში პოლიცია მივიდა და მთელი „დიდება“ მიითვისა. თუმცა ჯერჯერობით ექვმიტანილები დაკავებულები არ არიან და არც კი იციან მათი ვინაობა.

